ტექნიკური დოკუმენტი:

საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა ჟურნალისტთა დაცვისა და უსაფრთხოების კუთხით

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

ტექნიკური დოკუმენტი:

საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა ჟურნალისტთა დაცვისა და უსაფრთხოების კუთხით

ევროპის საბჭო

ნაშრომში (DCFE-TP-SMIP-GE-SoJ-10-2023) გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორ(ებ)ს და შეიძლება არ გამოხატავდეს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოლიტიკას.

დოკუმენტიდან ამონარიდების (500-მდე სიტყვა) ხელახალი გამოყენება ნებადართულია მხოლოდ არაკომერციული მიზნებით, იმ პირობით, რომ დაცული იქნება ტექსტის მთლიანობა, ამონარიდი არ გამოიყენება კონტექსტიდან მოწყვეტილად, არ წარმოგვიდგენს არასრულ ინფორმაციას, ან სხვაგვარად არ შეიყვანს მკითხველს შეცდომაში ტექსტის ბუნებასთან, ფარგლებსა ან შინაარსთან მიმართებით. წყარო ტექსტი ყოველთვის უნდა მიეთითოს შემდეგნაირად: „©ევროპის საბჭო, პუბლიკაციის წელი“.

ყველა სხვა თხოვნა დოკუმენტის მთლიანად ან ნაწილობრივ გამოქვეყნებაზე/ თარგმნაზე უნდა წარედგინოს ევროპის საბჭოს კომუნიკაციის დირექტორატს (F-67075 სტრასბურგი Cedex ან publishing@coe.int).

კვლევის ავტორი: პიტერ ნორლანდერი, ევროპის საბჭოს ექსპერტი

ყდა და დიზაინი: გიორგი ქინქლაძე

სურათი: Freepik.com

ნიწინამდებარე დოკუმენტი არაოფიციალური ქართულენოვანი თარგმანია. კვლევის ინგლისურ და ქართულენოვან ვერსიებს შორის განსხვავების შემთხვევაში, უპირატესობა ინგლისურენოვან ვერსიას ენიჭება. © ევროპის საბჭო, 2023 წლის მაისი

სარჩევი

1. შესავალი 5

2. რეზიუმე 7

3. კონტექსტი: მედიის თავისუფლება საქართველოში 10

4. პრობლემური საკითხები 14

4.1. ჟურნალისტთა მიმართ ძალადობის გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა 14

4.1.1. საერთაშორისო სტანდარტები და კარგი პრაქტიკა 14

4.1.2. საქართველოში არსებული პრაქტიკის ანალიზი 20

4.1.3. რეკომენდაციები 28

4.2. სამართალდამცველ უწყებათა შესაძლებლობები ჟურნალისტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით (ინსტიტუციური შესაძლებლობები და სწავლების საჭიროებები) 31

4.2.1. საერთაშორისო სტანდარტები და კარგი პრაქტიკა 31

4.2.2. საქართველოში არსებული პრაქტიკის ანალიზი 33

4.2.3. რეკომენდაციები 35

4.3. ჟურნალისტთა უსაფრთხოება მანიფესტაციების დროს 36

4.3.1. საერთაშორისო სტანდარტები და კარგი პრაქტიკა 36

4.3.2. საქართველოში არსებული პრაქტიკის ანალიზი 40

4.3.3. რეკომენდაციები 42

4.4. მედიის შესაძლებლობები და ცოდნა მისი უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ უსაფრთხოების საკითხებთან მიმართებით 42

4.4.1. საერთაშორისო სტანდარტები და კარგი პრაქტიკა 42

4.4.2. საქართველოში არსებული პრაქტიკის ანალიზი 45

4.4.3. რეკომენდაციები 46

5. დასკვნითი მოსაზრებები და რეკომენდაციები 48

5.1. რეკომენდაციები 50

დანართი (1) – აქტივობების პროგრამა 57

დანართი (2) – ჟურნალისტთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის კანონმდებლობის დებულებათა შედარება 58

უკრაინა 58

სერბეთი 60

შვედეთი 61

საფრანგეთი 61

სომხეთი 62

1. შესავალი

წინამდებარე მიმოხილვა მომზადდა ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში - „მედიის თავისუფლების, ინტერნეტმმართველობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის გაძლიერება საქართველოში“ - საქართველოს სახალხო დამცველის თხოვნის საფუძველზე.

ჟურნალისტთა უსაფრთხოება[1] მზარდი შეშფოთების საკითხია როგორც ევროპის ბევრ ქვეყანაში, ისე მსოფლიოს დანარჩენ ნაწილში. რამდენიმე ანგარიში, რომლებიც მოამზადეს გამოხატვის თავისუფლებაზე მეთვალყურე (watchdog) ორგანიზაციებმა, ასევე, ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა, მდგომარეობის საგანგაშო გაუარესებას ავლენს ბოლო ათწლეულში. თუ გავითვალისწინებთ მედიის მნიშვნელოვან როლს დემოკრატიულ სახელმწიფოში, ასევე, გამოხატვის თავისუფლების საკვანძო მნიშვნელობას სხვა უფლებათა რეალიზებაში, ეს საკითხი ძლიერ შეშფოთებას იწვევს. 2016 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია CM/Rec(2016)4 ჟურნალისტიკის დაცვისა და ჟურნალისტთა და მედიის სხვა აქტორთა უსაფრთხოების შესახებ, რომელშიც წარმოდგენილია რეკომენდაციები ამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.[2] მას შემდეგ, რამდენიმე ქვეყანამ გადადგა ნაბიჯები ამ რეკომენდაციის შესასრულებლად და ჟურნალისტთა უკეთ დასაცავად საკუთარი ტერიტორიისა და იურისდიქციის ფარგლებში.

საქართველოში ჟურნალისტთა უსაფრთხოება მზარდი გამოწვევაა 2020 წლიდან. ამიტომ, **წინამდებარე ანგარიშში განხილულია საქართველოს სამართლებრივ-პოლიტიკური ჩარჩო ჟურნალისტთა დაცვისა და უსაფრთხოების კუთხით, შესაბამის პრაქტიკასთან ერთად. დოკუმენტი გვთავაზობს მდგომარეობის გასაუმჯობესებელ რეკომენდაციებს, რომლებიც ეფუძნება CM/Rec(2016)4 რეკომენდაციას, ასევე, იმ ევროპული თუ სხვა ქვეყნების პრაქტიკას, რომლებსაც აქვთ გამოცდილება ამ სფეროში.**

რეკომენდაცია CM/Rec(2016)4 ეხება უსაფრთხოების საკითხთა ფართო სპექტრს, მათ შორის, ჟურნალისტთა არა მხოლოდ ფიზიკურ და ციფრულ უსაფრთხოებას, არამედ ფართო საკანონმდებლო ჩარჩოსაც, რომელიც გავლენას ახდენს შემდეგ საკითხებზე: მედიის თავისუფლება (სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა, ცილისწამების კანონმდებლობის ჩათვლით), ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ჟურნალისტურ წყაროთა კონფიდენციალურობის დაცვა, ჟურნალისტთა თვალთვალი და ა. შ. ყველა ეს საკითხი აქტუალურია საქართველოს კონტექსტშიც, თუმცა დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებს 4 კონკრეტულ სფეროზე, რომლებიც

1. ტერმინი „ჟურნალისტი“ ამ მიმოხილვაში ფართოდ არის განმარტებული და მოიცავს ყველა პირს, რომლებიც რეგულარულად ან პროფესიულად არიან ჩართულნი ინფორმაციის შეგროვებასა და მასობრივი კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით გავრცელებაში, ევროპის საბჭოს CM/Rec(2000)7 და CM/Rec(2016)4 რეკომენდაციების, ჟურნალისტთა უსაფრთხოების შესახებ გაეროს სამოქმედო გეგმისა და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის №34 ზოგადი კომენტარის შესაბამისად. თუ გავითვალისწინებთ ჟურნალისტური ფუნქციების შემსრულებელ აქტორთა ფართო სპექტრს, განსაკუთრებით, ინტერნეტის გამოჩენის შემდეგ, ასევე, შტატგარეშე ჟურნალისტთა რაოდენობას, საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნევა, რომ „ჟურნალისტის“ განსაზღვრება არ მოიცავდეს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც მედიასაშუალებაში არიან დასაქმებულნი. „„ჟურნალისტის“ განმარტებათა შედარებითი მიმოხილვისთვის ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში (მათ შორის, სადაც განმარტება არ არის მკაცრი ან ძალიან ფართოა), იხილეთ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ანგარიშის - ჟურნალისტების სტატუსი ევროპაში - განმარტებითი მემორანდუმი, doc. 14505, 2018 წლის 26 თებერვალი.

2. რეკომენდაცია CM/Rec(2016)4, მიღებული მინისტრთა კომიტეტის მიერ 2016 წლის 13 აპრილს. სრული ტექსტი და განხორციელების სახელმძღვანელო იხილეთ ბმულზე https://www.coe.int/en/web/freedom-expression/implementation-of-recommendation-cm/rec-2016-4.

გამოვლინდა 2022 წლის მარტსა და აპრილში, დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებისა და სამაგიდო კვლევის შედეგად. ესენია:[3]

- ჟურნალისტთა მიმართ ძალადობის გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა;
- სამართალდამცველ უწყებათა შესაძლებლობები ჟურნალისტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით (როგორც ინსტიტუციური შესაძლებლობები, ისე სწავლების საჭიროებები);
- ჟურნალისტთა უსაფრთხოება მანიფესტაციების დროს;
- მედიის შესაძლებლობები და ცოდნა მისი უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ უსაფრთხოების საკითხებთან მიმართებით.

დასაწყისში დოკუმენტი ზოგადად მიმოიხილავს მედიის თავისუფლების მხრივ არსებულ ვითარებას საქართველოში, რითაც ქმნის კონტექსტს მომდევნო თავებისთვის. შემდგომ ნაწილებში განხილულია საერთაშორისო სტანდარტები და კარგი პრაქტიკა 4 პრობლემურ სფეროში და საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა გაანალიზებულია მათთან მიმართებით. მიმოხილვა სრულდება რეკომენდაციებით, რომლებიც შემუშავდა ვითარების გასაუმჯობესებლად.

3. ინტერვიუები ჩატარდა სხვადასხვა უწყებისა და ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, როგორიცაა: სახალხო დამცველის აპარატი, ჟურნალისტიკის დაცვითა და ჟურნალისტთა უსაფრთხოებით დაინტერესებული სამოქალაქო საზოგადოება, მედია, შინაგან საქმეთა სამინისტრო, გენერალური პროკურატურა, საქართველოს სპეციალური საგამოძიებო სამსახური და მთავრობის ადმინისტრაციასთან არსებული ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო. ინტერვიუები წარიმართა ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის თანამშრომელთა ფასილიტაციით და სინქრონული თარგმანით ქართულ ენაზე (ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს წარმომადგენელთან ინტერვიუ ჩატარდა ინგლისურ ენაზე). ინტერვიუების შემდეგ, დაინტერესებულმა მხარეებმა გააზიარეს გარკვეული მასალა, რომელიც დოკუმენტში მითითებულია საჭიროებისამებრ. ანგარიშის ავტორი მადლობას უხდის ყველას ფასდაუდებელი დახმარებისთვის.

2. რეზიუმე

ეს მიმოხილვა წარმოაჩენს ჟურნალისტთა დაცვისა და უსაფრთხოების მწვავე საკითხებს საქართველოში, როგორც საკანონმდებლო და პოლიტიკური ბაზის, ასევე პრაქტიკის თვალსაზრისით. იგი ხაზს უსვამს მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებას 2019 წლიდან და მიმოიხილავს საკანონმდებლო და მარეგულირებელ ჩარჩოს, რომელიც, რამდენიმე დადებითი ელემენტის მიუხედავად, საკმარისად ვერ იცავს ჟურნალისტებს.

ბოლო რამდენიმე წელიწადში მედიის თავისუფლების მდგომარეობა ქვეყანაში დამძიმდა. ევროპის საბჭოს ჟურნალისტთა უსაფრთხოების პლატფორმაზე საქართველოსთან დაკავშირებულ საგანგაშო სიგნალთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა 0-დან (2017-2019) 16-მდე (2020-2022), მედიის თავისუფლების ყოველწლიურ რეიტინგში კი, რომელსაც ადგენს ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე", 2022 წელს ქვეყანამ 89-ე ადგილზე გადაინაცვლა (29 პოზიციით ჩამოქვეითდა წინა წელთან შედარებით. ევროპაში უარესი მაჩვენებლები ჰქონდათ მხოლოდ რუსეთს, ბელარუსს, უკრაინას, თურქეთს, აზერბაიჯანს, ბულგარეთს, საბერძნეთსა და ალბანეთს).

ამ მიმოხილვის მთავარი რეკომენდაციაა დაინტერესებულ მხარეთა კომიტეტის შექმნა, რომელსაც თავმჯდომარეობას გაუწევს დამოუკიდებელი და ავტორიტეტული პირი ან უწყება, თუმცა მაღალი დონის პოლიტიკური უფლებამოსილებით, **და ექნება მანდატი, ჩაატაროს კვლევები და შეიმუშაოს ჟურნალისტთა უსაფრთხოების ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომლის განხორციელების ვალდებულებაც დაეკისრება მთავრობას.** რეკომენდებულია, რომ ვალდებულების შესრულების ნიშნად, **მაღალ თანამდებობაზე არჩეული პოლიტიკოსები, როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე, საჯაროდ გამოდიოდნენ მედიის მიმართ ძალადობისა და სიძულვილის წინააღმდეგ და თავს იკავებდნენ მედიის საწინააღმდეგო რიტორიკისგან.**

ეს მიმოხილვა ყურადღებას ამახვილებს 4 განსხვავებულ საკითხზე: ჟურნალისტთა მიმართ ძალადობის გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა; სამართალდამცველ უწყებათა შესაძლებლობები (როგორც ინსტიტუციური შესაძლებლობები, ისე სწავლების საჭიროებები); ჟურნალისტთა უსაფრთხოება მანიფესტაციების დროს; ჟურნალისტთა და მედიის თანამშრომელთა შესაძლებლობები და ცოდნა უსაფრთხოების საკითხებთან მიმართებით.

მწვავე საჭიროებაა ჟურნალისტთა მიმართ ძალადობის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის გაუმჯობესება. **მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში გაიზარდა ჟურნალისტთა მიმართ ძალადობისა და ძალადობის მუქარის შემთხვევები, სერიოზული ხარვეზები იკვეთება ასეთი დანაშაულების გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნაში.** იმ საქმეებშიც კი, რომლებშიც დგება გამამტყუნებელი განაჩენი, ხშირად შეფარდებულია მსუბუქი სასჯელი. **ჟურნალისტთა მიმართ ძალადობის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის გასაუმჯობესებლად, რეკომენდებულია ცვლილების შეტანა სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლში, რათა მან მოიცვას ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართ ძალადობისა და მუქარის ყველა შემთხვევა, რომლებიც უკავშირდება მათ ჟურნალისტურ საქმიანობას.** ასევე მიზანშეწონილია, ჩატარდეს **სისტემატური შიდა მოკვლევები,**

მედიის წარმომადგენელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით, და შეფასდეს ჟურნალისტთა მიმართ ჩადენილ დანაშაულთა გამოძიების ხარისხი, რის შემდეგაც ყველა სამართალდამცველი უწყებისთვის შემუშავდება კონკრეტული და დეტალური სახელმძღვანელო მითითებები ასეთი ძალადობის ფაქტების გამოსაძიებლად. გარდა ამისა, პრობლემის სრული სურათის წარმოსაჩენად და სამართალდამცველ ორგანოთა ეფექტიანობის შესაფასებლად, შემოთავაზებულია, **შეგროვდეს ყოვლისმომცველი სტატისტიკა** ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა მიმართ ძალადობის თუ მუქარის ყველა შემთხვევაზე, რომლებიც უკავშირდება მათ ჟურნალისტურ საქმიანობას, ამასთანავე, **მონაცემები ჩაიშალოს რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით.** ასევე რეკომენდებულია, ყველა სამართალდამცველი უწყებისთვის შემუშავდეს კონკრეტული და დეტალური სახელმძღვანელო მითითებები ჟურნალისტთა მიმართ ჩადენილი ძალადობრივი ფაქტების გამოსაძიებლად; ამასთანავე, გამკაცრდეს სასჯელები ფიზიკური თუ იურიდიული პირების მიმართ ჩადენილი დანაშაულებისთვის, რომლებიც უკავშირდება მათ ჟურნალისტურ საქმიანობას, რათა სასჯელმა ასახოს დემოკრატიის მიმართ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე.

სამართალდამცველ უწყებათა შესაძლებლობები საჭიროებს გაძლიერებას. რეკომენდებულია, **პოლიციასა და გენერალურ პროკურატურაში შეიქმნას სპეციალური სტრუქტურული ერთეულები ჟურნალისტთა მიმართ ძალადობის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნისთვის, ასევე, შემუშავდეს სპეციალიზებული სასწავლო გეგმა.** ჟურნალისტთა დაცვისა და უსაფრთხოებისთვის, მიზანშეწონილია, შეფასდეს სხვადასხვა სამართალდამცველ უწყებაში არსებული რესურსები და შეივსოს გამოვლენილი დანაკლისი. რეკომენდებულია, თავად ჟურნალისტებმაც გაიარონ სწავლება, თუ რას უნდა მოელოდნენ იმ სისხლისსამართლებრივი გამოძიებისგან, რომელშიც თავად არიან დაზარალებულნი, და რა ინფორმაციის მიწოდებას ელიან მათგან. ასევე, შემოთავაზებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მოდიფიცირება იმგვარად, რომ მისმა უფლებამოსილებამ მოიცვას ჟურნალისტთა უსაფრთხოების საკითხებიც.

მანიფესტაციებისას ჟურნალისტთა უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად, რეკომენდებულია, ცვლილება შევიდეს საქართველოს კანონში „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, რათა ამოიღონ ჟურნალისტებისთვის დაწესებული მოთხოვნა მაიდენტიფიცირებელი ნიშნების ტარების შესახებ. სამართალდამცველებმა და იმ ჟურნალისტებმა, რომლებიც წარმოადგენენ მედიასაზოგადოების სხვადასხვა სეგმენტს, შექმნან სამუშაო ჯგუფი, რათა შეთანხმდნენ სახელმძღვანელო მითითებებზე მანიფესტაციებისა და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების მედიაგაშუქების შესახებ, საერთაშორისო კარგ პრაქტიკაზე დაყრდნობით. **შემოთავაზებულია, რომ მანიფესტაციებისა და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების წინ, როგორიცაა არჩევნები, საპროტესტო აქციები ან დიდი სპორტული ღონისძიებები, ჩატარდეს შეხვედრები ჟურნალისტებსა და სამართალდამცველებს შორის, რათა წინსწრებით განიხილონ უსაფრთხოების საკითხები და ერთობლივად შეთანხმდნენ უსაფრთხოების პროტოკოლზე.**

მედიაორგანიზაციებში უსაფრთხოება არ შეესაბამება საერთაშორისო კარგ პრაქტიკას და საჭიროებს გაუმჯობესებას, კერძოდ, უსაფრთხოების პროტოკოლების შემუშავება-განხორციელებით, დამცველი აღჭურვილობის უზრუნველყოფით, ასევე, ყველა იმ თანამშრომლისა და შტატგარეშე თანამშრომლის სწავლებით, რომელთა ნაშრომებსაც აქვეყნებენ. თავად ჟურნალისტებიც უნდა წაახალისონ,

რომ შესაბამის კურსებზე დასწრებითა და ცოდნის შეძენით უზრუნველყონ საკუთარი უსაფრთხოება, განსაკუთრებით, ციფრული საფრთხეების მიმართ.

დეტალური ჰეკომენდაციები თითოეული თემის შესახებ ხელმისაწვდომია წინამდებარე მიმოხილვის მე-5 თავში.

თუ ამ მიმოხილვის გამოქვეყნებიდან ერთი წლის განმავლობაში შესამჩნევად არ გაუმჯობესდება ჟურნალისტთა მიმართ ძალადობის გამოძიება და სისხლის-სამართლებრივი დევნა, რეკომენდებულია, შეიქმნას საზოგადოებრივი კომისია, რომელიც გამოიძიებს ჟურნალისტთა მიმართ ძალადობისა და სამართალდამცველ ორგანოთა არასათანადო რეაგირების მიზეზებს.

3. კონტექსტი: მედიის თავისუფლება საქართველოში

ფორმალურად, საქართველოს სამართლებრივი და ნორმატიული ჩარჩო, როგორც ჩანს, იცავს მედიის თავისუფლებასა და ჟურნალისტთა უსაფრთხოებას. კონსტიტუციით მკაფიოდ არის გარანტირებული მედიისა და გამოხატვის თავისუფლება, საზოგადოებრივი მაუწყებლისა თუ ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობა და ინტერნეტის თავისუფლება.[4] საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ"[5] შეიცავს გარანტიებს, რომლებიც ემყარება აშშ-ის კანონმდებლობას და სათანადოდ იცავს გამოხატვის თავისუფლებას. საერთო საკანონმდებლო გარემო რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე პროგრესულია.[6]

ამის მიუხედავად, ბოლო რამდენიმე წელიწადში მედიის თავისუფლების მდგომარეობა გაუარესდა. ევროპის საბჭოს ჟურნალისტთა უსაფრთხოების პლატფორმაზე მკვეთრად გაიზარდა საქართველოსთან დაკავშირებულ საგანგაშო სიგნალთა რაოდენობა და ქვეყანა ჩამოქვეითდა მედიის თავისუფლების ყოველწლიურ რეიტინგში, რომელსაც ადგენს ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე".[7] 2022 წლის ანგარიშის თანახმად, 180 ქვეყანას შორის საქართველო 89-ე ადგილზე იყო: წინა წელთან შედარებით, მან 29 პოზიციით ქვემოთ ჩამოიწია და ევროპაში ყველაზე დაბალრეიტინგიან ქვეყნებს შორის აღმოჩნდა (უარესი მაჩვენებლები ჰქონდათ მხოლოდ რუსეთს, ბელარუსს, უკრაინას, თურქეთს, აზერბაიჯანს, ბულგარეთს, საბერძნეთსა და ალბანეთს). მედიის მიმართ ძალადობა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, რაც ამ ანგარიშში დეტალურად განიხილება, თუმცა ეს ერთადერთი პრობლემა არ არის. დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუებში, ასევე, ბოლოდროინდელ ანგარიშებში, რომლებიც შეეხება მედიის თავისუფლებას საქართველოში, სხვა პრობლემურ საკითხებს შორის აღინიშნა:

- ჟურნალისტთა გათავისუფლება სამსახურიდან (ან გათავისუფლების მუქარა), როგორც მათ ჟურნალისტურ საქმიანობაზე ზეგავლენის საშუალება;
- ე. წ. SLAPP-ის სამართალწარმოება კრიტიკული ხმების გასაჩუმებლად (აკრონიმი აღნიშნავს „სტრატეგიულ სამართალწარმოებას სამოქალაქო ჩართულობის წინააღმდეგ" და მიუთითებს სასამართლოში სარჩელის შეტანაზე, როგორც შევიწროების ფორმაზე);
- წყაროთა დაცვისთვის შექმნილი საფრთხეები, მათ შორის, მედიასაშუალების შენობა-ნაგებობათა ჩხრეკითა და ჟურნალისტური მასალების ამოღებით;
- შესაძლო თვალთვალი ჟურნალისტთა მიმართ;
- ზოგიერთი ჟურნალისტისთვის შერჩევითი უარის თქმა ინფორმაციასთან წვდომასა და პრესკონფერენციებზე დაშვებაზე;
- ჩარევა მედიისა და დამოუკიდებელი ჟურნალისტების სარედაქციო დამოუკიდებლობაში;

4. საქართველოს კონსტიტუცია, 2018 წლის 2 აპრილს ცვლილებებით.
5. საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ", 2004.
6. CSO Meter 2021: ქვეყნის შესახებ ანგარიში, საქართველო, გვ. 35.
7. იხ. https://rsf.org/en/country/georgia.

- პოლარიზებული მედიალანდშაფტი;
- კავშირები მედიის მსხვილ კონგლომერატებს, ბიზნესკომპანიებსა და პოლიტიკოსებს შორის;
- სახელმწიფო მაუწყებლის მყიფე დამოუკიდებლობა;
- არასაკმარისად განვითარებული სარეკლამო ბაზარი;
- საზოგადოებაში არსებული დაძაბულობის ზემოქმედება მედიაზე, ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორიცაა რელიგია, ლგბტქი+ უფლებები და რუსეთის გავლენა.

მსგავს პრობლემურ საკითხებს წამოჭრის სხვა საერთაშორისო და ეროვნული მეთვალყურე ორგანიზაციების (watchdog) შეფასებებიც.[8]

2022 წლის ივნისში ევროკომისიამ შეშფოთება გამოხატა იმის გამო, რომ ბოლოდროინდელმა მოვლენებმა შეაფერხა პროგრესი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით. კანდიდატის სტატუსის მოპოვების წინაპირობად, კომისიამ საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, რომ, სხვა საკითხებთან ერთად, „უფრო ძლიერი ძალისხმევა გაიღოს თავისუფალი, პროფესიული, პლურალისტური და დამოუკიდებელი მედიაგარემოს შესაქმნელად, განსაკუთრებით, იმის უზრუნველყოფით, რომ მედიის მფლობელთა წინააღმდეგ აღძრული სისხლისსამართლებრივი პროცედურები აკმაყოფილებდეს უმაღლეს სამართლებრივ სტანდარტებს და ჩატარდეს მიუკერძოებელი, ეფექტიანი და დროული გამოძიებები მუქარის შემთხვევებზე, რომელიც მიემართება ჟურნალისტთა და მედიის სხვა პროფესიონალთა უსაფრთხოებას.“[9]

გადახედა რა საქართველოს მიღწევებს უფრო გრძელვადიან პერიოდში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა მიესალმა ქვეყანაში 2014 წლიდან მიღწეულ პროგრესს, მაგრამ, ამავდროულად, შეშფოთებაც გამოხატა. 2022 წლის აპრილში მიღებულ რეზოლუციაში, რომელიც შეეხება „ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას საქართველოს მიერ “, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა მიესალმა „განგრძობით და შესამჩნევ პროგრესს“, თუმცა, მან ხაზი გაუსვა რამდენიმე ხარვეზსა და პრობლემას ისეთ სფეროებში, როგორიცაა: საარჩევნო რეფორმა, საპარლამენტო ზედამხედველობა, სასამართლოს დამოუკიდებლობა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, მედიის თავისუფლება და ლგბტქი+ თემის დაცვა.[10]

ამ ანგარიშისთვის გამოკითხული დაინტერესებული მხარეები ყველაზე მწვავე საკითხად ასახელებენ უსაფრთხოებას. 2023 წლის იანვრის მდგომარეობით, ევროპის საბჭოს ჟურნალისტთა უსაფრთხოების პლატფორმაზე საქართველოსთან დაკავშირებით 16 საგანგაშო სიგნალი იყო შესული, რომელთაგან სახელმწიფომ უპასუხა

8. ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ მედიაგარემოს აღწერს, როგორც „გამწვავებულს“, და შეშფოთებას გამოთქვამს ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა მუქარა, ძალადობა, პოლარიზაცია, ფინანსური არამდგრადობა, დეზინფორმაცია და მედიის მარეგულირებლის დამოუკიდებლობა (იხ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა“, საქართველოს მედიაგარემო 2016-2020 წლებში; ასევე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“, მედია – ძალადობისა და ტოტალური უკანონო მოსმენების სამიზნე: წინასაარჩევნო მედიაგარემოს შეფასება). ორგანიზაცია „თავისუფლების სახლმა“ (Freedom House) ასევე გამოხატა შეშფოთება მთავრობის „მზარდი აგრესიული“ დამოკიდებულების გამო ჟურნალისტთა მიმართ (მაგ: ძალადობა, ზოგიერთი ჟურნალისტისთვის უარის თქმა პრესის სამთავრობო ღონისძიებებზე დაშვებაზე, ჟურნალისტთა თვალთვალი და მთავრობის მიმართ კრიტიკულად განწყობილ ჟურნალისტთა გათავისუფლება სამსახურიდან) (Freedom in the World 2022, საქართველო). მსგავსი დასკვნები გააკეთეს სამოქალაქო საზოგადოების სხვა ჯგუფებმაც. მათ შორისაა: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შეფასება საქართველოში 2021 წელს, გვ. 14-15); საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (მედიის თავისუფლება საქართველოში, 2022 წლის მაისი და ანგარიში საქართველოში SLAPP-საქმეების შესახებ, 2022); და „კოალიცია თანასწორობისთვის“, დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში, 2020 წ., გვ.103.

9. მოსაზრება საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადის შესახებ, 2022 წლის 17 ივნისი.

10. რეზოლუცია 2438 (2022), 2022 წლის 28 აპრილი.

12-ს, გადაწყვეტილება კი მიიღო მხოლოდ 3-ზე.[11] აქტიური საგანგაშო სიგნალები მეტწილად 2020-2022 წლებში აღირიცხა და, ძირითადად, ეხებოდა თავდასხმებს ჟურნალისტთა ფიზიკურ უსაფრთხოებასა და ხელშეუხებლობაზე, ასევე, მათ შევიწროებასა და დაშინებას.[12] პლატფორმაზე საქართველოსთან დაკავშირებით შესული საგანგაშო სიგნალების რაოდენობა ბოლო 5 წელიწადში მკვეთრად გაიზარდა 0-დან (2017-2019) 16-მდე (2020-2022).

სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლებმა, რომლებიც ამ მიმოხილვისთვის გამოიკითხნენ, აღნიშნეს, რომ ბოლო რამდენიმე წელიწადში ჟურნალისტიკის დაცვა და ჟურნალისტთა უსაფრთხოება საქართველოში მკვეთრად გაუარესდა. ყველამ მიუთითა ულტრამემარჯვენე ჯგუფების მხრიდან ძალადობაზე პრაიდის ღონისძიებისას, 2021 წლის ივლისში, რა დროსაც ისინი თავს დაესხნენ 50-ზე მეტ ჟურნალისტს. ერთ-ერთი მათგანი რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. UNESCO-მ ის მოკლულ ჟურნალისტთა სიაში შეიყვანა[13], თუმცა, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, მისი სიკვდილის მიზეზი იყო გულ-სისხლძარღვთა და სუნთქვის მწვავე უკმარისობა, ნარკოტიკული ინტოქსიკაციის გამო.[14] სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლებმა 5 და 6 ივლისის თავდასხმები აღწერეს როგორც „შავი დღე“ მედიის თავისუფლებისთვის, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა. ამ ძალადობრივი ქმედებების გამო, 31 პირის მიმართ აღიძრა სისხლისსამართლებრივი დევნა და ყველა მათგანისთვის დადგა გამამტყუნებელი განაჩენი. 27 პირს სასჯელის სახით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 1-დან 5 წლამდე ვადით.[15] თუმცა, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენელთა თქმით, ეს არ ნიშნავს, რომ ყველა პასუხისმგებელი პირი წარდგა მართლმსაჯულების წინაშე. ისინი მიუთითებენ, რომ თავდასხმები ერთჯერადი არ იყო და ხდებოდა წინა ძალადობრივი ინციდენტების შემდეგ, მედიის მიმართ სიძულვილისა და უარყოფითი რიტორიკის ფონზე, რასაც ამწვავებდნენ მაღალი რანგის პოლიტიკოსები, თანამდებობის პირები და ეკლესიის წარმომადგენლები.

მთავრობისა და სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებმა, რომლებიც ამ მიმოხილვისთვის გამოიკითხნენ, სრულად არ გაიზიარეს სამოქალაქო საზოგადოების ანალიზი ძალადობის გამომწვევ მიზეზთა შესახებ, თუმცა აღიარეს, რომ ჟურნალისტთა მიმართ ძალადობა მთავარი პრობლემა იყო. მათ გამოთქვეს მოსაზრება, რომ ჟურნალისტები საკმარისად არ იცნობდნენ თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს და ზოგჯერ შეიძლება „მეტისმეტად დაჟინებულადაც“ ცდილობდნენ პასუხების მიღებას, რამაც გაამწვავა მდგომარეობა. სამართალდამცველ ორგანოთა ზოგიერთმა წარმომადგენელმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ თავად ჟურნალისტებიც ნაკლებად თანამშრომლობდნენ მათ მიმართ ჩადენილ დანაშაულთა გამოძიებაში.

სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლებმა, რომლებიც ამ მიმოხილვისთვის გამოიკითხნენ, დამატებით აღნიშნეს, რომ უსაფრთხოების კუთხით

11. იხ. https://fom.coe.int/en/pays/detail/11709512.

12. იხ. https://fom.coe.int/en/alerte?typeData=1&idPays=11709512&time=1652174470180.

13. იხ. https://www.unesco.org/en/safety-journalists/observatory/grid?hub=72609&f%5B0%5D=countries%3A10d20f41-9d26-5d5a-bba7-2c9e73b685de&f%5B1%5D=dataset_filters%3Ad4a028c7-b988-44c4-9fcd-ef76810a0974#toggle-facets.

14. საქართველოს სახალხო დამცველი, ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020 წელი, გვ. 137.

15. პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად. ასევე იხ. https://cpj.org/2022/04/georgia-convicts-26-people-over-2021-attack-on-journalists-by-anti-lgbt-protesters/.

არსებული პრობლემები უნდა განიხილებოდეს სხვა პრობლემურ საკითხთა კონტექსტში, რომლებიც უკავშირდება მედიის თავისუფლებას და ჩამოთვლილია ზემოთ.

ზოგადი მდგომარეობა, რომლის ფონზეც უნდა გაანალიზდეს ამ მიმოხილვაში აღწერილი გამოწვევები, საკმაოდ რთულია და გასათვალისწინებელი იქნება პრობლემის გადასაჭრელი გზების შემუშავებისას.

4. პრობლემური საკითხები

ეს თავი ყურადღებას ამახვილებს შემდეგ ოთხ საკითხზე:

1. ჟურნალისტთა მიმართ ძალადობის გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა;
2. სამართალდამცველ უწყებათა შესაძლებლობები ჟურნალისტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით (როგორც ინსტიტუციური შესაძლებლობები, ისე სწავლების საჭიროებები);
3. ჟურნალისტთა უსაფრთხოება მანიფესტაციების დროს;
4. მედიის შესაძლებლობები და ცოდნა მისი უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ უსაფრთხოების საკითხებთან მიმართებით.

4.1. ჟურნალისტთა მიმართ ძალადობის გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა

4.1.1. საერთაშორისო სტანდარტები და კარგი პრაქტიკა

ძალადობრივი თავდასხმები ჟურნალისტებზე წამოჭრის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში – „კონვენცია“) რამდენიმე დებულებით გათვალისწინებულ საკითხებს. მათ შორისაა: სიცოცხლის უფლება, დამამცირებელი მოპყრობისგან თავისუფლება, პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება, გაერთიანების თავისუფლება და გამოხატვის თავისუფლება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (შემდგომში – „სასამართლო“) თავისი პრეცედენტული სამართლის საშუალებით შეიმუშავა რიგი პრინციპები, რომლებიც განმარტავს სახელმწიფოთა სხვადასხვა ვალდებულებას ჟურნალისტთა უსაფრთხოების კუთხით. ეს პრინციპები შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს:[16]

ზოგადად, სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონვენცია არა მხოლოდ მოითხოვს სახელმწიფოებისგან, რომ თავი შეიკავონ გაუმართლებელი ჩარევისგან გამოხატვის თავისუფლებაში, არამედ ვალდებულებასაც აკისრებს მათ, რომ შექმნან გარემო, რომელშიც ყველას შეეძლება ყოველგვარი შიშის გარეშე მონაწილეობა საჯარო დებატებში, თუნდაც გამოთქმული მოსაზრებები იყოს გამაღიზიანებელი, შოკისმომგვრელი, ან ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის აზრს.[17] ამას ზოგჯერ მოიხსენიებენ სახელმწიფოთა მოვალეობად, „ხელშემწყობი გარემო“ შექმნან გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისათვის. უსაფრთხოების საკითხთან მიმართებით, ეს ნიშნავს, რომ:

(1) სახელმწიფოებს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში უნდა ჰქონდეთ ქმედითი დებულებები დანაშაულთა შესაკავებლად;

16. სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ ევროპის საბჭოს საინფორმაციო ფურცელი ჟურნალისტებზე ფიზიკური თავდასხმების ჩამდენ პირთა დაუსჯელობის შესახებ, 2020 წლის იანვარი.

17. მაგალითად, იხ. სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Dink v. Turkey*, 2010 წლის 14 სექტემბერი, განაცხადი no. 2668/07, 6102/08, 30079/08, 7072/09 და 7124/09, პუნქტი 137; და საქმეზე Özgür Gündem v. Turkey, 2000 წლის 16 მარტი, განაცხადი no. 23144/93, პუნქტები 42-46.

(2) სისხლის სამართლის კანონმდებლობის დებულებები უნდა გამყარდეს სამართალაღსრულების ეფექტიანი და დამოუკიდებელი მექანიზმით და (საეჭვო) დარღვევები დროულად იქნას გამოძიებული;

(3) სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ პრევენციული ოპერაციული ზომები იმ პირთა დასაცავად, რომელთა სიცოცხლეც საფრთხეშია.[18]

სისხლის სამართლის კანონმდებლობის ქმედითი დებულებები

სისხლის სამართლის კანონმდებლობის ქმედითი დებულებების გარეშე, ჟურნალისტებზე თავდასხმის ფაქტების გამოძიება განწირულია წარუმატებლობისთვის.

მინისტრთა კომიტეტმა შესაბამისი პრინციპები დეტალურად გააანალიზა თავის CM/Rec(2016)4 რეკომენდაციაში - სტანდარტების დამდგენ დოკუმენტში, რომელიც შემუშავდა ხანგრძლივი კონსულტაციებისა და განხილვების შედეგად.[19] რეკომენდაცია ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს (ამონარიდი):

„წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დანერგონ ყოვლისმომცველი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც ჟურნალისტებსა და მედიის სხვა აქტორებს შესაძლებლობას მისცემს, რომ ეფექტიანად და ყოველგვარი შიშის გარეშე შეიტანონ წვლილი საჯარო დებატებში. ... საკანონმდებლო ჩარჩო, მათ შორის, სისხლის სამართლის კანონმდებლობის დებულებები, რომლებიც ეხება პირის ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის დაცვას, უნდა მოქმედებდეს ეფექტიანად, მათ შორის, ადმინისტრაციული მექანიზმების მეშვეობით და ჟურნალისტთა და მედიის სხვა აქტორთა განსაკუთრებული როლის აღიარებით დემოკრატიულ საზოგადოებაში. საკანონმდებლო ჩარჩო და მისი აღსრულება ეფექტიანად უნდა იცავდეს ქალ ჟურნალისტებსა და მედიის სხვა ქალ აქტორებს გენდერული საფრთხეებისგან, მათი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას“.

„ერთობლივი დეკლარაცია გამოხატვის თავისუფლების მიმართ ჩადენილ დანაშაულთა შესახებ“, რომელიც გამოსცეს გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა აზრისა და გამოხატვის თავისუფლების საკითხებში, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) წარმომადგენელმა მედიის თავისუფლების საკითხებში, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის (OAS) სპეციალურმა მომხსენებელმა გამოხატვის თავისუფლების საკითხებში და ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული კომისიის სპეციალურმა მომხსენებელმა გამოხატვის თავისუფლებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხებში (ACHPR), მოითხოვს, რომ გამოხატვის თავისუფლებაზე მიმართული დანაშაულები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მკაფიოდ იყოს აღიარებული ცალკე კატეგორიად ან დამამძიმებელ გარემოებად, რასაც მოჰყვება უფრო მკაცრი სასჯელები.[20]

ევროპის რამდენიმე ქვეყანას სისხლის სამართლის კოდექსში აქვს სპეციალური დებულებები, რომელთა მეშვეობითაც კრიმინალიზებულია ძალადობა ჟურნალისტების ან, უფრო ფართოდ, გამოხატვის თავისუფლების მიმართ. მათ შორის ყველაზე კონკრეტულად და დეტალურად შემუშავებულია უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსი, რომელშიც მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა 2015 და 2016 წლებში, შემდეგი დებულებების გასათვალისწინებლად:

18. იხ. მაგალითად, საქმე *Gongadze v. Ukraine*, 2005 წლის 8 ნოემბერი, 34056/02, პუნქტი 164.

19. იხ. რეკომენდაცია და განხორციელების სახელმძღვანელო.

20. იხ. 2012 წლის 25 ივნისის ერთობლივი დეკლარაცია გამოხატვის თავისუფლების მიმართ ჩადენილ დანაშაულთა შესახებ.

- 163-ე მუხლი ჟურნალისტთა კომუნიკაციის (საფოსტო, სატელეფონო, ელექტრონული და ა. შ.) მიყურადებისთვის ითვალისწინებს გამკაცრებულ სასჯელს, სამიდან შვიდ წლამდე ვადით;
- 171-ე მუხლით კრიმინალიზებულია ჩარევა ჟურნალისტთა პროფესიულ საქმიანობაში, რაც განმარტებულია, როგორც: ჟურნალისტური მასალის უკანონო ამოღება, უკანონო უარი ინფორმაციასთან წვდომაზე, გარკვეული თემების ან გარკვეულ პირებზე ინფორმაციის გაშუქების უკანონო აკრძალვა და „ნებისმიერი სახის განზრახ ხელშეშლა ჟურნალისტის კანონიერი პროფესიული საქმიანობისთვის". ასევე დანაშაულებრივი ქმედებაა „ნებისმიერი ფორმით ზემოქმედება ჟურნალისტზე პროფესიულ მოვალეობათა შესრულებაში ხელშეშლის მიზნით, ან ჟურნალისტის დევნა, რომელიც უკავშირდება მის კანონიერ პროფესიულ საქმიანობას." სასჯელი: ჯარიმა, პატიმრობა 6 თვემდე ვადით, თავისუფლების შეზღუდვა სამ წლამდე ვადით (ხუთ წლამდე ვადით, თუ დანაშაული ჩადენილია თანამდებობის პირის მიერ ან ჯგუფურად, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით 3 წლამდე ვადით, ან ამის გარეშე);
- 345-1 მუხლით კრიმინალიზებულია შემდეგი დანაშაულები:
    - მუქარა ან ძალადობა ჟურნალისტის, მისი ქონების ან ოჯახის მიმართ, რომელიც უკავშირდება ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობას. სასჯელი: გამასწორებელი სამუშაო ორ წლამდე ვადით, პატიმრობა ექვს თვემდე ვადით, თავისუფლების შეზღუდვა სამ წლამდე ვადით, ან თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე ვადით (ან შვიდიდან თოთხმეტ წლამდე ვადით, თუ დანაშაული ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ);
    - ჟურნალისტის ან მისი ოჯახის წევრის განზრახ ცემა, ან სხეულის მსუბუქი ან საშუალო ხარისხის დაზიანება, რომელიც უკავშირდება ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობას. სასჯელი: თავისუფლების შეზღუდვა ხუთ წლამდე ვადით, ან თავისუფლების აღკვეთა იმავე ვადით (ან შვიდიდან თოთხმეტი წლამდე, თუ დანაშაული ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ);
    - ჟურნალისტის ან მისი ოჯახის წევრის სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, რომელიც უკავშირდება ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობას. სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა ხუთიდან თორმეტ წლამდე ვადით (ან შვიდიდან თოთხმეტი წლამდე, თუ დანაშაული ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ).
- 347-1 მუხლით კრიმინალიზებულია ჟურნალისტის ან მისი ოჯახის წევრის ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება, რომელიც უკავშირდება ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობას. სასჯელი: ჯარიმა, პატიმრობა ექვს თვემდე ვადით ან თავისუფლების შეზღუდვა ხუთ წლამდე ვადით (ექვსიდან თხუთმეტ წლამდე ვადით, თუ დანაშაული ჩადენილია ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით, ანდა მან გამოიწვია ადამიანის სიკვდილი ან სხვა მძიმე შედეგები);
- 348-1 მუხლით კრიმინალიზებულია ჟურნალისტის ან მისი ოჯახის წევრის მკვლელობა ან მკვლელობის მცდელობა, რომელიც უკავშირდება ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობას. სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა ცხრიდან თხუთმეტ წლამდე ვადით, ან უვადოდ;

- 349-1 მუხლით კრიმინალიზებულია ჟურნალისტის ან მისი ოჯახის წევრის მძევლად აყვანა, იმ მიზნით, რომ აიძულონ ამა თუ იმ ქმედების შესრულება ან შესრულებისგან თავშეკავება, გათავისუფლების პირობის სახით. სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა რვიდან თხუთმეტ წლამდე ვადით.

სისხლის სამართლის კოდექსის ოფიციალურ განმარტებით ბარათში ნათქვამია, რომ:

> „ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობა არის პირის სისტემატური საქმიანობა, რომელიც უკავშირდება ინფორმაციის შეგროვებას, მიღებას, შექმნას, გავრცელებას, შენახვას ან სხვა სახით გამოყენებას პირთა განუსაზღვრელ წრეში გასავრცელებლად, ბეჭდ ური მედიით, ტელევიზიითა და რადიოორგანიზაციებით, საინფორმაციო სააგენტოებითა და ინტერნეტით. ჟურნალისტის სტატუსი ან მისი კავშირი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან დასტურდება მასმედიის, რედაქციის ან ჟურნალისტთა პროფესიული თუ შემოქმედებითი გაერთიანების მიერ გაცემული სარედაქციო ან სამსახურებრივი მოწმობით ან სხვა დოკუმენტით.“

სერბეთის სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლი ითვალისწინებს გამკაცრებულ სასჯელს პირისთვის საფრთხის შექმნის ან მუქარის შემთხვევაში, თუ დანაშაული მიმართულია ჟურნალისტის წინააღმდეგ (სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა ექვსი თვიდან ხუთ წლამდე ვადით). 148-ე მუხლით კრიმინალიზებულია სიტყვის თავისუფლების რომელიმე ფორმის უკანონოდ უარყოფა ან შეზღუდვა (სასჯელი: ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე ვადით); ხოლო 149-ე მუხლით კრიმინალიზებულია ბეჭდვისა და ბეჭდური მასალის გავრცელებისა და მაუწყებლობის ხელშეშლა (სასჯელი: ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე ვადით).

ევროპის სხვა ქვეყნები, რომლებსაც დანერგილი აქვთ სისხლის სამართლის სპეციალური დებულებები:

- შვედეთი: დანაშაულია „უკანონო იძულება ან მუქარა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე ზემოქმედების განზრახვით. ... და ამით საფრთხის შექმნა სიტყვის, შეკრების ან გაერთიანების თავისუფლებისთვის“. სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა ექვს წლამდე ვადით;
- სომხეთი: დანაშაულია ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელშეშლა ან ჟურნალისტთა იძულება, რომ გაავრცელონ ინფორმაცია ან თავი შეიკავონ მისი გავრცელებისგან. სასჯელი: ჯარიმა ან, თანამდებობის პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე ვადით, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, ან ამის გარეშე. თუ დანაშაული ჩადენილია ძალადობის მუქარით, ის ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან შვიდ წლამდე;
- საფრანგეთი: სისხლის სამართლის კოდექსით კრიმინალიზებულია „გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაში ჩარევა შეთანხმებულად და მუქარით“ და „გამოხატვის თავისუფლების განხორციელების ხელშეშლა შეთანხმებულად და ცემის, ძალადობის, თავდასხმის, განადგურების ან დამცირების გზით“. სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე ვადით და ჯარიმა 45 000 ევრომდე, აგრეთვე საჯარო ფუნქციის შესრულების აკრძალვა. საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსით დამატებით კრიმინალიზებულია ისეთი პირადი ინფორმაციის

> გამჟღავნება, რომელიც იძლევა ჟურნალისტების ან მათი ადგილსამყოფლის იდენტიფიცირების შესაძლებლობას და, პოტენციურად, მათ უქმნის ზიანის პირდაპირ რისკს (სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლით და ჯარიმა 75 000 ევროს ოდენობით).

ეს დებულებები სრულად წარმოდგენილია №2 დანართში (ქართულად თარგმანი გადმოტანილია ინგლისურენოვანი ვერსიიდან).

გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა

ჟურნალისტებზე თავდასხმის ან მათ მიმართ მუქარის შემთხვევებში, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, ჩაატარონ სწრაფი, დამოუკიდებელი და ეფექტიანი გამოძიება, პასუხისმგებელ პირთა მართლმსაჯულების წინაშე წარსადგენად. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ: გამოძიება და თანმდევი სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა იყოს სწრაფი; გამოძიებამ უნდა გამოიკვლიოს შესაძლო კავშირი თავდასხმასა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობას შორის; პროცესში ჩართული უნდა იყოს ჟურნალისტი ან მისი ოჯახი, რომელსაც უნდა ჰქონდეს წვდომა საქმის მასალებზე.[21]

რეკომენდაცია CM/Rec(2016)4 ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს (ამონარიდები):

> „მკვლელობის, თავდასხმისა და არასათანადო მოპყრობის გამოძიება უნდა იყოს ეფექტიანი და, შესაბამისად, აკმაყოფილებდეს ძირითად მოთხოვნებს შესაბამისობის, ზედმიწევნითობის, მიუკერძოებლობის, დამოუკიდებლობის, სისწრაფისა და საზოგადოებრივი კონტროლის კუთხით ...
>
> გამოძიება უნდა იყოს ეფექტიანი, რათა შეეძლოს როგორც ფაქტების დადგენა, ასევე პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა და, შესაბამის შემთხვევაში, დასჯა. ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ყოველი გონივრული ზომა ინციდენტთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულების შესაგროვებლად. გამოძიების დასკვნები უნდა ეფუძნებოდეს ყველა შესაბამისი ელემენტის სრულ, ობიექტურ და მიუკერძოებელ ანალიზს, მათ შორის, ადგენდეს, არსებობს თუ არა კავშირი ჟურნალისტთა და მედიის სხვა აქტორთა მიმართ მუქარასა და ძალადობას და ჟურნალისტურ საქმიანობას ან საჯარო დებატების ხელშემწყობ სხვა მსგავს აქტივობას შორის...
>
> გამოძიებას უნდა ატარებდნენ სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი, სპეციალიზებული და უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულები, რომელთა თანამშრომლებსაც გავლილი აქვთ სათანადო სწავლება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებისა და გარანტიების შესახებ.“[22]

(2016)4 რეკომენდაციის განხორციელების სახელმძღვანელოში დეტალურად არის აღწერილი, თუ როგორ შეიძლება ამ რეკომენდაციების საუკეთესოდ შესრულება. ის ხაზს უსვამს შემდეგ საკითხებს:

- ***ადეკვატურობა:*** გამოძიება უნდა იყოს ადეკვატური, იმ გაგებით, რომ შეეძლოს პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა და დასჯა. სახელმწიფო ორგანოებმა უნდა მიიღონ გონივრული ზომები ინციდენტთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი მტკიცებულების მოსაპოვებლად. მათ შორისაა: თვითმხილველთა ჩვენებები, სასამართლო ექსპერტიზა და, შესაბამის შემთხვევაში, გვამის გაკვეთა, რის

21. იხ., მაგალითად, საქმე *Yaşa v. Turkey*, განაცხადი no. 22495/93, 1998 წლის 2 სექტემბერი; საქმე *Najafli v. Azerbaijan*, განაცხადი no. 2594/07, 2012 წლის 2 ოქტომბერი; საქმე *Emin Huseynov v. Azerbaijan*, განაცხადი no. 59135/09, 2015 წლის 7 მაისი; საქმე *Huseynova v. Azerbaijan*, განაცხადი no. 10653/10, 2017 წლის 13 აპრილი.

22. პუნქტები 18-27, ამონარიდები.

შედეგადაც სრული და ზუსტი ჩანაწერი გაკეთდება დაზიანების შესახებ და ობიექტურად გაანალიზდება კლინიკური მონაცემები, მათ შორის, სიკვდილის მიზეზი;

- ***ზედმიწევნითობა:*** გამოძიების ფარგლები უნდა იყოს ყოვლისმომცველი და ითვალისწინებდეს ყველა შესაძლო წინაპირობას, მათ შორის, რასისტულ, გენდერულ ან სხვა დისკრიმინაციულ მოტივს, ნებისმიერ პოლიტიკურ მოტივს და შესაძლო კავშირს ძალადობასა და დაზარალებულის ჟურნალისტურ საქმიანობას შორის.[23] გამოძიებას უნდა შეეძლოს იმ სისტემატური ხარვეზების გამოვლენაც, რომლებმაც გამოიწვია დარღვევა. ეს მოითხოვს, რომ მტკიცებულებათა მოსაპოვებლად მიიღონ ყველა გონივრული ზომა, როგორიცაა: სავარაუდო დაზარალებულების, ეჭვმიტანილებისა და თვითმხილველების გამოვლენა და გამოკითხვა; სავარაუდო დანაშაულის ადგილის გამოკვლევა ნივთიერ მტკიცებულებათა მოსაპოვებლად; და მტკიცებულებების შეგროვება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზისთვის, კომპეტენტურ სპეციალისტთა მიერ. მტკიცებულებები უნდა შეფასდეს საფუძვლიანად, თანმიმდევრულად და ობიექტურად. თუ არსებობს მტკიცებულება, რომ დანაშაული შეიძლება მიემართებოდეს გამოხატვის თავისუფლებას, გამოძიება უნდა წარიმართოს ამ ვარაუდით, სანამ არ დამტკიცდება საპირისპირო და არ ამოიწურება დაზარალებულის ჟურნალისტური საქმიანობის მოკვლევა;
- ***სისწრაფე:*** გამოძიება უნდა იყოს სწრაფი. ჟურნალისტთა და მედიის სხვა აქტორთა მიმართ მუქარისა ან ძალადობის გამოძიებისა და განხილვის შეყოვნება მიანიშნებს, რომ ასეთ დანაშაულებს ნაკლები პრიორიტეტი ენიჭება. ეს, თავის მხრივ, იწვევს დაუსჯელობის განცდას დანაშაულის ჩამდენ პირთა შორის და ხელს უწყობს მიმღებლობის დამკვიდრებას ამგვარი ძალადობის მიმართ;
- ***გამოძიების ვალდებულება, მაშინაც კი, თუ საჩივარი გამოთხოვილია:*** სახელმწიფო ორგანოები საკუთარი ინიციატივით უნდა მოქმედებდნენ, როგორც კი შეიტყობენ კონკრეტული გარემოების შესახებ, და გამოძიების დასაწყებად არ უნდა ითხოვდნენ ინიციატივას უახლოესი ნათესავებისგან. ფაქტი, რომ დაზარალებულს არ სურს ოფიციალური საჩივრის წარდგენა, ან მოგვიანებით ის გამოითხოვს თავის საჩივარს ან გადაწყვეტს საქმისწარმოების შეწყვეტას, ხელისუფლებას არ ათავისუფლებს ეფექტიანი გამოძიების ვალდებულებისაგან.[24]
- ***კონტროლი და ანგარიშვალდებულება:*** პრაქტიკაში დაზარალებულს ან მის ახლო ნათესავს უნდა ჰქონდეს გამოძიებაზე ინფორმაციის მიღების, მათ შორის, საქმის მასალებზე წვდომისა და მტკიცებულებათა წარდგენის შესაძლებლობა.[25]

თუ დამნაშავეს მსჯავრს გამოუტანენ, მნიშვნელოვანია, რომ შეფარდებული სასჯელი ასახავდეს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. თუ დამნაშავეთა მიმართ, რომლებმაც ჟურნალისტთა წინააღმდეგ ჩაიდინეს დანაშაული, გამოიყენებენ მხოლოდ მსუბუქ სასჯელს, ჩამოყალიბდება შეხედულება, რომ ასეთი დანაშაულები სერიოზულად არ აღიქმება, რაც, შესაბამისად, ხელს შეუწყობს დაუსჯელობის განცდას.

CM/Rec(2016)4 რეკომენდაციის თანახმად, როდესაც გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნას შედეგად არ მოჰყვება ჟურნალისტებზე თავდამსხმელ პირთა წარდგენა მართლმსაჯულების წინაშე, სახელმწიფოებმა სპეციალური მოკვლევა უნდა ჩაატარონ კონკრეტულ საქმეებზე, ან შექმნან დამოუკიდებელი სპეციალი-

23. იხ. ასევე საქმე *Adali v. Turkey*, განაცხადი no. 38187/97, 2005 წლის 31 მარტი.
24. იხ. ასევე საქმე *Yasa v. Turkey*, განაცხადი no. 22495/93, 1998 წლის 2 სექტემბერი, პუნქტი 100.
25. იხ. ასევე საქმე *Huseynova v. Azerbaijan*, განაცხადი no. 10653/10, 2017 წლის 13 აპრილი.

ზებული ორგანოები, რომლებიც მუდმივად ჩაატარებენ ასეთ მოკვლევებს. ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობით შექმნილი ორგანო, რომელშიც ერთიანდებიან მედიის ან სამოქალაქო საზოგადოების ავტორიტეტული წარმომადგენლები, ასევე, პრაქტიკოსი იურისტები (დაწყებული ადვოკატებით და დამთავრებული პროკურორებითა და მოსამართლეებით).[26] ასეთი ორგანოს ბოლოდროინდელი მაგალითია „საზოგადოებრივი მოკვლევა" (Public Inquiry), რომელიც შეიქმნა მალტაში, დაფნე კარუანა გალიზიას მკვლელობის გამოსაძიებლად, და რომელმაც შეძლო ცნობილი ჟურნალისტის მკვლელობის გარემოებათა გამოვლენა.[27]

და ბოლოს, ჟურნალისტთა მიმართ ძალადობასთან ეფექტიანად გამკლავებისათვის, არსებითად მნიშვნელოვანია პრობლემის მასშტაბის გააზრება და სამართალდამცველ ორგანოთა ამჟამინდელი რეაგირების ეფექტიანობის შეფასება. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი ელემენტია სტატისტიკა. ამიტომაც, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ შეაგროვონ მონაცემები ჟურნალისტთა მიმართ ძალადობის შესახებ[28], გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ კი გასცა რეკომენდაცია, რომ სახელმწიფოებმა შექმნან ინფორმაციის შეგროვებისა და მონიტორინგის მექანიზმები ჟურნალისტთა მიმართ მუქარის, თავდასხმების თუ ძალადობის შესახებ.[29]

4.1.2. საქართველოში არსებული პრაქტიკის ანალიზი

წინამდებარე ანგარიშის მე-2 თავში უკვე აღინიშნა, რომ ბოლო წლებში ჟურნალისტებზე თავდასხმების რიცხვი მკვეთრად გაიზარდა. მართალია, ზოგიერთი თავდამსხმელი წარდგა მართლმსაჯულების წინაშე, თუმცა ეს ასე არ მომხდარა ძალადობის ყველა შემთხვევასთან მიმართებით. შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოება და მედიაორგანიზაციები, რომლებიც ამ ანგარიშისთვის გამოიკითხნენ, ძლიერ შეშფოთებას გამოთქვამდნენ გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობასთან დაკავშირებით.

4.1.2 (i) საერთო საკანონმდებლო ჩარჩო

ჟურნალისტებზე თავდასხმების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ძირითადი საკანონმდებლო ინსტრუმენტებია სისხლის სამართლის კოდექსი და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. განსაკუთრებით რელევანტურია სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც კრიმინალიზებულია: „ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ესე იგი მისი იძულება, გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისაგან". ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მოქმედება დამამძიმებელი გარემოებაა.[30] მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ 154-ე მუხლი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ჟურნალისტს ინფორმაციის გავრცელებას აიძულებენ მისი ნების საწინააღმდეგოდ, ან პირდაპირი ფორმით უზღუდავენ – მაგალითად, პირდაპირ ეთერში ემუქრებიან ან ესხმიან თავს.

26. პუნქტი 25.

27. იხ. ARTICLE 19-ის 2022 წლის სტატია ანგარიში საზოგადოებრივი მოკვლევისა და მიღებული გაკვეთილების შესახებ.

28. ინდიკატორი 16.10.1.

29. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია „ჟურნალისტთა უსაფრთხოების შესახებ", no. A/HRC/39/L.7, მიღებული 39-ე სესიაზე 2018 წლის 10–28 სექტემბერს, გვ. 4.

30. სისხლის სამართლის კოდექსი, ბოლო ცვლილება: 2022 წლის 25 მაისი.

ჟურნალისტებზე თავდასხმები, რომლებიც 154-ე მუხლის ფარგლებში არ ექცევა, იდევნება სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე სხვა დებულებით, მათ შორის:

- ჯანმრთელობის მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანება[31] ისჯება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე და 120-ე მუხლებით;
- ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რასაც არ მოჰყოლია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, მაგრამ გამოიწვია ფიზიკური ტკივილი, ისჯება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით;
- პირის ნივთის დაზიანება ან განადგურება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ისჯება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით;
- სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარა ისჯება სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით.

გარდა ამისა, 156-ე მუხლის თანახმად, დანაშაულია „ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით“.

ყველა დანაშაულთან მიმართებით, 53[1] მუხლი ადგენს, რომ საპატიმრო სასჯელის ვადის განსაზღვრისას, დამამძიმებელი გარემოებაა ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაცია.[32]

მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ჩარჩო ფარავს ჟურნალისტთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმას, 154-ე მუხლის შეზღუდული ფორმულირება განსაკუთრებულად გააკრიტიკა ამ ანგარიშისთვის გამოკითხულ მხარეთა უმეტესობამ, მათ შორის იყვნენ სამართალდამცველ ორგანოთა წარმომადგენლებიც. 154-ე მუხლი ვრცელდება მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებზე და გამოჩნდა, რომ არსებობს საქმეთა ე.წ. „ნაცრისფერი სივრცე“ (grey area), სადაც ცხადი არ არის, უნდა გამოიყენებოდეს თუ არა 154-ე მუხლი. მაგალითად, როდესაც 2020 წლის 30 ოქტომბერს, არჩევნების დღეს, ჟურნალისტს თავს დაესხნენ და კამერა დაუმტვრიეს, მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნით დაიწყო პოლიციამ გამოძიება 154-ე მუხლით და სისხლის სამართლის კოდექსის იმ დებულებით, რომელიც ეხება ნივთის დაზიანებას.[33] ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა დაადგინეს, რომ ჟურნალისტთა მიმართ გინება, ფურთხება და ყვირილი არის ჩარევა და ექცევა 154-ე მუხლის ფარგლებში.[34] უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ შურისძიების მუქარა ჟურნალისტის მიერ რაიმეს გამოქვეყნებასთან დაკავშირებით ასევე ექცევა 154-ე მუხლის ფარგლებში.[35] თუმცა, 2015 წელს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ჟურნალისტის კამერის ხელში ჩაგდება არ ექცევა 154-ე მუხლის ფარგლებში და ეს არის „თვითნებობის“ დანაშაული.[36] ასეთი გაურკვევლობა სისხლის სამართლის

31. დაზიანების ხარისხს ადგენს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი.

32. პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციით, ჟურნალისტის სტატუსის საფუძველზე დისკრიმინაცია ექცევა კატეგორიაში „დისკრიმინაციის სხვა ფორმები“.

33. მედიის ადვოკატირების კოალიცია, მედიაგარემო საქართველოში, გვ. 22, 2020. პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციით, გამოძიება დაიწყო სსკ-ის 187-ე მუხლით (ნივთის დაზიანება ან განადგურება), შემდგომში კი ის შეიცვალა 154-ე მუხლით. საბოლოოდ, ერთ პირს ბრალი წაუყენეს 154-ე და 126-ე მუხლების (ძალადობა) საფუძველზე და ის დამნაშავედ იქნა ცნობილი.

34. იხ. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 9 სექტემბრისა და 2019 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილებები.

35. უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

36. უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება. სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლით, „თვითნებობის“ დანაშაული განსაზღვრულია, როგორც „ნამდვილად თავისი ან თავისად დაგულებული უფლების დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ განხორციელება, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი“.

კოდექსის იმ დებულების სფეროსთან მიმართებით, რომელსაც საკვანძო მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, ცალსახად აფერხებს დანაშაულების გამოძიებასა და დევნას სამართალდამცველ ორგანოთა მიერ. დაინტერესებული მხარეები, მათ შორის, გენერალური პროკურატურიდან, სპეციალური საგამოძიებო სამსახურიდან და მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოდან, შეთანხმდნენ, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა კანონმდებლობის ახლებურად ჩამოყალიბება.

ჟურნალისტთა პროფესიული საქმიანობა ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე მოიცავს „ინფორმაციის გავრცელების" ცნების ამჟამინდელი ფორმულირება. სხვა პროფესიულ საქმიანობას მიეკუთვნება, მათ შორის, ინტერვიუირება, ინფორმაციის შეგროვება და ჟურნალისტური გამოძიება. ეს უკანასკნელი მოიცავს როგორც სამაგიდო, ისე საველე კვლევებს, მათ შორის, კონკრეტული ადგილების მონახულებას. მაგალითად, საქმეში *Szurovecz v. Hungary* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ჟურნალისტებისთვის უარის თქმა თავშესაფრის მაძიებელთა ცენტრში დაშვებაზე არღვევდა მათ უფლებას, შეეგროვებინათ ინფორმაცია, რაც გამოხატვის თავისუფლების განუყოფელი ნაწილია. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ინფორმაციის შეგროვება არის მნიშვნელოვანი მოსამზადებელი ეტაპი ჟურნალისტიკაში და პრესის თავისუფლების განუყოფელი და დაცული ნაწილი."[37] საქართველოს კანონმდებლობის რეფორმის ინსპირაციისთვის, შემოთავაზებულია უკრაინის კანონმდებლობის შესწავლა, რომელიც საკმაოდ დეტალურად აღწერს საქმიანობის ტიპებს და, ამავდროულად, ტოვებს სივრცეს „ნებისმიერი სხვა პროფესიული საქმიანობისთვის" (ითვალისწინებს რა, რომ შეუძლებელია ყველა იმ საქმიანობის ჩამოთვლა კანონმდებლობით, რომლებიც შეიძლება ჟურნალისტიკის ნაწილად ჩაითვალოს).[38]

რეკომენდებულია 154-ე მუხლის ახლებურად ჩამოყალიბება, რათა კრიმინალიზებული იყოს ყველა თავდასხმა იურიდიულ[39] და ფიზიკურ პირებზე, რომლებიც უკავშირდება ნებისმიერ ჟურნალისტურ საქმიანობას. მნიშვნელოვანია, დანაშაულის ფორმულირება იყოს საკმარისად ფართო, რათა მოიცვას თავდასხმები მედიასაშუალებათა შენობებზე, ასევე, ჟურნალისტურ საქმიანობასთან დაკავშირებული ძალადობა და მუქარა ყველა პირის მიმართ, მათ შორის არიან: სამოქალაქო ჟურნალისტები, ბლოგერები, ხელოვანები, ფოტოგრაფები, კინორეჟისორები და სხვა პირები, რომლებიც დროდადრო შეიძლება ეწეოდნენ ჟურნალისტურ საქმიანობას.

გარდა ამისა, შემოთავაზებულია არსებული მაქსიმალური სასჯელის გამკაცრება, რათა 154-ე მუხლი გადავიდეს „განსაკუთრებით მძიმე" დანაშაულთა კატეგორიაში და ითვალისწინებდეს არა მხოლოდ დაზარალებულისთვის მიყენებულ მატერიალურ თუ ფიზიკურ ზიანს, არამედ იმ ზიანსაც, რომელიც ასეთი დანაშაულებით ადგება დემოკრატიას. ეს მკაფიოდ მიანიშნებდა ფართო საზოგადოებას, რომ ჟურნალისტზე თავდასხმა ეწინააღმდეგება დემოკრატიულ სტანდარტებს და, შესაბამისად, დაუშვებელია.

4.1.2 (ii) ყოვლისმომცველი სტატისტიკის არარსებობა

კარგი სტატისტიკა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ გავიაზროთ ჟურნალისტთა მიმართ ძალადობის პრობლემის მასშტაბი და შევაფასოთ სამართალდამცველ

37. განაცხადი no. 15428/16, 2019 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება, პუნქტი 52.

38. კანონმდებლობა მოკლედ შეჯამდა ზემოთ, საერთაშორისო სტანდარტებისა და კარგი პრაქტიკის განყოფილებაში და მთლიანად აისახა მე-2 დანართში.

39. რეკომენდებულია „იურიდიულ პირთა" გათვალისწინება, რათა მოიცვას მედიაკომპანიებზე თავდასხმებიც.

ორგანოთა რეაგირების ეფექტიანობა. სამწუხაროდ, ამჟამად საქართველოში არ არსებობს ყოვლისმომცველი სტატისტიკა ამ საკითხის შესახებ.

მონაცემები ხელმისაწვდომია მხოლოდ 154-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სსკ-ის სხვა დებულებებით გათვალისწინებულ დანაშაულთა სტატისტიკა, ისინი არ არის ჩაშლილი დაზარალებულთა პროფესიების მიხედვით. სახალხო დამცველის აპარატის მიმართვის საფუძველზე, რამდენიმე სამართალდამცველი უწყება, მათ შორის, გენერალური პროკურატურა, აგროვებს ინფორმაციას ჟურნალისტთა მიმართ ჩადენილ სხვა დანაშაულებზე.[40] შედეგად, ეს ინფორმაცია გამოქვეყნებულია სახალხო დამცველის ყოველწლიურ ანგარიშებში. მიუხედავად ამისა, აღნიშნული მონაცემები ვერ ჩაითვლება ყოვლისმომცველ სტატისტიკად, ვინაიდან არ არის ჩაშლილი სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით, მაგალითად, როგორიცაა გენდერი, ასაკი, ტერიტორია და სხვა. მონაცემები ჟურნალისტთა მიმართ დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე ასევე შეგროვდა იმ ერთობლივი ანგარიშის ფარგლებში, რომელიც შეეხება დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებს. თუმცა ეს მონაცემებიც არ კმარა, რადგან ჟურნალისტთა მიმართ ჩადენილი დანაშაულები შეგროვდა და გამოქვეყნდა კატეგორიით „დისკრიმინაციის სხვა ნიშანი"[41], დამატებითი ჩაშლის გარეშე. ეს ხელს უშლის პრობლემის სრულად შეფასებას და საყურადღებო საკითხია, რადგან არაოფიციალური მონაცემები და სხვა ორგანიზაციების კვლევები მიუთითებს, რომ პრობლემის მასშტაბი გაცილებით დიდია, ვიდრე წარმოაჩენს 154-ე მუხლის სტატისტიკა. მხოლოდ 2021 წელს სახალხო დამცველის აპარატმა აღრიცხა მედიის წარმომადგენელთა მიმართ ჩადენილი შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებებისა თუ დარღვევების ათობით შემთხვევა. მათ შორისაა არა მხოლოდ უკანონო ხელშეშლა პროფესიულ საქმიანობაში, არამედ, განზრახ მკვლელობის მომზადება, მუქარა ან თავდასხმა; ნივთის დაზიანება; და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.[42] მსგავსი დანაშაულები წინა წლებშიც გამოვლინდა.[43]

40. საქართველოს სახალხო დამცველი, ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021. გვ. 135-137.

41. ერთობლივი ანგარიში მომზადდა შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალურ პროკურატურას, უზენაეს სასამართლოსა და სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს (საქსტატი) შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე. საქსტატის მიერ გამოქვეყნებული 2022 წლის ანგარიში იხ: https://www.geostat.ge/media/51738/Hate_2022.pdf.

42. საქართველოს სახალხო დამცველი, ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021, გვ. 172-173 და 175-176.

43. საქართველოს სახალხო დამცველი, ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020, გვ. 233-237; საქართველოს სახალხო დამცველი, ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018, გვ. 155-157; საქართველოს სახალხო დამცველი, ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2016, გვ. 441-443.

შინაგან საქმეთა სამინისტროს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა[44] და პროკურატურის სტატისტიკის თანახმად, 2015-2022 წლებში 154-ე მუხლით გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი ასეთია:

წელი	გამოძიების რაოდენობა	სისხლისსამართლებრივი დევნის რაოდენობა
2015	0	1
2016	6	1
2017	2	0
2018	12	2
2019	13	4
2020	7	2
2021	13	34
2022 (იანვარი-ივნისი)	9	4

წლების განმავლობაში გამოძიებათა რაოდენობა გაიზარდა, მაგრამ დევნის მაჩვენებელი დაბალი რჩება (2021 წლის უფრო მაღალი მაჩვენებელი უკავშირდება ღირსების მარშის დროს ჩადენილი ძალადობის ფაქტების გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნას. გასათვალისწინებელია, რომ ამ შემთხვევაშიც, პასუხისგებაში არ მიცემულა ძალადობაზე პასუხისმგებელი ან მასში მონაწილე ყველა პირი).

ჟურნალისტთა მიმართ ჩადენილი ყველა დანაშაული არ ექცევა 154-ე მუხლის ფარგლებში. შესაბამისად, ზემოაღნიშნული სტატისტიკა არ ასახავს ასეთი ფაქტების სრულ სურათს. გენერალური პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციით, 2016-2022 წლებში 35 პირის მიმართ განხორციელდა სისხლისსამართლებრივი დევნა „ჟურნალისტთა მიმართ ჩადენილი სხვა დანაშაულებისთვის“ (დაზუსტების გარეშე). არსებობს მოსაზრება, რომ საქმეებს, რომლებიც შეიძლებოდა მოქცეულიყო 154-ე მუხლის ფარგლებში, იძიებენ სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლების საფუძველზე, რათა შემცირდეს 154-ე მუხლის სტატისტიკა.[45] ამის მიუხედავად, ყოვლისმომცველი სტატისტიკის არარსებობა ჟურნალისტთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე ხელს უშლის პრობლემის სრულად გაგებას და ძალიან ართულებს სამართალდამცველ ორგანოთა რეაგირების ეფექტიანობის შეფასებას.[46] ყურადღება გასამახვილებელია ისეთი სტატისტიკის წარმოებაზე, რომელიც სცდება 154-ე მუხლის ფარგლებს და მოიცავს ჟურნალისტებისა და მედიაკომპანიების მიმართ ჩადენილ ყველა დანაშაულებრივ ქმედებას მათ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით. შეიძლება ეს დაემატოს ზემოთ ნახსენები სტატისტიკის შეგროვებას სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ, რომელიც 2021 წელს დაიწყო.

სტატისტიკა, რომელიც ხელმისაწვდომია 53[1] მუხლის შესახებ, აჩვენებს, რომ ეს დებულება იშვიათად გამოიყენება 154-ე მუხლით გათვალისწინებულ საქმეებში. მი-

44. 2022 წლის 1 მარტიდან სპეციალური საგამოძიებო სამსახური არის ორგანო, რომელიც უფლებამოსილია 154-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა გამოძიებაზე. აღსანიშნავია, რომ იმ პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც განხორციელდა სისხლისსამართლებრივი დევნა, შეიძლება აღემატებოდეს გამოძიებათა რაოდენობას, რადგან ერთ გამოძიებას შეიძლება მოჰყვეს რამდენიმე პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა.

45. როგორც მოხსენებულია IREX-ის კვლევაში მედიის მდგრადობის ინდექსი 2017, გვ. 6-7.

46. საქართველოს სახალხო დამცველი, ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 , გვ. 172-173.

უხედავად იმისა, რომ, ზოგადად, მნიშვნელოვნად გაიზარდა 53[1] მუხლის გამოყენება (საქმეთა რაოდენობა, რომლებშიც ეს დებულება გამოიყენეს, 2016-2021 წლებში 44-დან 83-მდე გაიზარდა)[47], ამ 83 საქმიდან მხოლოდ ორი აღიძრა 154-ე მუხლის საფუძველზე.[48]

4.1.2 (iii) გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა

ჟურნალისტთა მიმართ ძალადობის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ხარვეზებზე საყურადღებო კრიტიკა გაჟღერდა როგორც ამ ანგარიშისთვის გამოკითხულ მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა შორის, ასევე სამოქალაქო საზოგადოების მიერ მომზადებულ ანგარიშებში.[49]

პირველ რიგში, აღინიშნა, რომ ბევრ შემთხვევაში გამოძიება არ იყო „სწრაფი“ ან „ეფექტიანი“, როგორც ამას მოითხოვდა ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო სტანდარტები. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მიხედვით, გამოძიება „გონივრულ ვადაში“ უნდა ჩატარდეს; სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის თანახმად, ეს ვადა შეიძლება ექვს წლამდე გაგრძელდეს და იკვეთება, რომ პრაქტიკაში, გამოძიება ხშირად გაჭიანურებული და არაეფექტიანია. 2015-2020 წლების მონაცემთა ანალიზის საფუძველზე, სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ დიდია მიმდინარე გამოძიებათა რაოდენობა, რომლებშიც სამართალდამცველმა ორგანოებმა ვერ დაადგინეს დამნაშავის ვინაობა ან მოტივი, ზოგ შემთხვევაში კი გამოძიება საერთოდ არ დაწყებულა.[50] სახალხო დამცველმა გააკრიტიკა ჩატარებული გამოძიება და აღნიშნა, რომ ის „ვერ აკმაყოფილებს ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებს, ზედმიწევნითობისა და დროულობის კუთხით“; ბრალდების მხარე მან გააკრიტიკა, „ჯგუფური ძალადობის ორგანიზატორის ან ხელმძღვანელისთვის“ ბრალის წარუდგენლობის გამო, ხოლო სასამართლოები – იმისთვის, რომ არ გაითვალისწინეს კონკრეტულ პირთა მიერ წარსულში ჩადენილი დანაშაულები ან მათი პიროვნება სასჯელის განსაზღვრისას.[51] პრესის თავისუფლებაზე მეთვალყურე (watchdog) სხვა ეროვნულმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა ასევე გააკრიტიკეს სახელმწიფო ორგანოთა წარუმატებლობა, რომ სწრაფად და ეფექტიანად გამოეძიებინათ ძალადობის ყველა შემთხვევა და კანონის სრული სიმკაცრით განეხორციელებინათ სისხლისსამართლებრივი დევნა ყველა ჩართული პირის, მათ შორის, ძალადობის წამქეზებელთა ორგანიზატორების მიმართ.[52]

მეორე, ვინაიდან 154-ე მუხლი და მასთან დაკავშირებული დანაშაულები მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, სამართალდამცველი ორგანოები ვერ იყენებენ მათ ხელთ არსებულ ყველა საგამოძიებო მეთოდს. კერძოდ, მათ არ შეუძლიათ ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენება, როგორიცაა,

---

47. ნათია მერებაშვილი: პროკურატურაში განხორციელებული რეფორმების შედეგად, 2021 წელს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთა იდენტიფიცირების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა, 2022 წლის 17 თებერვალი.

48. გენერალური პროკურატურა, სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულთა ანალიზი, 2020 და 2021.

49. მედიის ადვოკატირების კოალიცია, მედიაგარემო საქართველოში, გვ. 18, 2020.

50. არ დაწყებულა გამოძიება ან ადმინისტრაციული წარმოება საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გამოვლენილ სავარაუდო უკანონო ქმედებათა 12 ფაქტზე. საქართველოს სახალხო დამცველი, ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 , გვ. 136.

51. სახალხო დამცველი, შემოწმების შედეგები 5 ივლისის საქმესთან დაკავშირებით, 2022 წლის 6 დეკემბერი.

52. პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის, საქართველოს მთავრობის წარუმატებლობა, გადაჭრას ლგბტქი+ აქტივისტებისა და ჟურნალისტთა მიმართ სიძულვილის ენისა და თავდასხმების პრობლემები, 2021; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 5-6 ივლისის მოვლენების ქრონოლოგია და სამართლებრივი შეფასება, 2021; სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 5-6 ივლისის მოვლენების სამართლებრივი შეფასება, 2021; საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, მარში ღირსების გარეშე, 2021.

მაგალითად, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა.[53] ამან შეიძლება დააბრკოლოს ჟურნალისტებზე თავდასხმების გამოძიება, როცა არსებობს ეჭვი, რომ დანაშაული ჩადენილია ჯგუფურად. ბოლო დრომდე სამართალდამცველი ორგანოები ამავე მიზეზით ვერ მოიპოვებდნენ კომპიუტერულ სისტემაში ან მეხსიერების დისკზე შენახულ ინფორმაციას 154-ე მუხლით გათვალისწინებულ და მასთან დაკავშირებულ დანაშაულებზე.[54] მხოლოდ 2022 წლის 24 მაისს შევიდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებები, რათა პოლიციას ჰქონდეს წვდომა ამ მონაცემებზე, დანაშაულის კატეგორიის მიუხედავად.

მესამე, მიიჩნევა, რომ სამართალდამცველ ორგანოებს არ სურთ ან აჭიანურებენ ზომების მიღებას იმ პოლიტიკოსთა მიმართ, რომლებიც სჩადიან ან წააქეზებენ დანაშაულებს მედიის მიმართ.[55] გარდა ამისა, ევროპის საბჭოს ჟურნალისტთა უსაფრთხოების პლატფორმა აჩვენებს, რომ საგანგაშო სიგნალები, რომლებიც უკავშირდება პოლიტიკოსთა მიერ ჩადენილ კანონდარღვევებს მედიის მიმართ, კვლავაც გადაუჭრელი რჩება.[56]

მეოთხე, სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი წვდომა საქმის მასალებზე. მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, პირს, რომელსაც მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი, აქვს საქმის მასალებზე წვდომის უფლება[57], თუმცა პრაქტიკაში დაზარალებულები ბიუროკრატიულ დაბრკოლებებს აწყდებიან ამ კუთხით[58], ხოლო საქართველოს სასამართლოები არ მისდევენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას დაზარალებულის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით: მაგალითად, მათ დაზარალებულად არ აღიარეს რამდენიმე ჟურნალისტი, რომლებიც მძიმედ დაშავდნენ 20-21 ივნისის საპროტესტო აქციების დაშლისას.[59] დაზარალებულთა არასათანადო ჩართულობის შედეგად, ვერ ხერხდება შესაბამისი ინფორმაციის გათვალისწინება, რაც ნიშნავს, რომ გამოძიება არ არის ისეთი ეფექტიანი, როგორიც უნდა იყოს.

ამ ანგარიშისთვის ჩატარებული კვლევისას, გართულდა პროკურორების თუ გამომძიებლებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო მითითებების მოძიება, რომლებიც შეეხება ჟურნალისტთა მიმართ დანაშაულებისა და მუქარების გამოძიებას. ამ საკითხს მხოლოდ მცირე სექციით (ინგლისურ თარგმანში შედგება ოთხი პარაგრაფისგან) ეხება რეკომენდაცია უფლებადამცველებთან დაკავშირებულ საქმეთა გამოძიებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის შესახებ[60], მაგრამ ის შემოიფარგლება ზოგადი პრინციპებით და თითქმის არ შეიცავს პრაქტიკულ მითითებებს. ძალადობისა და შევიწროების გაზრდილი რაოდენობისა და საკითხის

53. როგორც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XVI თავით.

54. როგორც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით.

55. საქართველოს სახალხო დამცველი, ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021, გვ 174.

56. შეტყობინება პლატფორმაზე 240/2021, მესტიის მერი კაპიტოლ ჟორჟოლიანი სიკვდილით ემუქრება ჟურნალისტ ემა გოგოხიას, 2021 წლის 22 დეკემბერი, ასევე შეტყობინება 239/2021, თბილისის მერი კახა კალაძე ღიად შეურაცხყოფს პრესას, 2021 წლის 22 დეკემბერი.

57. მუხლი 57, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

58. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, ევროპულ სასამართლოში 2021 წლის მოსმენების საქმეზე პირველი საჩივრები გაიგზავნა, 2022 წლის 18 ივლისი; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, 2016; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 5-6 ივლისის მოვლენების ქრონოლოგია და სამართლებრივი შეფასება, გვ. 36. 2021.

59. როგორც მოხსენიებულია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანგარიშში და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საპირისპიროდ, რომელიც მიიღო საქმეზე *Oğur v. Turkey*, განაცხადი no. 21594/93, 1999 წლის 20 მაისი (დიდი პალატა), პუნქტი 92, და საქმე *Betayev and Betayeva v. Russia*, განაცხადი no. 37315/03, 2008 წლის 29 მაისი, პუნქტი 88. პროკურატურის ინფორმაციით, 20-21 ივნისის ძალადობის შედეგად, დაზარალებულის სტატუსი 15 ჟურნალისტს მიენიჭა.

60. როგორც გენერალურმა პროკურატურამ გააზიარა ამ ანგარიშის მიზნებისთვის.

მნიშვნელობის გათვალისწინებით, აუცილებელია დამატებითი სახელმძღვანელო მითითებები პოლიციის[61], სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა[62] თუ პროკურორებისთვის, სპეციალურად ფოკუსირებული ჟურნალისტთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნაზე.

სამართალდამცველ უწყებათა წარმომადგენლები, მათი მისამართით გაჟღერებული კრიტიკის საპასუხოდ, უჩიოდნენ ჟურნალისტთა მხრიდან თანამშრომლობის ნაკლებობას, მათ შორის, განცხადების გამოთხოვას და თანამშრომლობის შეწყვეტას გამოძიების ფარგლებში.

4.1.2 (iv) სასჯელი

რეალური შეშფოთების საგანია ის, რომ შეფარდებული სასჯელი შეიძლება იყოს მსუბუქი, განსაკუთრებით, 154-ე და 156-ე მუხლების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომასა და ჯარიმას, ასევე, თავისუფლების აღკვეთას. სისხლის სამართლის კანონმდებლობის თანახმად, მაშინაც კი, როცა სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია რამდენიმე დანაშაულზე (მაგ: ნივთის დაზიანება და პირზე თავდასხმა), დამნაშავეს, თუ ის არ არის ნასამართლევი, მხოლოდ ერთი სასჯელი ენიშნება, ხოლო მსუბუქ სასჯელს „შთანთქავს“ უფრო მკაცრი სასჯელი.[63] ჯარიმის ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის გამოყენება ასევე ამცირებს 53[1] მუხლის შემაკავებელ ეფექტს, რომლის თანახმადაც, დისკრიმინაცია დამამძიმებელი გარემოებაა მხოლოდ საპატიმრო სასჯელის გამოყენებისას.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ ჟურნალისტთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე, უმეტეს შემთხვევაში, მსუბუქი სასჯელი ინიშნება. ამის მაგალითებია:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 4 თებერვლის განაჩენი 500 ლარის (დაახლოებით, 175 ევრო) ოდენობით ჯარიმის დაკისრებაზე სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე და 126-ე მუხლების დარღვევისთვის;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 9 სექტემბრის განაჩენი 1000 ლარის (დაახლოებით, 350 ევრო) ოდენობით ჯარიმის დაკისრებაზე სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის დარღვევისთვის (დამნაშავემ აღიარა დანაშაული, რაც შემამსუბუქებელ გარემოებად ჩაითვალა);
- თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 27 აგვისტოს განაჩენი 120-საათიანი საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანიშვნაზე სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის დარღვევისთვის;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 25 აგვისტოს განაჩენი, რომლის საფუძველზეც, ჟურნალისტზე ფიზიკური თავდასხმისა და მისი სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის, სამ პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 6 თვით - გაცილებით ნაკლები იმ მაქსიმალურ სასჯელთან შედარებით, რომელიც შეიძლებოდა დაენიშნათ (ერთ-ერთ ბრალდებულს დამატებით განესაზღვრა ჯარიმა ჟურნალისტის მიმართ მკვლელობის

61. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ჟურნალისტებთან დაკავშირებულ საქმეებში ის იყენებს რეკომენდაციას შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილ დანაშაულთა გამოძიების შესახებ. როგორც გვაცნობეს, ეს არის შიდა დოკუმენტი, რომლის გაანალიზებაც წინამდებარე მიმოხილვის მიზნებისთვის არ იყო შესაძლებელი. შესაბამისად, ამ რეკომენდაციის შესაბამისობა ჟურნალისტთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებთან დამატებით ანალიზს საჭიროებს.

62. სპეციალური საგამოძიებო სამსახური გეგმავს, შეიმუშაოს მის კომპეტენციაში შემავალ დანაშაულთა გამოძიების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო (2023 წლის მაისში, სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია).

63. სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ ადგილი აქვს დანაშაულის რეციდივს, დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასამართლოს შეუძლია დანიშნოს სასჯელის თანმიმდევრულად მოხდა.

> მუქარისთვის). შეფარდებულ სასჯელს შედეგად მოჰყვა დამნაშავეთა დაუყოვნებლივ გათავისუფლება, რადგან მათ უკვე მოხდილი ჰქონდათ 6-თვიანი წინასწარი პატიმრობა.[64]

ერთ-ერთ საქმეში, 2019 წელს, უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა ორწლიანი სასჯელი იმ პირის მიმართ, რომელიც ემუქრებოდა ჟურნალისტს.[65]

უფრო მძიმე სასჯელი შეეფარდა ზოგიერთს იმ პირთაგან, რომლებიც ახლახან დამნაშავედ ცნეს 2021 წლის ღირსების მარშის დროს ჩადენილ ძალადობაში: 6-ს მიესაჯა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა ჟურნალისტურ საქმიანობაში ძალადობრივი ჩარევისა და ორგანიზებულ ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობისთვის, 21 პირს თავისუფლება აღეკვეთა ერთიდან სამ წლამდე ვადით, ოთხს კი დაეკისრა ჯარიმა 5000 ლარის (დაახლოებით, 1750 ევრო) ოდენობით.[66]

4.1.3. ხეკომენდაციები

მაშინ, როცა ბოლო წლებში იმატა ჟურნალისტთა მიმართ ძალადობისა და ძალადობის მუქარის შემთხვევებმა, საყურადღებო ხარვეზები იკვეთება დანაშაულის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის კუთხით. საქმეებში, რომლებზეც გამამტყუნებელი განაჩენი დადგა, ძალიან ხშირად შეფარდებულია მსუბუქი სასჯელი. ყოველივე ეს ასაზრდოებს დაუსჯელობის განცდას: ჟურნალისტთა მიმართ დანაშაულის ჩამდენ პირებს პირდაპირი მნიშვნელობით შეუძლიათ „პასუხისმგებლობის თავიდან აცილება“. მათი „დაჭერის“ ალბათობა მცირეა და, რომც დაიჭირონ, სასჯელი არ იქნება საკმარისი შემაკავებელი ეფექტის წარმოსაქმნელად.

მართალია, სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე და 156-ე მუხლები – ჟურნალისტის იძულება, გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისგან, და დევნა პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით – მიანიშნებს, რომ ჟურნალისტთა მიმართ ძალადობა დაუშვებელია, თუმცა ეს მინიშნება არ არის მტკიცე. პირველ რიგში, ორივე მათგანი მიეკუთვნება „ნაკლებად მძიმე“ დანაშაულებს - ყველაზე მსუბუქ ჯგუფს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულთა სამი კატეგორიიდან;[67] მეორე, 154-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ფარგლები ძალიან ვიწროა; და მესამე, შეფარდებული სასჯელი ხშირად ძალიან მსუბუქია. შესაბამისად, აუცილებელია ცვლილებები.

თანმდევი რეკომენდაციები შემუშავდა იმისათვის, რომ საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა შეესაბამებოდეს ევროპულ სტანდარტებს, რომლებიც განავითარა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ და შემდგომ უფრო დეტალურად განმარტა მინისტრთა კომიტეტმა სახელმძღვანელო მითითებებში:

(1) თუ საჭირო იქნება ტერმინ „ჟურნალისტის“ განსაზღვრა, ნებისმიერი ასეთი განმარტება უნდა იყოს ფუნქციური და არ შემოიფარგლებოდეს ფორმალური

64. სასჯელი გააკრიტიკეს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა, მათ შორისაა, „მედიის ადვოკატირების კოალიცია“ (ვახო სანაიას საქმეზე მართლმსაჯულება სათანადოდ არ აღსრულებულა) და „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ (ვახო სანაიაზე თავდამსხმელების გათავისუფლება ჟურნალისტთა მიმართ ძალადობის წახალისების მორიგი მცდელობაა).

65. უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

66. როგორც მითითებულია, სასამართლომ 5 ივლისის საქმეზე ბრალდებული კიდევ 7 პირი დამნაშავედ ცნო, 2022 წლის 6 აპრილი; და გენერალური პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად.

67. სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლი განასხვავებს დანაშაულთა სამ კატეგორიას, კერძოდ, ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებს. ნაკლებად მძიმე დანაშაულია განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლისთვისაც ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე ვადით.

აკრედიტაციით ან დასაქმებით. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ის უნდა მოიცავდეს ყველა პირს, რომლებიც რეგულარულად თუ პროფესიულად არიან ჩართულნი ინფორმაციის შეგროვებასა და მასობრივი კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით გავრცელებაში, ევროპის საბჭოს CM/Rec(2000)7 და CM/Rec(2016)4 რეკომენდაციების, ჟურნალისტთა უსაფრთხოების შესახებ გაეროს სამოქმედო გეგმისა და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის № 34 ზოგადი კომენტარის შესაბამისად.[68]

(2) ახლებურად ჩამოყალიბდეს 154-ე მუხლი, რათა:

- მოიცვას ფიზიკური თუ იურიდიული პირის მიმართ ძალადობისა თუ მუქარის ყველა შემთხვევა, რომლებიც უკავშირდება მათ ჟურნალისტურ საქმიანობას. მართალია, შეუძლებელია ყველა იმ საქმიანობის განსაზღვრა კანონმდებლობით, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს „ჟურნალისტურად“, თუმცა ფართო სფეროთა დაფარვის საილუსტრაციოდ, კანონმდებლობაში უნდა მიეთითოს გავრცელებული ჟურნალისტური საქმიანობის მაგალითები, როგორიცაა: ინფორმაციის შეგროვება, ინტერვიუების ჩატარება, ჟურნალისტური გამოძიებები და გარკვეულ ადგილებზე მათი დაშვება. ამავდროულად, კანონში მკაფიოდ უნდა აღინიშნოს „სხვა კანონიერი ჟურნალისტური საქმიანობაც“, რათა, საბოლოო ჯამში, არ შეიზღუდოს ჟურნალისტიკა; და
- მან გადაინაცვლოს „განსაკუთრებით მძიმე“ დანაშაულთა კატეგორიაში და გაითვალისწინოს უფრო მკაცრი სასჯელი, მათ შორის, თავისუფლების აღკვეთა;

უკრაინისა და სხვა ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისი დებულებები და მათი თანმდევი პრაქტიკა, წარმოდგენილი მე-2 დანართში, შეიძლება შთაგონების წყარო გახდეს კანონმდებლობის ახლებურად ჩამოყალიბებისათვის.

(3) „გამოხატვის თავისუფლების მიმართ ჩადენილ დანაშაულთა შესახებ“ ერთობლივი დეკლარაციის კვალდაკვალ, რომელიც გამოსცეს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) წარმომადგენელმა მედიის თავისუფლების საკითხებში და მისმა კოლეგებმა გაეროდან (UN), ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციიდან (OAS) და ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული კომისიიდან (ACHPR), ასევე, 53[1] მუხლის მიდგომის შესაბამისად, დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ასევე გასათვალისწინებელია დაზარალებულის გამოხატვის თავისუფლების ხელყოფის დამამძიმებელ გარემოებად აღიარება, რაც გაამკაცრებს სასჯელს ასეთი დანაშაულისთვის;

(4) უნდა შეგროვდეს ყოვლისმომცველი სტატისტიკა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა მიმართ ძალადობისა თუ მუქარის ყველა შემთხვევაზე, რომლებიც უკავშირდება მათ ჟურნალისტურ საქმიანობას, რათა გამოვლინდეს პრობლემის სრული სურათი და შეფასდეს სამართალდამცველ ორგანოთა რეაგირების ეფექტიანობა;

68. თუ გავითვალისწინებთ ჟურნალისტური ფუნქციების შემსრულებელ აქტორთა ფართო სპექტრს, განსაკუთრებით, ინტერნეტის გამოჩენის შემდეგ, ასევე, შტატგარეშე ჟურნალისტთა რაოდენობას, საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნევა, რომ „ჟურნალისტის“ განსაზღვრება არ მოიცავდეს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც მედიასაშუალებაში არიან დასაქმებულნი. „„ჟურნალისტის“ განმარტებათა შედარებითი მიმოხილვისთვის ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში (მათ შორის, სადაც განმარტება არ არის მკაცრი ან ძალიან ფართოა), იხილეთ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ანგარიშის - ჟურნალისტების სტატუსი ევროპაში - განმარტებითი მემორანდუმი, doc. 14505, 2018 წლის 26 თებერვალი.

(5) უნდა ჩატარდეს საზოგადოებრივი მოკვლევა, მედიის წარმომადგენელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით, და შეფასდეს ჟურნალისტთა მიმართ ჩადენილ დანაშაულთა გამოძიების ხარისხი. მოკვლევა უნდა ჩაატაროს საგამოძიებო უწყებისა და პროკურატურისგან დამოუკიდებელმა ორგანომ, რომელსაც ექნება მანდატი, რომ გასცეს მტკიცე და პრაქტიკული რეკომენდაციები ჟურნალისტთა მიმართ ძალადობის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის გასაუმჯობესებლად, ასევე, უფლებამოსილება, რომ მოითხოვოს მოწმეებისა და მანამდე წარმოებული დოკუმენტების წარდგენა მის წინაშე, ამ უწყების მიერ წარმოებული პროცესი კი ღია უნდა იყოს საზოგადოებისთვის;[69]

(6) ასეთი მოკვლევის მიგნებათა გათვალისწინებით, რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს ჟურნალისტთა მიმართ ძალადობისა თუ მუქარის ყველა შემთხვევის გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა, რათა ისინი შეესაბამებოდეს მოთხოვნილ სტანდარტს - „სწრაფი, ეფექტიანი და ზედმიწევნითი;“

(7) ჟურნალისტთა მიმართ ძალადობის გამოსაძიებლად, ყველა სამართალდამცველი უწყებისთვის შემუშავდეს კონკრეტული და დეტალური სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც მოიცავს, სულ მცირე, შემდეგ საკითხებს:

- რა მნიშვნელობა აქვს ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი მტკიცებულებისა და დისკრიმინაციული ფაქტორის სათანადოდ გათვალისწინებას;
- როგორც ოფლაინ, ისე ონლაინ სივრცეში ჩადენილი ძალადობის გენდერულად სპეციფიკურ ასპექტთა ცოდნისა და გამოძიების აუცილებლობა;
- ყურადღების გამახვილება გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნაზე არა მხოლოდ ძალადობრივი აქტის ჩამდენ პირთა მიმართ, არამედ ძალადობის წამქეზებელთა და მაპროვოცირებელთა მიმართაც;
- მოთხოვნა სამართალდამცველ ორგანოთა მიმართ, რომ საკუთარი ინიციატივით იმოქმედონ, როგორც კი შეიტყობენ კონკრეტული საქმის შესახებ, და არ მოსთხოვონ საჩივრის შეტანა ჟურნალისტს ან მის უახლოეს ნათესავს;
- უზრუნველყოფა, რომ დაზარალებულს ან მის ახლო ნათესავს ჰქონდეს გამოძიებაზე/დევნაზე ინფორმაციის მიღებისა და მტკიცებულებათა წარდგენის შესაძლებლობა;
- უზრუნველყოფა, რომ საგამოძიებო პროცედურები იყოს გენდერულად მგრძნობიარე, რათა ქალმა ჟურნალისტებმა თავი არ შეიკავონ მათზე თავდასხმების შეტყობინებისგან და მიიღონ შესაბამისი მხარდაჭერა, მათ შორის, ფსიქოსოციალური;
- ჟურნალისტთა უფლება, არ გაამჟღავნონ ინფორმაციის კონფიდენციალური წყაროები;
- სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება ჟურნალისტთა მიმართ ონლაინსივრცეში განხორციელებული მუქარისა და სხვა დანაშაულების გამოსაძიებლად, სადაც ხაზგასმით აღინიშნება, რომ ონლაინსივრცეში მუქარა და შევიწროება, რაც სისხლის სამართლის დანაშაულებად

69. მაგალითისთვის, შეიძლება მოვიყვანოთ მალტელი ჟურნალისტის, დაფნე კარუანა გალიზიას მკვლელობის საზოგადოებრივი მოკვლევის ტექნიკური პირობები, იხ. ARTICLE 19-ის 2022 წლის ანგარიში, დაფნე კარუანა გალიზია: ნასწავლი გაკვეთილები მისი მკვლელობის საზოგადოებრივი მოკვლევიდან, საზოგადოებრივი მოკვლევის ტექნიკური პირობებისა და პროცესიდან ნასწავლი გაკვეთილების ინგლისურენოვანი თარგმანისთვის.

მიიჩნევა, უნდა იდევნებოდეს და განიხილებოდეს ოფლაინ დანაშაულების მსგავსად. სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის ხელყოფის, მათ შორის, გაუპატიურების მუქარის სისხლისსამართლებრივი დევნა პრიორიტეტულად უნდა წარიმართოს.

(8) ჟურნალისტთა მიმართ ძალადობრივი ქმედებების წაქეზების, ჩადენისა თუ მუქარის ყველა შემთხვევის გამოძიება, მათ შორის - და განსაკუთრებით - როცა წაქეზებას ან მუქარას ახორციელებენ მაღალჩინოსნები, პოლიტიკოსთა და თანამდებობის პირთა ჩათვლით;

(9) ჟურნალისტებისა და, შესაბამის შემთხვევებში, მათი უახლოესი ნათესავებისთვის დაუყოვნებელი და დაუბრკოლებელი წვდომის უზრუნველყოფა საქმის მასალებზე. რეკომენდებულია, დაზარალებულის სტატუსის მინიჭების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლოებმა გაითვალისწინონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები;

(10) სასჯელის გამკაცრება ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულებისთვის, რომლებიც უკავშირდება მათ ჟურნალისტურ საქმიანობას, რათა სასჯელმა ასახოს დემოკრატიის მიმართ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე;

(11) თუ ამ ანგარიშის გამოქვეყნებიდან ერთი წლის განმავლობაში შესამჩნევად არ გაუმჯობესდება ჟურნალისტთა მიმართ ძალადობის გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა, შეიქმნას საზოგადოებრივი კომისია, რომელიც გამოიძიებს ჟურნალისტთა მიმართ ძალადობისა და სამართალდამცველ ორგანოთა არასათანადო რეაგირების მიზეზებს.

4.2. სამართალდამცველ უწყებათა შესაძლებლობები ჟურნალისტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით (ინსტიტუციური შესაძლებლობები და სწავლების საჭიროებები)

4.2.1. საერთაშორისო სტანდარტები და კარგი პრაქტიკა

CM/Rec(2016)4 რეკომენდაციის განხორციელების სახელმძღვანელოში ნათქვამია, რომ ისეთი სპეციალური სტრუქტურული ერთეულების შექმნას პოლიციასა და პროკურატურაში, რომელთა თანამშრომლებსაც ექნებათ სპეციალური ცოდნა და გამოცდილება ადამიანის უფლებათა დაცვისა და ჟურნალისტთა უსაფრთხოების სფეროებში, შეუძლია, მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს გამოძიებათა ეფექტიანობა და მიუკერძოებლობა. ასეთი სტრუქტურული ერთეულები უკვე არსებობს რამდენიმე ქვეყანაში. მაგალითად, კოსოვოში შექმნილია პოლიციის განყოფილება, რომელიც სპეციალურად გადამზადდა ჟურნალისტებზე თავდასხმების გამოსაძიებლად, ხოლო კოლუმბიისა და მექსიკის პროკურატურაში არსებობს სპეციალიზებული განყოფილებები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ჟურნალისტთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების სისხლისსამართლებრივ დევნას.[70] ესტონეთში შექმნილია სპეციალიზებული სასამართლო, რომელიც განიხილავს ონლაინსივრცეში ჩადენილი შევიწროების საქმეებს, ხოლო მოსამართლეები და სამართალდამცველ ორგანოთა თანამშრომლები უზრუნველყოფილნი არიან სპეციალური ცოდნით. შვედეთმა, სერბეთმა, მონტენეგრომ, ნიდერლანდებმა და უკრაინამ გამოსცეს სახელმძღვანელო მითითებები და სამართალდამცველ ორგანოთა თანამშრომლებს ჩაუტარეს

70. როგორც აღწერილია განხორციელების სახელმძღვანელოში, გვ. 52.

სწავლება ჟურნალისტთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნაზე.[71]

რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ასეთი სამსახურების არა მხოლოდ შექმნა, არამედ, საჭირო სწავლებითა და რესურსებით უზრუნველყოფაც, მათი უფლებამოსილების განხორციელებისათვის: წარმატების მისაღწევად, მათ სჭირდებათ რესურსები. CM/Rec(2016)4 რეკომენდაციის განხორციელების სახელმძღვანელოში ნათქვამია, რომ სწავლება უნდა ეფუძნებოდეს ადამიანის უფლებათა სტანდარტებსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს და განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდეს შემდეგ საკითხებზე:

- ცნობიერების ამაღლება დემოკრატიულ საზოგადოებაში ჟურნალისტთა „საზოგადოებრივი მეთვალყურის“ (watchdog) როლის შესახებ;
- როლი, რომელსაც ჟურნალისტები ასრულებენ დემოკრატიულ საზოგადოებაში სახალხო მანიფესტაციების გაშუქებით, კონფლიქტის ზონებიდან ინფორმაციის მოწოდებით, კრიზისის, მათ შორის, საგანგებო მდგომარეობის დროს, და ამგვარი გაშუქების ნებისმიერი ხელშეშლის აცილების გზები;
- ჟურნალისტთა უფლება, არ გაამჟღავნონ მათი ინფორმაციის კონფიდენციალური წყაროები, და აუცილებელი პროცედურული გარანტიები ამ მიმართებით;
- ფაქტი, რომ ჟურნალისტები ხშირად აწყდებიან სპეციფიკურ რისკებსა და დისკრიმინაციას და გარკვეულ საკითხებზე მუშაობამ შეიძლება შეუქმნათ სახელმწიფო ან/და არასახელმწიფო აქტორთა მხრიდან მუქარის, თავდასხმის, შეურაცხყოფისა და შევიწროების საფრთხე;
- ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია და გამოვლენა, ქალისა და კაცის თანასწორობა, დაზარალებულთა საჭიროებები და უფლებები, ასევე, მეორეული ვიქტიმიზაციის პრევენციის გზები;
- სამართალდამცველ ორგანოთა დროული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, როდესაც სახეზეა სერიოზული საფრთხე ან ძალადობის მუქარა ჟურნალისტთა მიმართ;
- ინფორმაციის მიწოდება დახმარების, მხარდაჭერის, დაცვისა და კომპენსაციის შესახებ, რომელთა მიღებაც დაზარალებულებს შეუძლიათ სამართალდამცველ ორგანოებთან პირველივე კონტაქტის შემდგომ;
- საჭიროების შემთხვევაში, ჟურნალისტთა უზრუნველყოფა დაცვით;
- ეფექტიანი გამოძიების მახასიათებლები, ყველა შესაძლო კავშირის გათვალისწინება დანაშაულსა და ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობას შორის; გენდერულად სპეციფიკური საკითხები და შესაძლო კავშირი რასისტულ განწყობებსა და ძალადობრივ აქტს შორის;
- სამართალდამცველ ორგანოთა ცოდნის გაუმჯობესება, თუ როგორ უნდა გამოიძიონ ონლაინსივრცეში მუქარის შემთხვევები და სხვა სისხლის სამართლის დანაშაულები, მათ შორის, რომლებიც მოიცავს გენდერულ განზომილებას;
- მედიის როლი მანიფესტაციების დროს.[72]

71. როგორც აღწერილია განხორციელების სახელმძღვანელოში, გვ. 51-53.
72. როგორც აღწერილია განხორციელების სახელმძღვანელოში, გვ. 22-23 და 35.

განხორციელების სახელმძღვანელო სახელმწიფოებს ასევე სთავაზობს, შეისწავლონ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის შესაძლებლობა, კერძოდ, მოსამართლეთა და პროკურორთა სწავლების საკითხებზე, რათა აიცილონ შემზღუდავი კანონმდებლობის თვითნებური გამოყენება ჟურნალისტთა მიმართ.[73]

4.2.2. საქართველოში არსებული პრაქტიკის ანალიზი

ინტერვიუების დროს, რომლებიც ამ ანგარიშისთვის ჩატარდა სხვადასხვა სამართალდამცველი ორგანოს წარმომადგენლებთან (შინაგან საქმეთა სამინისტრო, გენერალური პროკურატურა და საქართველოს სპეციალური საგამოძიებო სამსახური), დაისვა შეკითხვები ამ უწყებათა შესაძლებლობებსა და სწავლებაზე ჟურნალისტთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. მიღებულმა პასუხებმა გარკვეული ხარვეზები გამოავლინა ორივე საკითხთან მიმართებით.

შესაძლებლობები და სპეციალური სტრუქტურული ერთეულების არარსებობა პოლიციასა თუ პროკურატურაში, რეალური პრობლემაა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაადასტურა, რომ ამ უწყებებში არ არსებობს სპეციალური სტრუქტურული ერთეული, რომელიც გამოიძიებს და წარმართავს სისხლისსამართლებრივ დევნას ჟურნალისტთა მიმართ ჩადენილ ყველა დანაშაულზე. ეს ნიშნავს, რომ არც წინა ხაზზე მყოფი პოლიცია და არც პროკურატურა არ ავითარებენ სპეციალიზებულ შიდა შესაძლებლობებს, რაც ასე აუცილებელია ჟურნალისტთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. პროკურატურაში შექმნილია ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, თუმცა ის არ ხელმძღვანელობს სისხლისსამართლებრივ დევნას: იგი უფლებამოსილია, თანამშრომლობა დაამყაროს რელევანტურ უწყებებს შორის (მათ შორის, საერთაშორისო დონეზე), შეისწავლოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები, წარადგინოს რეკომენდაციები ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე მიმართულ დანაშაულებთან ეფექტიანი ბრძოლისათვის და ჩაატაროს შესაბამისი ანალიზი და კვლევა.[74] დამატებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის უფლებამოსილებაში შედის მონიტორინგი, შესწავლა, დაინტერესებულ მხარეთა შორის თანამშრომლობის დამყარება და გაუმჯობესებაზე მიმართული რეკომენდაციების შემუშავება. მისი მანდატის ფოკუსში ექცევა „ოჯახური დანაშაული, ქალთა მიმართ ძალადობა, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული, ტრეფიკინგი, არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილი დანაშაულები“, მაგრამ ამჟამად ის არ აკეთებს აქცენტს და არ მოიცავს სპეციალურ ცოდნას ჟურნალისტთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე, რაც ასევე ხარვეზია.[75]

მიუხედავად იმისა, რომ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მიენიჭა 154-ე მუხლით (რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, არ ფარავს ჟურნალისტთა მიმართ ჩადენილ ყველა დანაშაულს) გათვალისწინებულ საქმეთა გამოძიების უფლებამოსილება,

73. იგივე.

74. საქართველოს გენერალური პროკურორი, ბრძანება №008, 2022 წლის 4 მარტი, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ.

75. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“, ბრძანება №1, 2018 წლის 12 იანვარი.

წუხილი გამოითქვა რესურსების შესახებ.[76] ქვეყანაში ჟურნალისტთა მიმართ ძალადობის ძალიან მაღალი მაჩვენებლის გათვალისწინებით, პრიორიტეტული უნდა იყოს შესაძლებლობათა განვითარება და ერთ-ერთი მთავარი საგამოძიებო ორგანოს სათანადოდ აღჭურვა ეფექტიანი რეაგირებისათვის.

შესაძლებელი არ იყო ტრენინგმოდულთა სრული მიმოხილვა, ამის ნაცვლად, სამართალდამცველ ორგანოთა წარმომადგენლებს სთხოვეს ტრენინგის აღწერა. მათი თქმით, ტრენინგი მოიცავდა საბაზისო მასალას, მათ შორის, გარკვეულ ყურადღებას უთმობდა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებს, თუმცა სასწავლო პროგრამას აკლდა სიღრმე და სპეციფიკურობა ჟურნალისტთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით. შინაგან საქმეთა სამინისტროს მითითებით, ჟურნალისტთა უსაფრთხოება გათვალისწინებულია პოლიციელთა ზოგად სწავლებაში, თუმცა დეტალები მას არ დაუკონკრეტებია. პროკურატურამ ასევე განაცხადა, რომ ჟურნალისტთა უსაფრთხოება შედის ადამიანის უფლებათა დაცვის სასწავლო მოდულებში, რომლებსაც ყველა პროკურორი გადის, და დროდადრო ტარდება სპეციალური კურსები კონკრეტულ საკითხებზე. როგორც აღმოჩნდა, ბიუჯეტის შეზღუდვები უფრო სპეციფიკურ ტრენინგთა არარსებობის მნიშვნელოვანი მიზეზია, თუმცა, დაფინანსების ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, ისინი სიამოვნებით დანერგავდნენ შესაბამის მოდულებს. სამართალდამცველ ორგანოთა წარმომადგენლებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა გამოავლინა ისიც, რომ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ბევრ სასწავლო მოდულს აფინანსებდნენ გარე ორგანიზაციები, როგორიცაა USAID ან ევროპის საბჭო, და ტრენინგებს სთავაზობდნენ დროდადრო. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის საბჭოს სხვა ქვეყნების გამოცდილება ხელმისაწვდომია, არ აღინიშნება მდგრადი ძალისხმევა ჟურნალისტთა უსაფრთხოებაზე ცოდნის გასაცვლელად. ტრენინგის შესაძლებლობათა სიმცირემ, ასევე, უცხოელ კოლეგებთან ცოდნისა და გამოცდილების გაცვლის ნაკლებობამ, შესაძლებლობა არ მისცა ჟურნალისტთა მიმართ ძალადობის გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივი დევნაზე პასუხისმგებელ თანამშრომლებს, რომ მიეღოთ საჭირო ცოდნა და გამოცდილება თავიანთი ამოცანების შესასრულებლად. ამან კი შეაფერხა სწრაფი და ეფექტიანი გამოძიებები, როგორც წინა თავში აღინიშნა.

ეჭვგარეშეა, რომ მდგრადი სწავლებით, ასევე შესაძლებლობათა განვითარებაში რესურსის ჩადებით, რომელიც ამჟამად ძალიან მცირეა, შეიძლება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს სამართალდამცველ ორგანოთა საქმიანობის შედეგები. მაგალითად, 2018-2022 წლებში, მდგრადი ძალისხმევის შედეგად, პროკურორებსა და სხვა სამართალდამცველ ორგანოთა თანამშრომლებს უტარდებოდათ ტრენინგები სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე. შედეგად, სპეციალიზებულია საქართველოს პროკურატურის 150 თანამშრომელი, მათ შორის არიან პროკურორები, გამომძიებლები, ხელმძღვანელები და მოწმეთა და დაზარალებულთა კოორდინატორები.[77] გაუმჯობესდა მათ მიერ გატარებული ზომების ხარისხი და ეფექტიანობა და, როგორც აღინიშნა, გაიზარდა იმ პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც განხორციელდა სისხლისსამართლებრივი დევნა - 44-დან (2016 წელს) 1172-მდე (2022 წელს).[78]

76. ეს წუხილი გაეროს სააგენტოთა ჯგუფმა გამოთქვა საქართველოში მანდატის შექმნისას. მან განაცხადა, რომ „ახალშექმნილი სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატში შემავალ დანაშაულთა სიის არსებითი გაფართოება შექმნის უწყების გადატვირთვის სერიოზულ რისკს“ (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეშფოთებულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების შესახებ, 2022 წლის 14 იანვარი).

77. საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებული ინფორმაცია, 2023 წლის მაისი.

78. სისხლისსამართლებრივი დევნის სტატისტიკური მონაცემები შემდეგი წყაროდან: https://www.geostat.ge/media/51738/Hate_2022.pdf.

4.2.3. ჰეკომენდაციები

სამართალდამცველი ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ჟურნალისტთა უსაფრთხოებაზე, შესაბამის რესურსებს საჭიროებენ თავიანთი უფლებამოსილებების წარმატებით განსახორციელებლად. აღნიშნული მოიცავს სწავლებას, მაგრამ არ შემოიფარგლება ამით. გაიცემა შემდეგი რეკომენდაციები:

(1) გადაიხედოს რესურსები (მათ შორის, ფინანსური და ადამიანური რესურსები; თანამშრომელთა კვალიფიკაცია, ცოდნა და გამოცდილება; აღჭურვილობაზე წვდომა; გავლილი და ხელმისაწვდომი ტრენინგები), რომლებსაც სხვადასხვა სამართალდამცველი ორგანო საჭიროებს ჟურნალისტთა დასაცავად და მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და შეივსოს გამოვლენილი დანაკლისი. მათ შორის, გადაიხედოს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესაძლებლობები და რესურსები (ასევე მოიცავს: ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს; თანამშრომელთა კვალიფიკაციას, ცოდნასა და გამოცდილებას; აღჭურვილობაზე წვდომას; გავლილ და ხელმისაწვდომ ტრენინგებს) მის უფლებამოსილებასთან მიმართებით, 154-ე მუხლის შესაბამისად;

(2) პოლიციასა და პროკურატურაში შეიქმნას სპეციალური სტრუქტურული ერთეულები ჟურნალისტთა მიმართ ძალადობის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნისთვის და ისინი უზრუნველყონ საჭირო რესურსებით (ფინანსური და ადამიანური რესურსები, აღჭურვილობა, სწავლება);

(3) პოლიციასა და პროკურატურაში სპეციალური სტრუქტურული ერთეულების შექმნასთან ერთად, რეკომენდებულია, გაფართოვდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის უფლებამოსილება, რათა მოიცვას ჟურნალისტთა უსაფრთხოების საკითხებიც. გარდა ამისა, რეკომენდებულია, დეპარტამენტს მიეცეს შესაბამისი რესურსები გაფართოებული უფლებამოსილების განსახორციელებლად;

(4) თუ შესაძლებელი არ არის ასეთ დანაშაულთა დევნაზე პასუხისმგებელი სპეციალური ერთეულის ფორმირება გენერალურ პროკურატურაში, მიზანშეწონილია, გადაიხედოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის უფლებამოსილებები, რათა მოიცვას ჟურნალისტთა უსაფრთხოების საკითხებიც, ხოლო დეპარტამენტს მიეცეს შესაბამისი რესურსები გაფართოებული უფლებამოსილების განსახორციელებლად;

(5) გაანალიზდეს სამართალდამცველ ორგანოთა თანამშრომლებისთვის შემუშავებული სასწავლო პროგრამები ჟურნალისტთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და, შედეგად, ყველა სამართალდამცველი ორგანოსთვის შემუშავდეს სასწავლო გეგმა ისეთივე ტრენინგისთვის, რომელიც სამართალდამცველ ორგანოთა თანამშრომლებმა წარმატებულად გაიარეს სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე. ასეთი გეგმა უნდა მოიცავდეს სპეციალურ ტრენინგმოდულებს ჟურნალისტთა უსაფრთხოების შესახებ, როგორც პოლიციელების, ისე პროკურორებისთვის, და ფარავდეს, სულ მცირე, შემდეგ საკითხებს:

- ცნობიერების ამაღლება დემოკრატიულ საზოგადოებაში ჟურნალისტთა „საზოგადოებრივი მეთვალყურის“ (watchdog) როლის შესახებ;

- როლი, რომელსაც ჟურნალისტები ასრულებენ დემოკრატიულ საზოგადოებაში სახალხო მანიფესტაციების გაშუქებით, კონფლიქტის ზონებიდან ინფორმაციის მოწოდებით, კრიზისის, მათ შორის, საგანგებო მდგომარეობის დროს, და ამგვარი გაშუქების ნებისმიერი ხელშეშლის აცილების გზები;
- ჟურნალისტთა უფლება, არ გაამჟღავნონ მათი ინფორმაციის კონფიდენციალური წყაროები, და აუცილებელი პროცედურული გარანტიები ამ მიმართებით;
- ფაქტი, რომ ჟურნალისტები ხშირად აწყდებიან სპეციფიკურ რისკებსა და დისკრიმინაციას და გარკვეულ საკითხებზე მუშაობამ შეიძლება შეუქმნათ სახელმწიფო ან/და არასახელმწიფო აქტორთა მხრიდან მუქარის, თავდასხმის, შეურაცხყოფისა და შევიწროების საფრთხე;
- ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია და გამოვლენა, ქალისა და კაცის თანასწორობა, დაზარალებულთა საჭიროებები და უფლებები, ასევე, მეორეული ვიქტიმიზაციის პრევენციის გზები;
- სამართალდამცველ ორგანოთა დროული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, როდესაც სახეზეა სერიოზული საფრთხე ან ძალადობის მუქარა ჟურნალისტთა მიმართ;
- ინფორმაციის მიწოდება დახმარების, მხარდაჭერის, დაცვისა და კომპენსაციის შესახებ, რომელთა მიღებაც დაზარალებულებს შეუძლიათ სამართალდამცველ ორგანოებთან პირველივე კონტაქტის შემდგომ;
- საჭიროების შემთხვევაში, ჟურნალისტთა უზრუნველყოფა დაცვით;
- ეფექტიანი გამოძიების მახასიათებლები, ყველა შესაძლო კავშირის გათვალისწინება დანაშაულსა და ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობას შორის; გენდერულად სპეციფიკური საკითხები და შესაძლო კავშირი რასისტულ განწყობებსა და ძალადობრივ აქტს შორის;
- სამართალდამცველ ორგანოთა ცოდნის გაუმჯობესება, თუ როგორ უნდა გამოიძიონ ონლაინსივრცეში მუქარის შემთხვევები და სხვა სისხლის სამართლის დანაშაულები, მათ შორის, რომლებიც მოიცავს გენდერულ განზომილებას;
- მედიის როლი მანიფესტაციების დროს.

(6) შესაძლებელია, ასევე განხილული იქნას კოლეგათა შორის სწავლება და გამოცდილების გაცვლა სხვა ქვეყნების პოლიციის სამსახურებთან, რომლებმაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ჟურნალისტთა უსაფრთხოების დაცვასა და დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივ დევნაში.

4.3. ჟურნალისტთა უსაფრთხოება მანიფესტაციების დროს

4.3.1. საერთაშორისო სტანდარტები და კარგი პრაქტიკა

სახალხო მანიფესტაციები დემოკრატიული დისკურსის მნიშვნელოვანი ნაწილია. ეს არის კონვენციის მე-11 მუხლით დაცული მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების განხორციელება და უაღრესად მნიშვნელოვანი საშუალება, რომ ადამიანთა ჯგუფებმა შეძლონ საზოგადოების ყურადღების მიპყრობა ამა თუ იმ საკითხზე. ჟურნალისტი, რომელიც საპროტესტო აქციებს აშუქებს, ამ პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია: ის არის შუამავალი მანიფესტაციის მონაწილეებსა და ფართო

საზოგადოებას შორის. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ მანიფესტაციების გაშუქება ეხება არა მხოლოდ ჟურნალისტთა, არამედ საპროტესტო აქციის მონაწილეთა გამოხატვის თავისუფლებასაც. მედიის საშუალებით, საპროტესტო აქციის მონაწილეებს შეუძლიათ, თავიანთი პრობლემები მიიტანონ უფრო ფართო აუდიტორიამდეც. გარდა ამისა, აუდიტორიასაც აქვს ამ ინფორმაციის მიღების უფლება. ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „პრესის მოვალეობაა, გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე... ეს უთუოდ მოიცავს გაშუქებას ... შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ".[79]

გარდა ამისა, გაშუქებით მედიას წვლილი შეაქვს იმაში, რომ პოლიციის ჩართულობის შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს მათი პასუხისმგებლობაში მიცემა თავიანთი ქმედებებისთვის. ამ მიმართებით, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა:

> „ხაზი უნდა გაესვას მედიის მნიშვნელოვან როლს ინფორმაციის მიწოდებაში, თუ როგორ მოქმედებენ სახელმწიფო ორგანოები სახალხო მანიფესტაციის დროს და უწესრიგობის შესაკავებლად. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მედიასაშუალებების, როგორც „მეთვალყურე" ორგანიზაციების (watchdog) როლს, რადგან მათი იქ ყოფნა არის გარანტია, რომ შესაძლებელი იქნება სახელმწიფო ორგანოებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება მანიფესტაციის მონაწილეებისა და ფართო საზოგადოების მიმართ ქმედებებისთვის, როდესაც საქმე ეხება დიდი შეკრებების წესრიგის საპოლიციო კონტროლს, მათ შორის, მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება საპროტესტო აქციის მონაწილეთა გასაკონტროლებლად ან დასაშლელად, ან საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად."[80]

CM/Rec(2016)4 რეკომენდაციის თანახმად, „მნიშვნელოვანია, სამართალდამცველმა ორგანოებმა პატივი სცენ ჟურნალისტთა და მედიის სხვა აქტორთა როლს, რომლებიც აშუქებენ მანიფესტაციებსა და სხვა მოვლენებს. პრესის ან პროფესიული გაერთიანების წევრობის მოწმობა, შესაბამისი აკრედიტაცია და ჟურნალისტის განმასხვავებელი ნიშანი ხელისუფლების ორგანოებმა უნდა მიიღონ ჟურნალისტობის დამადასტურებელ საბუთად. თუ შეუძლებელია პროფესიული დოკუმენტაციის წარმოდგენა ჟურნალისტის ან მედიის სხვა აქტორის მიერ, სახელმწიფო ორგანოებმა ყველა შესაძლო ძალისხმევა უნდა გასწიონ მათი სტატუსის დასადგენად. გარდა ამისა, წახალისებულია დიალოგი სახელმწიფო ორგანოებსა და ჟურნალისტთა ორგანიზაციებს შორის, რათა თავიდან აიცილონ უთანხმოება ან შეტაკება პოლიციასა და მედიის წარმომადგენელთა შორის."[81]

პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს CM/Rec(2016)4 რეკომენდაციას, ასევე აკონკრეტებს, რომ „საპოლიციო ოპერაციები, მათ შორის, წესრიგის დაცვა სახალხო მანიფესტაციებისას, სათანადოდ უნდა რეგულირდებოდეს [ეროვნული კანონმდებლობით], შესაბამისი და ეფექტიანი გარანტიების სისტემის ფარგლებში, რომელიც მიმართულია თვითნებობისა და ძალის გადამეტების და თუნდაც იმ უბედური შემთხვევების წინააღმდეგ, რომელთა აცილებაც შესაძლებელია."[82]

(2016)4 რეკომენდაციის განხორციელების სახელმძღვანელოს თანახმად:

79. საქმე *Najafli v. Azerbaijan*, განაცხადი no. 2594/07, 2012 წლის 2 ოქტომბერი.
80. საქმე Pentikäinen v. Finland, განაცხადი No. 11882/10, 2015 წლის 20 ოქტომბერი.
81. რეკომენდაცია(2016)4, სახელმძღვანელო მითითებები, პუნქტი 14.
82. რეკომენდაცია(2016)4, პრინციპები, პუნქტი 22.

„აუცილებელია, სახელმწიფო ორგანოები არ ჩაერიონ იმ მოვლენათა გაშუქებაში [ჟურნალისტების მიერ], რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დემოკრატიული სისტემების ფუნქციონირებაზე. აქედან გამომდინარე, ჟურნალისტებსა და მედიის სხვა აქტორებს უფლება აქვთ, გადაიღონ მანიფესტაციები, მათ შორის, პოლიციის მოქმედებები უწესრიგობისას, და მათ არ უნდა ჩამოერთვათ აღჭურვილობა."

სახელმძღვანელო ასევე ხაზს უსვამს, რომ პოლიციამ პატივი უნდა სცეს პრესის მოწმობებსა და მსგავს სიმბოლოებს, მაგრამ თუ ჟურნალისტი არ ატარებს განმასხვავებელ ნიშანს, ეს არ უნდა გამოიყენონ საბაბად ჟურნალისტური საქმიანობის გაუმართლებელი შეზღუდვისთვის. როცა ჟურნალისტები ვერ ახერხებენ თავიანთი მოწმობების წარდგენას, პოლიციამ ძალისხმევა უნდა გაიღოს მათი სტატუსის სხვა გზით დასადასტურებლად (მაგ: დაუკავშირდეს მედიაორგანიზაციებს ან ჟურნალისტთა ასოციაციებს).

საქმეში *Butkevich v. Russia* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა (თუმცა დაწვრილებით არ განუხილავს ეს საკითხი), რომ ჟურნალისტებს არ უნდა მოეთხოვებოდეთ პრესის ემბლემების ან განმასხვავებელი ტანსაცმლის ტარება საპროტესტო აქციების დროს, ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული დაცვით სარგებლობისათვის.[83]

ვენეციის კომისიამ და ეუთომ ასევე გამოსცეს სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც შეეხება წესრიგის დაცვას მანიფესტაციების დროს, ასევე, მედიის როლს.[84] მათი „სახელმძღვანელო მითითებები მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ", რომელიც ეფუძნება ადამიანის უფლებათა სამართალსა და კარგ საერთაშორისო პრაქტიკას, შეიცავს შემდეგ რეკომენდაციებს:

- სახელმწიფო ორგანოებს ეკისრებათ მოვალეობა, დაიცვან და ხელი შეუწყონ ჟურნალისტთა და მედიის თანამშრომელთა მუშაობას და მაქსიმალურად უზრუნველყონ მათი უსაფრთხოება;
- სამართალდამცველმა ორგანოებმა უნდა დაიცვან ჟურნალისტები მესამე მხარეთაგან მომდინარე ძალადობისა თუ ზიანისგან;
- სამართალდამცველი ორგანოები ვალდებულნი არიან, გამოიჩინონ თავდაჭერილობა და თავი შეიკავონ ჟურნალისტთა მუშაობაში ჩარევისგან. კერძოდ, მათ არ უნდა დააკავონ ან დააპატიმრონ ჟურნალისტები შეკრების გაშუქების გამო;
- სამართალდამცველმა ორგანოებმა პატივი უნდა სცენ როგორც ჟურნალისტის, ისე მისი აღჭურვილობის ფიზიკურ ხელშეუხებლობას;
- უსაფრთხოების უზრუნველყოფა არ უნდა გამოიყენებოდეს საბაბად ჟურნალისტთა უფლებების არასაჭირო შეზღუდვისათვის;
- ჟურნალისტებს უფლება აქვთ, შეკრებების დროს ჩაწერონ პოლიციის ქმედებები, რაზეც შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ გონივრული შეზღუდვები დროის, ადგილისა თუ მეთოდის თვალსაზრისით;
- ხელისუფლების ორგანოებმა ჟურნალისტებს სრული წვდომა უნდა მისცენ ყველა ფორმის საჯარო შეკრებებზე, ასევე, საპოლიციო მოქმედებებზე, რომლებიც დაწესებულია მათ ხელშესაწყობად.

83. საქმე *Butkevich v. Russia*, განაცხადი No. 5865/07, 2018 წლის 13 თებერვალი, პუნქტები 121-124.

84. ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიისთვის, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, სახელმძღვანელო მითითებები მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ, 2020 წლის 15 ივლისი.

- მანიფესტაციების გამართვის ადგილიდან ჟურნალისტთა გაყვანის ნებისმიერი მცდელობა მკაცრად უნდა გაკონტროლდეს;
- ჟურნალისტთა პატივისცემა და დაცვა უნდა ვრცელდებოდეს არა მხოლოდ ოფიციალურად აღიარებულ ჟურნალისტებზე, არამედ სათემო მედიის მუშაკებზე, სამოქალაქო ჟურნალისტებსა და ბლოგერებზეც;
- შეკრებაზე წვდომისა ან მისი გაშუქებისათვის, არ უნდა მოითხოვებოდეს პრესის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სივრცე შეზღუდულია;
- საპროტესტო აქციის მონაწილეთა დაშლის ბრძანებებმა არ უნდა დაავალდებულოს ჟურნალისტს ტერიტორიის დატოვება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა რისკის ქვეშ დგება მათი პირადი უსაფრთხოება, ან, გამონაკლის შემთხვევებში, როცა მათი განგრძობითი ფიზიკური დასწრება მნიშვნელოვნად აფერხებს/ხელს უშლის სამართალდამცველ ორგანოთა თანამშრომლებს თავიანთი სამუშაოს შესრულებაში.[85]

და ბოლოს, განხორციელების სახელმძღვანელოც და ვენეციის კომისიისა და ეუთოს სახელმძღვანელო მითითებებიც ხაზს უსვამს მედიასა და პოლიციას შორის კოორდინირებული მომზადების და კომუნიკაციის მნიშვნელობას, რათა უკეთ გაიცნონ ერთმანეთის მოვალეობები და შეზღუდვები, ასევე, მათ შორის ჩამოყალიბდეს ნდობა და კარგი სამუშაო ურთიერთობები. კონფლიქტის რისკის შესამცირებლად, პოლიციას ღია კომუნიკაცია უნდა ჰქონდეს მედიასთან, ხოლო მოვლენათა შემდგომი მოხსენების გაკეთება პოლიციის მიერ (დებრიფინგი) სტანდარტულ პრაქტიკად უნდა დამკვიდრდეს და მიემართებოდეს ჟურნალისტთა უსაფრთხოების საკითხებს.

ამ მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო მითითებების შესასრულებლად - და რიგ შემთხვევებში, მათ შემუშავებამდეც - ევროპის ქვეყნებმა შემოიღეს რამდენიმე ღონისძიება, რომელთა ქვაკუთხედიც, ხშირ შემთხვევაში, მხარეთა შორის კომუნიკაციაა. ნიდერლანდებში ჟურნალისტთა ჰოლანდიური ასოციაცია და ეროვნული პოლიცია ერთმანეთს სამ თვეში ერთხელ ხვდებიან პრესასა და პოლიციას შორის თანამშრომლობის განსახილველად, განსაკუთრებით, იმ ინციდენტებზე, რომლებშიც ჩართულია ჟურნალისტი არეულობის დროს, ასევე, საჯარო სივრცეებში ჟურნალისტთა უფლებებთან მიმართებით. ისინი შეთანხმდნენ პროტოკოლებზეც, რომლებიც უნდა დაიცვან საპროტესტო აქციებისა და სხვა ინციდენტების დროს. ეს პროტოკოლები მოიცავს ჟურნალისტთა კომუნიკაციას სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან, რომელმაც უნდა დაიცვას წესრიგი მანიფესტაციის მიმდინარეობისას, რათა პოლიცია ფლობდეს ინფორმაციას, რომ მედია დაესწრება შეკრებას. მსგავსი შეხვედრები მედიისა და სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებს შორის შვედეთშიც იმართება. უკრაინაში სხვადასხვა რეგიონის პოლიციელებმა გაიარეს სწავლება, რომელიც შეეხება პოლიციასა და მედიას შორის სათანადო კომუნიკაციას საჯარო ღონისძიებების დროს;[86] გაერთიანებულ სამეფოში 2021 წელს გამოქვეყნებული ეროვნული სამოქმედო გეგმა ჟურნალისტთა უსაფრთხოების შესახებ პოლიციას ავალდებულებს თანამშრომლობას ჟურნალისტთა ასოციაციებთან, რათა განახლდეს პოლიციელთა სწავლება ჟურნალისტთა როლზე მანიფესტაციების გაშუქებაში.[87]

85. *იქვე*, გვ. 73-76.
86. *იქვე*, გვ. 36, 37.
87. ეროვნული სამოქმედო გეგმა ჟურნალისტების უსაფრთხოებისთვის, 2021 წლის 9 მარტი.

და ბოლოს, რელევანტური იქნება, აღვნიშნოთ, რომ ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის უსაფრთხოების სახელმძღვანელო მითითებები მანიფესტაციებისა და სამოქალაქო არეულობების გაშუქებისთვის იძლევა შემდეგ რეკომენდაციას: მართალია, ჟურნალისტები უნდა ატარებდნენ პრესის მაიდენტიფიცირებელ სხვადასხვა ნიშანს, თუმცა უნდა „დამალონ ისინი, თუ გაუმართლებელ ყურადღებას მიიპყრობენ."[88] ანალოგიურად, „უსაფრთხოების გზამკვლევი ჟურნალისტებისთვის", რომელიც შეიმუშავა ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე", შეიცავს შემდეგ გაფრთხილებას: „თუ ატარებთ პრესის ნიშანს, შეიძლება საკუთარ თავს შეუქმნათ მანიფესტაციის მონაწილეთა მხრიდან ანტიჟურნალისტური ძალადობის საფრთხე."[89] ორივე ორგანიზაციის სახელმძღვანელო მითითებები აღიარებს, რომ შეიძლება არსებობდეს გარემოებები, რომლებშიც ჟურნალისტებისთვის სასარგებლოა ასეთი სახით იდენტიფიცირება, მაგრამ ხანდახან ასე არ არის და შეიძლება, ძალადობის საფრთხეც შეექმნათ მათ. შესაბამისად, წესი, რომელიც ჟურნალისტებს დაავალდებულებს, რომ ყოველთვის ატარონ პრესის მაიდენტიფიცირებელი ნიშანი, მცდარი იქნებოდა.

4.3.2. საქართველოში არსებული პრაქტიკის ანალიზი

როგორც ამ ანგარიშის შესავალში აღინიშნა, რამდენიმე ყველაზე ცნობილი ინციდენტი, რომლებმაც საფრთხე შეუქმნა ჟურნალისტთა უსაფრთხოებას, მანიფესტაციებს უკავშირდება. სხვა ინციდენტებთან ერთად, 2021 წელს ჟურნალისტებმა განიცადეს თავდასხმები ლგბტქი+ თემის მოწინააღმდეგე ძალადობრივი ჯგუფებისგან, ხოლო 2019 წლის ივნისში, საპროტესტო აქციების დროს, მათ დაზიანებები მიიღეს პოლიციის მიერ ნასროლი რეზინის ტყვიებით.[90]

2021 წლის ივლისში მომხდარმა ძალადობამ განსაკუთრებულად ღრმა კვალი დატოვა მედიასაზოგადოებაზე. თავდასხმების დროს სახელმწიფო ორგანოთა რეაგირება აღიქმებოდა, როგორც ნელი და არაეფექტიანი, რამაც მოძალადეებს მიანიშნა, რომ შეძლებდნენ პასუხისმგებლობის აცილებას ნებისმიერი თავდასხმისთვის. ამ მოვლენებს მოჰყვა შეშფოთება იმის გამო, რომ დაკავებებისა და გამამტყუნებელი განაჩენების მიუხედავად, გამოძიება სათანადოდ არ ჩატარებულა. განცდა, რომ დამნაშავეები დაუსჯელები რჩებიან, კვლავ არსებობს. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა ინტერვიუებში ხაზი გაუსვეს, რომ ეს პრობლემა არ ეხებათ ცალკეულ პოლიციელებს, მას სისტემური სახე აქვს. საპროტესტო აქციების დროს ჟურნალისტები თავს ძალიან დაუცველად გრძნობენ. განსაკუთრებით, საფრთხის ქვეშ არიან გარე სივრცეში მომუშავე რეპორტიორები, რომლებიც იქ კამერებითა და მიკროფონებით იმყოფებიან, მათი ჟურნალისტური როლი ძალიან ხილვადია და, ამიტომაც, ისინი „სამიზნედ" აღიქმებიან. 2021 წლის ივლისის ძალადობის დროს ზოგიერთმა ჟურნალისტმა მოიხსნა პრესის ნიშნები, თავდასხმის ასაცილებლად.

88. უსაფრთხოების შესახებ სახელმძღვანელო მითითებები მანიფესტაციებისა და სამოქალაქო არეულობების გასაშუქებლად, პუნქტი 12.

89. რეპორტიორები საზღვრებს გარეშე – უსაფრთხოების გზამკვლევი ჟურნალისტებისთვის, 2016, გვ. 58.

90. Agenda.ge, 20 ივნისს გამართულ აქციაზე 32 ჟურნალისტი დაშავდა, მედია გამოძიებას ითხოვს, 2019 წლის 21 ივნისი.

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 2(4) მუხლის თანახმად: „შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზატორები და სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლები ვალდებულნი არიან, ხელი არ შეუშალონ პროფესიულ საქმიანობაში მაიდენტიფიცირებელი ნიშნის მქონე ჟურნალისტებს, რომლებიც აშუქებენ შეკრებას ან მანიფესტაციას.“ ამ მიმოხილვისთვის ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ სამართალდამცველი ორგანოები ამას განმარტავენ მოთხოვნად, რომ ჟურნალისტები უნდა ატარებდნენ მაიდენტიფიცირებელ ნიშნებს. როგორც აღინიშნა წინა თავში, ასეთი მოთხოვნა ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს და, ზოგ შემთხვევაში, შეიძლება საფრთხეს უქმნიდეს ჟურნალისტთა სიცოცხლეს. საქმეზე *Butkevich v. Russia* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ იმ ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობას, რომელიც აშუქებს მანიფესტაციას, მაგრამ არ ატარებს განმასხვავებელ ტანსაცმელს ან მაიდენტიფიცირებელ ნიშანს, მაინც იცავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი.[91]

მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა, რომლებიც ამ ანგარიშისთვის გამოიკითხნენ, ასევე გამოყვეს რამდენიმე საკითხი, რომლებშიც, მათი აზრით, არსებობს სივრცე საპოლიციო პრაქტიკის გასაუმჯობესებლად:

- საჯარო ღონისძიებების ან მანიფესტაციების ჩატარებამდე, სამართალდამცველ ორგანოებთან კოორდინაცია არ ან არასაკმარისად წარიმართება. ეს ნიშნავს, რომ პოლიცია და ჟურნალისტები სათანადოდ არ არიან მომზადებულნი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ხდება ძალადობა და ჟურნალისტები ან უშუალოდ არიან თავდასხმის ობიექტები, ან ირიბად ექცევიან ძალადობის ქვეშ;
- სიცხადის ნაკლებობა, თუ რას გულისხმობს სათანადო „მაიდენტიფიცირებელი ნიშანი“, რომლის ტარებასაც ჟურნალისტებისგან ითხოვს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, და შეშფოთება, რომ ამის გამო შეიძლება გამოირიცხონ სამოქალაქო ჟურნალისტები ან სხვა პირები, რომლებიც „ჟურნალისტის“ ტრადიციულ განმარტებაში არ ექცევიან (როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს მოთხოვნა საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება);
- სიცხადის ნაკლებობა მანიფესტაციების დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმის როლსა და რეგულირებასთან მიმართებით.

ინტერვიუს დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მანიფესტაციების დროს, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალური პოლიციელები ინიშნებიან ჟურნალისტებთან კომუნიკაციისთვის: ისინი ჟურნალისტებს მიუთითებენ უსაფრთხო ადგილებს მოვლენათა გასაშუქებლად.

გარდა მცდარი მოთხოვნისა, რომ ჟურნალისტებმა უნდა ატარონ მაიდენტიფიცირებელი ნიშნები, ასევე დიდი ხარვეზია ეფექტიანი კომუნიკაციის ნაკლებობა მედიასა და სამართალდამცველ ორგანოებს შორის, როგორც ზოგადი უსაფრთხოების საკითხებზე, ასევე ჟურნალისტთა დაცვის კონკრეტულ საკითხზე მანიფესტაციების დროს. პოლიციის მიმართ ნდობის ნაკლებობა შეიძლება ნიშნავდეს, რომ ჟურნალისტებს უბრალოდ არ აქვთ იმის განცდა, რომ შეუძლიათ პოლიციასთან თანამშრომლობა. კარგი საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ნებისმიერ გაუმ-

91. საქმე *Butkevich v. Russia*, განაცხადი no. 5865/07, 2018 წლის 13 თებერვალი, პუნქტები 121-124.

ჯობესებას საფუძვლად უნდა დაედოს ეფექტიანი კომუნიკაცია. ასეთი კომუნიკაციის ნაკლებობა წარმოშობს უნდობლობის გარემოს, რამაც შეიძლება ძირი გამოუთხაროს უსაფრთხოების გაუმჯობესების ჭეშმარიტი ძალისხმევაც კი.

4.3.3. ჰეკომენდაციები

ეროვნული პრაქტიკის შესაბამისობისათვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან, ასევე, მანიფესტაციების დროს ჟურნალისტთა უსაფრთხოების დასაცავად, გაიცემა შემდეგი რეკომენდაციები:

(1) „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში შევიდეს ცვლილება, რათა გაუქმდეს ჟურნალისტებისთვის დაწესებული მოთხოვნა მაიდენტიფიცირებელი ნიშნების ტარების შესახებ;

(2) შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, სამართალდამცველებისა და იმ ჟურნალისტების ჩართულობით, რომლებიც წარმოადგენენ მედიასაზოგადოების სხვადასხვა სეგმენტს, რათა შეთანხმდნენ სახელმძღვანელო მითითებებზე მანიფესტაციებისა და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების გაშუქების შესახებ, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით. ამ დოკუმენტმა უნდა განსაზღვროს მედიის წარმომადგენელთა უფლებები, გამოკვეთოს პრაქტიკული თანამშრომლობის ხელშემწყობი ნაბიჯები და მოიცვას მედიის იდენტიფიცირების პრაქტიკული წესები და მეთოდები;

(3) განსაკუთრებულად რეკომენდებულია, რომ მანიფესტაციებისა და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების წინ, როგორიცაა არჩევნები, საპროტესტო აქციები ან დიდი სპორტული ღონისძიებები, ჩატარდეს შეხვედრები ჟურნალისტებსა და სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებს შორის, რათა განიხილონ უსაფრთხოების საკითხები და ერთობლივად შეთანხმდნენ უსაფრთხოების პროტოკოლებზე;

(4) უსაფრთხოების პროტოკოლი უნდა მოიცავდეს, სულ მცირე, შემდეგ საკითხებს:

- იმ მნიშვნელოვანი როლის აღიარება, რომელსაც ჟურნალისტები ასრულებენ მანიფესტაციების გაშუქებით;
- სამართალდამცველ ორგანოთა მთავარი მოვალეობა მანიფესტაციების დროს არის როგორც საპროტესტო აქციების, ასევე მედიაგაშუქების ხელშეწყობა და არა შეზღუდვა;
- საკონტაქტო პირის განსაზღვრა სამართალდამცველ ორგანოში, ისევე, როგორც მედიისთვის.

(5) ჟურნალისტები ან მედიასაშუალებები, რომლებიც არ მონაწილეობენ ერთობლივ სამუშაო ჯგუფებში, არ უნდა დაისაჯონ, და არმონაწილეობა არ უნდა გამოიყენებოდეს მათი უფლებების უარყოფის საბაბად.

4.4. მედიის შესაძლებლობები და ცოდნა მისი უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ უსაფრთხოების საკითხებთან მიმართებით

4.4.1. საერთაშორისო სტანდარტები და კარგი პრაქტიკა

მედიაკომპანიებს მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათთან დასაქმებულ ჟურნალისტთა დაცვაზე. ნებისმიერი სხვა დამსაქმებლის მსგავსად,

მედიაკომპანიებმა უნდა მიიღონ ყველა ზომა, რომლებსაც გონივრულად მოელიან მათგან თანამშრომელთა უსაფრთხოების დასაცავად; ასევე, ჩაატარონ სწავლება უსაფრთხოების საკითხებზე და, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყონ უსაფრთხოების აღჭურვილობა, რათა დასაქმებულებს შეეძლოთ თავიანთი სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულება.

CM/Rec(2016)4 რეკომენდაციაში ნათქვამია, რომ მედიასაშუალებების პასუხისმგებლობაში შეიძლება შედიოდეს: შიდა სახელმძღვანელო მითითებებისა და პროცედურების მიღება, რომლებიც შეეხება ჟურნალისტთა მივლინებას რთულ ან სახიფათო დავალებებზე (რაც ნებაყოფლობითი უნდა იყოს); მათთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება შესაბამის რისკებზე; აუცილებელი ტრენინგის ჩატარება უსაფრთხოების ყველა საკითხზე, მათ შორის, ციფრული უსაფრთხოებისა და პირადი ცხოვრების დაცულობაზე. რეკომენდაციაში ასევე აღნიშნულია, რომ მედიასაშუალებამ თავისი თანამშრომლები უნდა უზრუნველყოს სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და სამოგზაურო დაზღვევით, სამუშაო პირობების სრული და სამართლიანი პაკეტის ფარგლებში. სხვა ინსტიტუციური პასუხისმგებლობა მოიცავს იურიდიულ დახმარებასა და წარმომადგენლობას, ასევე, ტრავმასთან დაკავშირებული კონსულტაციის მიწოდებას მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ.[92]

ამ სტანდარტებზე დაყრდნობით, შესაძლებელია კარგი საერთაშორისო პრაქტიკის რამდენიმე მაგალითის მითითება. უსაფრთხოების პრინციპები, რომლებიც შეიმუშავა მედიაორგანიზაციების ალიანსმა ACOS-მა („უსაფრთხოების კულტურა“), ითვალისწინებს გარკვეულ დეტალებს, თუ რას შეიძლება ელოდნენ მედიაკომპანიებისგან.[93] ეს პრინციპები შემუშავდა საერთაშორისო მედიაკომპანიების პასუხისმგებლობის გათვალისწინებით შტატგარეშე ჟურნალისტთა მიმართ, თუმცა, ალბათ სწორედ ამიტომ, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ აღნიშნული პრინციპები ადგენს მინიმალურ წესებს (მუდმივი თანამშრომლებისთვის კომპანიისგან უფრო მეტს მოელიან). უსაფრთხოების პრინციპების შესაბამისად:

(1) საინფორმაციო სააგენტოები და გამომცემლები უნდა ცდილობდნენ, რომ ჟურნალისტებსა და შტატგარეშე თანამშრომლებს, რომლებთანაც რეგულარულად თანამშრომლობენ, მოეპყრონ მუდმივი თანამშრომლების მსგავსად, როდესაც საქმე ეხება უსაფრთხოების სწავლებას, პირველად სამედიცინო დახმარებას, უსაფრთხოების აღჭურვილობას, და პასუხისმგებლობას დაზიანების ან გატაცების შემთხვევაში;

(2) გამომცემლებმა და საინფორმაციო სააგენტოებმა უნდა იცოდნენ და გაითვალისწინონ დამატებითი ხარჯები, რომლებიც უკავშირდება სწავლებას, დაზღვევასა და უსაფრთხოების აღჭურვილობას საბრძოლო მოქმედებების ზონაში. შტატგარეშე თანამშრომლის მივლინებამდე, მათ მკაფიოდ უნდა განსაზღვრონ, რამდენს გადაუხდიან და რა ხარჯებს დაუფარავენ მას;

(3) საინფორმაციო სააგენტომ არ უნდა მიავლინოს შტატგარეშე თანამშრომლები კონფლიქტის ზონებსა ან საშიშ ადგილებში, თუ არ აქვს მზაობა, რომ გატაცების ან დაზიანების შემთხვევაში, იმავე პასუხისმგებლობას აიღებს შტატგარეშე თანამშრომლის კეთილდღეობაზე, რომელსაც აიღებდა მუდმივ დასაქმებულზე. საინფორმაციო სააგენტოებს ეკისრებათ მორალური პასუხისმგებლობა, რომ მხარი დაუჭირონ საშიშ ადგილებში

92. რეკომენდაცია CM/Rec(2016)4, სახელმძღვანელო მითითებები, პუნქტი 16.

93. იხ. შტატგარეშე ჟურნალისტთა უსაფრთხოების პრინციპები.

> მივლენილ ჟურნალისტებს, ვიდრე შტატგარეშე თანამშრომელი იცავს საინფორმაციო სააგენტოს წესებსა და ინსტრუქციებს.

გარდა ამისა, ACOS-ის ალიანსი უზრუნველყოფს მთელ რიგ რესურსებს, მათ შორის, გზამკვლევს უსაფრთხოების თვითშეფასების შესახებ, რომელიც მედიას აძლევს უსაფრთხოების არსებული პრაქტიკისა და პროტოკოლების გაუმჯობესების საშუალებას და საინფორმაციო მენეჯერებს ეხმარება, რომ განსაზღვრონ და გაიაზრონ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები მათთან დასაქმებულ პირთა უსაფრთხოების კუთხით. ალიანსს შემუშავებული აქვს საკონტროლო სიაც (Checklist) გამომცემლებისა და შტატგარეშე ჟურნალისტებისთვის, რომლებთანაც თანამშრომლობენ, რათა მივლინებამდე გაითვალისწინონ უსაფრთხოების ყველა ასპექტი.[94] სხვა რესურსები მოიცავს საკონტროლო სიებს (Checklist) საზოგადოებრივი არეულობის გაშუქების, იურიდიული დახმარების, ტრავმების მართვის, ციფრული უსაფრთხოებისა და დაზღვევისათვის. ეს მასალები გულდასმით უნდა შეისწავლონ დაინტერესებულმა მხარეებმა, რათა განსაზღვრონ, თუ როგორ შეუძლიათ შიდა პრაქტიკის გაუმჯობესება.

ACOS-ის ალიანსი ამოწმებს ჟურნალისტთა უსაფრთხოების სწავლების დარგობრივ სტანდარტსაც, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა რისკების შეფასება, სამართლებრივი რისკები, ფიზიკური და ციფრული საფრთხეები, გადაუდებელი სამედიცინო შემთხვევები, გენდერი, იდენტობა და რისკი.[95]

მედიის უსაფრთხოების გზამკვლევთა მაგალითები, რომლებიც უნდა შეისწავლონ დაინტერესებულმა მხარეებმა ამ საკითხზე ინფორმაციის მისაღებად, მოიცავს BBC-ის „მაღალი რისკის გზამკვლევს“. იგი ითვალისწინებს სახელმძღვანელო მითითებებსა და პროტოკოლებს უსაფრთხოების სხვადასხვა საკითხზე, როგორიცაა: ქიმიური და სამრეწველო დაღვრის გაშუქება; ფარული გადაღება; კრიზისის მართვა და უსაფრთხოების მხარდაჭერა; მანიფესტაციები, საპროტესტო აქციები და თავყრილობები; სტიქიური უბედურებების გაშუქება; და საზოგადოებრივი წესრიგი. ასევე აღსანიშნავია გზამკვლევი მტრული გარემოს მაღალი რისკების შესახებ და ინფორმაცია და მოთხოვნები ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობის კუთხით.[96] BBC მაღალრისკიან სამუშაოდ განსაზღვრავს: „მივლინებას მტრულ გარემოში, რომელიც შეიძლება იყოს ეკოლოგიური (მაღალმთიანი ადგილები, უდაბნო), ან ადამიანის მიერ შექმნილი (კონფლიქტები, ძალადობრივი არეულობა); ისეთ საქმიანობას, როგორიცაა საშიში ჯგუფების ფარული გადაღება; ან ისეთი მოვლენების გაშუქებას, როგორიცაა ტერორისტული აქტები, სტიქიური უბედურებები და პანდემიური დაავადებები“. ნებისმიერი ასეთი მივლინების წინ ჟურნალისტებმა უნდა:

- მიიღონ ინფორმაცია და რჩევები „მაღალი რისკების გუნდისგან“;
- წერილობით მოამზადონ რისკის შეფასება და მიიღონ საჭირო ზომები უსაფრთხოების დასაცავად;
- უზრუნველყონ, რომ ჩართულ პირებს ჰქონდეთ სათანადო ცოდნა ან/და გამოცდილება ამ დავალების შესასრულებლად;
- განსაზღვრონ და გამოიყენონ შესაფერისი უსაფრთხოების აღჭურვილობა;
- შეიმუშაონ შესაბამისი სამოქმედო გეგმები და ზომები გადაუდებელი შემთხვევებისთვის;

94. იხ. უსაფრთხოების მართვის რესურსები.
95. იხ. უსაფრთხოების ტრენინგის დარგობრივი სტანდარტი.
96. BBC-ის გზამკვლევი მაღალი რისკების შესახებ.

- მიიღონ ნებართვა შესაბამისი დონის ხელმძღვანელობისგან და ყველა მივლინება შეათანხმონ ინფორმაციის შეგროვების დეპარტამენტთან (რომელიც პასუხისმგებელია ყველა მივლინებაზე მტრულ გარემოში).

მართალია, ყველა საინფორმაციო სააგენტოს არ აქვს რესურსები შიდა „მაღალი რისკების გუნდის“ შესაქმნელად, თუმცა სხვა ზომები, რომელთა მიღებასაც მოითხოვს BBC-ის გზამკვლევი, ნაკლებ ფინანსურ ხარჯებს უკავშირდება და უზრუნველყოფს, რომ არცერთი ჟურნალისტი არ მიავლინონ საშიშ ადგილებში პოტენციური რისკების ცოდნისა და უსაფრთხოების ეფექტიანი პროტოკოლების გარეშე.

მედიაგზამკვლევის კიდევ ერთი მაგალითია უსაფრთხოების სახელმძღვანელო დოკუმენტალისტებისთვის[97], რომელიც ფარავს შემდეგ საკითხებს: ციფრული უსაფრთხოება; ჟურნალისტთა ანგარიშვალდებულება; სამართლებრივი უსაფრთხოება; სახელმძღვანელო მითითებები მაღალრისკიანი ადგილების შესახებ; სუბიექტთა უსაფრთხოება; საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხები; „საკონტროლო სია“ (Checklist) გადამღები ჯგუფებისთვის, რათა განჭვრიტონ და შეამცირონ შესაძლო რისკები და შეიმუშაონ გეგმა გაუთვალისწინებელი სიტუაციებისთვის; და მტრულ გარემოში გადაღების პროტოკოლი - საკონტროლო სიის დეტალური დამატება მათთვის, ვინც გადაწყვეტს მტრულ გარემოში გადაღებას. გზამკვლევი განკუთვნილია გადამღები ჯგუფებისთვის, რომლებსაც არ აქვთ რესურსები, როგორიცაა, მაგალითად, შიდა „მაღალი რისკების გუნდი“, ამიტომ, მიზანშეწონილია, ესეც შეისწავლონ დაინტერესებულმა მხარეებმა სახელმძღვანელოდ.

სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ეროვნული პრაქტიკის მაგალითია ჰოლანდიური პროგრამა „Persveilig“ („პრესის უსაფრთხოება“), რომელიც აერთიანებს მედიაკომპანიებს, ჟურნალისტთა ასოციაციებსა და სამართალდამცველ ორგანოებს. მისი მიზანია, ჟურნალისტებს მიაწოდოს საშუალებები საკუთარი უსაფრთხოების დასაცავად (ისე, რომ არ აუქმებს სახელმწიფოს ან დამსაქმებლის პასუხისმგებლობას).[98] პროგრამა ერთობლივად ფინანსდება მედიასაშუალებათა მხრიდან და სახელმწიფო სუბსიდიებით. შვედეთში მთავრობა ფინანსურ დახმარებას უწევს Fojo-ს მედიაინსტიტუტს (Fojo Media Institute), რათა გააძლიეროს იმ ჟურნალისტთა და გამომცემელთა მხარდაჭერა, რომლებიც არიან მუქარისა და სიძულვილის სამიზნეები.[99]

4.4.2. საქართველოში არსებული პრაქტიკის ანალიზი

სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ, ზოგადად, ჟურნალისტებსა და მედიასაშუალებებს არ ჰყოფნით ცოდნა უსაფრთხოების საკითხებში. ხშირად, მედიასაშუალებაში ცხადი არ არის, თუ ვინ აგებს პასუხს ჟურნალისტთა უსაფრთხოებაზე. როგორც აღმოჩნდა, ზოგჯერ ჟურნალისტებს სახიფათო და პოტენციურად ძალადობრივ გარემოში აგზავნიან არასაკმარისი ინსტრუქციებით, სწავლებით, აღჭურვილობითა და უსაფრთხოების სხვა რესურსებით. ბევრ მედიასაშუალებას არც აქვს უსაფრთხოების აღჭურვილობა, ხოლო ვისაც აქვს, ის არ ფლობს საკმარის ცოდნას მისი გამოყენების შესახებ.

2021 წლის ივლისში მომხდარი ძალადობის საპასუხოდ, ზოგიერთმა მედიასაშუალებამ ცვლილებები შეიტანა უსაფრთხოების პროტოკოლებში და შეისყიდა ისეთი აღჭურვილობა, როგორიცაა ჩაფხუტები, ჟილეტები და აირწინაღები; ნაწილმა კი

97. იხ. Safe and Secure-ის გზამკვლევი დოკუმენტალისტებისთვის.

98. იხ. პრესის უსაფრთხოების პროგრამა.

99. როგორც აღნიშნულია 2022 წლის ანგარიშში კანონის უზენაესობის შესახებ – ქვეყნის შესახებ თავი შვედეთში კანონის უზენაესობის მდგომარეობასთან დაკავშირებით, SWD(2022) 527 საბოლოო, 2022 წლის 13 ივლისი.

შემოიღო უსაფრთხოების საინსტრუქციო შეხვედრების (ბრიფინგები) გამართვა ისეთი ღონისძიებების წინ, როგორიცაა მასობრივი შეკრება და მანიფესტაცია, და შემაჯამებელი მოხსენებების (დებრიფინგი) გაკეთება მათ შემდგომ. დაინტერესებული მხარეები აღიარებენ, რომ ასეთი ინვესტიციები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ, ამავდროულად, ძვირადღირებულიც, და დიდ გავლენას ახდენს მედიასაშუალებათა ბიუჯეტზე, როცა უკვე აქვთ ფინანსური სირთულეები.

უსაფრთხოების გაზრდილი რისკების საპასუხოდ, ჟურნალისტებმა უნდა გაიარონ საბაზისო სწავლებაც საკუთარი უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ. ეს უნდა მოიცავდეს სისხლისსამართლებრივი პროცედურების ცოდნას, ასევე, როგორ უნდა დაამყარონ ურთიერთობა სამართალდამცველ ორგანოებთან მათ მიმართ ძალადობის ნებისმიერი შემთხვევის გამოძიებისას.

4.4.3. რეკომენდაციები

ცხადია, რომ, სულ მცირე, რამდენიმე მედიაორგანიზაციაში უსაფრთხოება არ შეესაბამება კარგ საერთაშორისო პრაქტიკას და, შესაძლოა, ეროვნულ სტანდარტებსაც. მედიაკომპანიებმა, რომლებიც აცხადებენ, რომ არ აქვთ საჭირო აღჭურვილობის შესყიდვის შესაძლებლობა, ხელახლა უნდა შეაფასონ თავიანთი ფინანსური პრიორიტეტები და შეისწავლონ სხვა მედიაკომპანიების მიერ დანერგილი კარგი პრაქტიკა. თავად ჟურნალისტებიც უნდა წაახალისონ საკუთარ უსაფრთხოებაში რესურსების ჩასადებად, შესაბამის კურსებზე დასწრებითა და ცოდნის შეძენით, რათა დაიცვან თავიანთი უსაფრთხოება, განსაკუთრებით, ციფრული საფრთხეების მიმართ. გასათვალისწინებელია შემდეგი რეკომენდაციები, რომლებიც უნდა გავრცელდეს როგორც მედიასაშუალებებში დასაქმებულ ჟურნალისტებზე, ისე შტატგარეშე თანამშრომლებზე, რომლებსაც დავალებებს აძლევენ, ან რომელთა ნაშრომებსაც აქვეყნებენ მედიასაშუალებები:

(1) მედიაკომპანიებმა უნდა შეამოწმონ საკუთარი უსაფრთხოების პრაქტიკა (მომდევნო პუნქტებში მითითებული რეკომენდაციები შეიძლება გზამკვლევის სახით გამოიყენებოდეს ასეთი შემოწმების ჩატარებისას);

(2) მედიაკომპანიებმა უნდა უზრუნველყონ, სულ მცირე, საბაზისო დონის აღჭურვილობა უსაფრთხოებისთვის და თავიანთი თანამშრომლებს ასწავლონ მისი გამოყენება. უსაფრთხოების საბაზისო ტრენინგი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა თანამშრომლისთვის (იმ პირთა ჩათვლით, რომლებიც არ მუშაობენ წინა ხაზზე) და მოიცავდეს ციფრული უსაფრთხოების, პირადი ცხოვრების დაცულობისა და საბაზისო ფიზიკური უსაფრთხოების საკითხებს;

(3) მედიაკომპანიებმა უნდა მიიღონ უსაფრთხოების პროტოკოლები, მათ შორის, სახელმძღვანელო მითითებები და პროცედურები ჟურნალისტთა რთულ ან სახიფათო დავალებებზე გასაგზავნად; პოტენციურად რთულ ან სახიფათო დავალებაზე გაგზავნამდე, ჟურნალისტებს უნდა ჩაუტარდეთ საინსტრუქციო შეხვედრა (ბრიფინგი), რათა მიეწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია რისკების შესახებ; პოტენციურად რთული ან სახიფათო დავალებების შესასრულებლად უნდა გაგზავნონ მხოლოდ ის ჟურნალისტები, რომლებმაც გაიარეს შესაბამისი სწავლება უსაფრთხოების საკითხებზე;

(4) მედიაკომპანიებმა თანამშრომელი უნდა უზრუნველყონ სიცოცხლის, სამედიცინო და სამოგზაურო დაზღვევით, სამუშაო პირობების სრულყოფილი და სამართლიანი პაკეტის ფარგლებში;

(5) მედიაკომპანიებმა უნდა უზრუნველყონ იურიდიული დახმარება და წარმომადგენლობა, საჭიროების შემთხვევაში კი - ტრავმასთან დაკავშირებული კონსულტაციები მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ;

(6) ჟურნალისტებმა უნდა გაიარონ სწავლება, თუ რას უნდა მოელოდნენ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისგან, რომელშიც თავად არიან დაზარალებულნი, და რა ინფორმაციის მიწოდებას ელიან მათგან. ასეთმა სწავლებამ უნდა მოიცვას შემდეგი თემები:

- რა მნიშვნელობა აქვს დანაშაულის შეტყობინებას, გამოძიებისას თანამშრომლობას და ჟურნალისტთა უფლებების დამცველი იურისპრუდენციის განვითარებას;
- ძირითადი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა ჟურნალისტთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების შესახებ, მათ შორის: დანაშაულის დასადასტურებლად საჭირო მტკიცებულებები; სისხლისსამართლებრივი გამოძიების ეტაპები და რას უნდა მოელოდნენ თითოეულ ეტაპზე; მტკიცებულებებთან დაკავშირებული წესები, სხვადასხვა მტკიცებულებასთან გამოსაყენებელი წესების ჩათვლით (მაგ: ნივთიერი მტკიცებულება, მობილური ტელეფონის ჩანაწერები და ა. შ.);
- ზომები, რომელთა მიღებაც შეუძლიათ ჟურნალისტებს, როდესაც აწყდებიან პოტენციურ დანაშაულებრივ ქმედებას, მაგალითად, მტკიცებულებათა შენახვა.

5. დასკვნითი მოსაზრებები და რეკომენდაციები

2021 წლის ივნისში საქართველოს მთავრობამ, ევროპის საბჭოს სხვა წევრ სახელმწიფოებთან ერთად, აიღო ვალდებულება, რომ შეიმუშავებს ჟურნალისტთა უსაფრთხოების ეროვნულ სამოქმედო გეგმას. მთავრობა შეთანხმდა, რომ გეგმა განსაზღვრავს მოქმედების ყოვლისმომცველ და ეფექტიან პროგრამას, გადაუდებლობაზე დაფუძნებული პრიორიტეტებით, ასევე, შესაბამისი რესურსებით მათი განხორციელებისათვის. მთავრობამ დადო ძლიერი პოლიტიკური და ოპერაციული ხელმძღვანელობის პირობა და აღიარა, რომ სახელმწიფო ორგანოთა შორის კოორდინაცია და დაინტერესებულ მხარეთა (მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიური წრეების, ჟურნალისტებისა და მათი პროფესიული ასოციაციების) ეფექტიანი ჩართულობა ყველა ეტაპზე, ხელს შეუწყობს გეგმის წარმატებას.[100]

შესამუშავებელი სამოქმედო გეგმა ფართომასშტაბიანი იქნება და მოიცავს შემდეგ საკითხებს:

1. კონკრეტული რისკები, გამოწვევები და საფრთხეები, რომელთა წინაშეც დგანან ქალი ჟურნალისტები და მედიის სხვა აქტორები თავიანთი გენდერიდან გამომდინარე, მათ შორის, ონლაინსივრცეში;
2. ჟურნალისტთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების სწრაფი და ეფექტიანი გამოძიება;
3. პრაქტიკული და ოპერატიული ზომების მიღება ჟურნალისტებზე თავდასხმების დაუსჯელობის შესაჩერებლად;
4. რა მნიშვნელობა აქვს პოლიციისა და მედიისთვის ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას ერთმანეთის პასუხისმგებლობებსა და შეზღუდვებზე, კერძოდ, სწავლებით, რეგულარული დიალოგითა და სახელმძღვანელო მითითებების ერთობლივად შემუშავებით მათი ურთიერთობის შესახებ.

გარდა ამისა, მთავრობამ პირობა დადო, რომ სწრაფად და ცხადად დაგმობს ნებისმიერ თავდასხმას ჟურნალისტებზე, ჟურნალისტთა დაცვას კი აქცევს პოლიტიკურ პრიორიტეტად, რასაც მოჰყვება შესაბამისი პოლიტიკური პასუხისმგებლობაც.

ეს ვალდებულება, რომელიც ქვეყანამ აიღო 2021 წლის ივნისში, ევროპის საბჭოს მინისტრთა კონფერენციის ფარგლებში, სახელწოდებით „მედიისა და საინფორმაციო საზოგადოების შესახებ“, იდეალური საფუძველია სამუშაოსთვის, რომელიც უნდა ჩატარდეს საქართველოში ჟურნალისტთა უსაფრთხოების სერიოზული ხარვეზების გამოსასწორებლად. აღნიშნული ვალდებულება ეფუძნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ადრინდელ პრეცედენტულ სამართალს, რომელიც სახელმწიფოებს აკისრებს სამართლებრივად მბოჭველ ვალდებულებებს, ასევე, 2016 წელს მიღებულ რეკომენდაციას „ჟურნალისტთა უსაფრთხოების შესახებ“. სხვა სიტყვებით, ეს ვალდებულება დიდი ხანია არსებობს.

100. რეზოლუცია ჟურნალისტების უსაფრთხოების შესახებ, 2021 წლის 11 ივნისი.

საჭიროა გადაუდებელი განხორციელება. ჟურნალისტთა მიმართ თავდასხმების რიცხვი მატულობს, რაც საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ მედიასაზოგადოებას, არამედ ზოგადად დემოკრატიას.

ამ ანგარიშისთვის ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მთავრობის წარმომადგენლები გეგმავენ ჟურნალისტთა უსაფრთხოების სამოქმედო გეგმის ჩართვას ადამიანის უფლებათა დაცვის საერთო სამოქმედო გეგმაში, მაგრამ არ აპირებენ სპეციალური სამოქმედო გეგმის შემუშავებას ამ კუთხით. ეს იქნებოდა შეცდომა. თუ გავითვალისწინებთ ჟურნალისტთა უსაფრთხოების საკითხის სპეციფიკურობასა და სირთულეს, ძალადობის შემთხვევათა მატებას და სამართალდამცველ ორგანოთა მცირე შესაძლებლობებს მათთან გასამკლავებლად, ნაკლებსავარაუდოა, ადამიანის უფლებათა დაცვის „საერთო“ სამოქმედო გეგმამ სრულად მოიცვას მრავალი საკითხი, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია ჟურნალისტთა უსაფრთხოების დასაცავად. უფლებადამცველებთან დაკავშირებულ საქმეთა გამოძიებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის შესახებ რეკომენდაციაში არასაკმარისი მითითება ჟურნალისტთა მიმართ ჩადენილ დანაშაულთა გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნაზე, არ ნერგავს ნდობას. ამიტომ, განსაკუთრებულად რეკომენდებულია, შემუშავდეს ჟურნალისტთა უსაფრთხოების სპეციალური სამოქმედო გეგმა, საქართველოს მიერ ნაკისრი მკაფიო საერთაშორისო ვალდებულების შესაბამისად.[101]

ჟურნალისტთა უსაფრთხოების სამოქმედო გეგმის შემუშავებაში შეიძლება წამყვანი როლი ჰქონდეს მთავრობას, თუმცა ძალისხმევა უნდა გაიღოს მრავალმა დაინტერესებულმა მხარემაც. ზემოდან ხელმძღვანელობა ასევე ნიშნავს, რომ მაღალ თანამდებობაზე არჩეულმა პოლიტიკოსებმა, როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე, თავი უნდა შეიკავონ მედიის საწინააღმდეგო უარყოფითი რიტორიკისგან. ნაცვლად ამისა, შეიძლება ხაზი გაესვას, თუ რა მნიშვნელობა აქვს თავისუფალ და დამოუკიდებელ მედიას ქვეყნის დემოკრატიის, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის გრძელვადიანი წარმატებისათვის, მედიის მიმართ ძალადობისა და სიძულვილის წინააღმდეგ საჯაროდ გამოსვლასთან ერთად.[102] რეკომენდებულია, ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების საჭიროებაზე განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილონ მაღალ თანამდებობაზე არჩეულმა პოლიტიკოსებმა.

სამოქმედო გეგმა უნდა შემუშავდეს მრავალი დაინტერესებული მხარის ძალისხმევით. განმაცვიფრებელი და ბევრისმეტყველია ის, რომ, დღესდღეობით, არ არსებობს ფორმალიზებული სტრუქტურა მედიისა და სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენელთა შეხვედრებისთვის, ბევრი პრობლემური საკითხის განსახილველად. ასეთი სტრუქტურა უნდა შეიქმნას ეროვნული სამუშაო ჯგუფის სახით, რომელსაც თავმჯდომარეობას გაუწევს დამოუკიდებელი და ავტორიტეტული პირი ან უწყება, თუმცა მაღალი დონის პოლიტიკური უფლებამოსილებით. სამუშაო ჯგუფის რეგულარულ შეხვედრებს ბევრის გაკეთება შეუძლია სხვადასხვა დაინტერესებული მხარის გასაერთიანებლად, ასევე, იმისათვის, რომ სამართალდამცველმა ორგანოებმა გაიაზრონ ჟურნალისტთა წინაშე არსებული პრობლემები, და პირიქით.

წინამდებარე ანგარიში ასახავს რეკომენდაციებს იმ 4 სფეროში, რომლებიც გადაუდებელ გაუმჯობესებას საჭიროებს:

1. ჟურნალისტთა მიმართ ძალადობის გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა;

101. იგივე.

102. რეზოლუცია ჟურნალისტების უსაფრთხოების შესახებ, 2021 წლის 11 ივნისი.

2. სამართალდამცველ ორგანოთა შესაძლებლობები ჟურნალისტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით;
3. ჟურნალისტთა უსაფრთხოება მანიფესტაციების დროს; და
4. მედიის შესაძლებლობები და ცოდნა მისი უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ უსაფრთხოების საკითხებთან მიმართებით.

თითოეული თავისთვის გაცემული რეკომენდაციები წარმოდგენილია ქვემოთ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ფარავს მხოლოდ ამ ოთხ სფეროში არსებულ პრობლემებს და არ ეხება სხვა საკითხებს, რომლებიც ასევე საყურადღებოა და გასათვალისწინებელია ეროვნულ სამოქმედო გეგმაში. როგორც ანგარიშის შესავალში აღინიშნა, ეს მოიცავს შემდეგ საკითხებს (თუმცა არ შემოიფარგლება ამით): ჟურნალისტთა სამუშაო პირობები; პოლარიზებული მედიალანდშაფტი; კავშირი მსხვილ მედიაკონგლომერატებს, ბიზნესკომპანიებსა და პოლიტიკოსებს შორის; სახელმწიფო მაუწყებლის მყიფე დამოუკიდებლობა; მედიის მარეგულირებლის დამოუკიდებლობა; არასაკმარისად განვითარებული სარეკლამო ბაზარი; ბოროტად გამოყენებული სარჩელები; და საზოგადოებაში არსებული დაძაბულობა ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორიცაა რელიგია, ლგბტქი+ უფლებები და რუსეთის გავლენა, რაც ზემოქმედებას ახდენს მედიაზე.

5.1. რეკომენდაციები

მთავარი

(1) შეიქმნას დაინტერესებულ მხარეთა კომიტეტი, რომელსაც თავმჯდომარეობას გაუწევს დამოუკიდებელი და ავტორიტეტული პირი ან უწყება, თუმცა მაღალი დონის პოლიტიკური უფლებამოსილებით, და ექნება მანდატი, ჩაატაროს კვლევები და შეიმუშაოს ჟურნალისტთა უსაფრთხოების ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომლის განხორციელების ვალდებულებაც დაეკისრება მთავრობას;

(2) მაღალ თანამდებობაზე არჩეულმა პოლიტიკოსებმა, როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე, თავი შეიკავონ მედიის საწინააღმდეგო რიტორიკისგან და საჯაროდ გამოვიდნენ მედიის მიმართ ძალადობისა და სიძულვილის წინააღმდეგ;

ჟურნალისტთა მიმართ ძალადობის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ;

(3) თუ საჭირო იქნება ტერმინ „ჟურნალისტის“ განსაზღვრა, ნებისმიერი ასეთი განმარტება უნდა იყო ფუნქციური და არ შემოიფარგლებოდეს ფორმალური აკრედიტაციით ან დასაქმებით. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ის უნდა მოიცავდეს ყველა პირს, რომლებიც რეგულარულად თუ პროფესიულად არიან ჩართულნი ინფორმაციის შეგროვებასა და მასობრივი კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით გავრცელებაში, ევროპის საბჭოს CM/Rec(2000)7 და CM/Rec(2016)4 რეკომენდაციების, ჟურნალისტთა უსაფრთხოების შესახებ გაეროს სამოქმედო გეგმისა და გაეროს

ადამიანის უფლებათა კომიტეტის № 34 ზოგადი კომენტარის შესაბამისად.[103]

(4) ახლებურად ჩამოყალიბდეს 154-ე მუხლი, რათა:

- მოიცვას ფიზიკური თუ იურიდიული პირის მიმართ ძალადობის თუ მუქარის ყველა შემთხვევა, რომლებიც უკავშირდება მათ ჟურნალისტურ საქმიანობას. მართალია, შეუძლებელია ყველა იმ საქმიანობის განსაზღვრა კანონმდებლობით, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს „ჟურნალისტურად", თუმცა ფართო სფეროთა დაფარვის საილუსტრაციოდ, კანონმდებლობაში უნდა მიეთითოს გავრცელებული ჟურნალისტური საქმიანობის მაგალითები, როგორიცაა: ინფორმაციის შეგროვება, ინტერვიუების ჩატარება, ჟურნალისტური გამოძიებები და გარკვეულ ადგილებზე მათი დაშვება. ამავდროულად, კანონში მკაფიოდ უნდა აღინიშნოს „სხვა კანონიერი ჟურნალისტური საქმიანობაც", რათა, საბოლოო ჯამში, არ შეიზღუდოს ჟურნალისტიკა; და
- მან გადაინაცვლოს „განსაკუთრებით მძიმე" დანაშაულთა კატეგორიაში და გაითვალისწინოს უფრო მკაცრი სასჯელი, მათ შორის, თავისუფლების აღკვეთა;

უკრაინისა და სხვა ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისი დებულებები და მათი თანმდევი პრაქტიკა, წარმოდგენილი მე-2 დანართში, შეიძლება შთაგონების წყარო გახდეს კანონმდებლობის ახლებურად ჩამოყალიბებისათვის.

(5) „გამოხატვის თავისუფლების მიმართ ჩადენილ დანაშაულთა შესახებ" ერთობლივი დეკლარაციის კვალდაკვალ, რომელიც გამოსცეს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) წარმომადგენელმა მედიის თავისუფლების საკითხებში და მისმა კოლეგებმა გაეროდან (UN), ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციიდან (OAS) და ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული კომისიიდან (ACHPR), ასევე, 53[1] მუხლის მიდგომის შესაბამისად, დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ასევე გასათვალისწინებელია დაზარალებულის გამოხატვის თავისუფლების ხელყოფის დამამძიმებელ გარემოებად აღიარება, რაც გაამკაცრებს სასჯელს ასეთი დანაშაულისთვის;

(6) შეგროვდეს ყოვლისმომცველი სტატისტიკა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა მიმართ ძალადობისა თუ მუქარის ყველა შემთხვევაზე, რომლებიც უკავშირდება მათ ჟურნალისტურ საქმიანობას, რათა გამოვლინდეს პრობლემის სრული სურათი და შეფასდეს სამართალდამცველ ორგანოთა რეაგირების ეფექტიანობა;

(7) ჩატარდეს საზოგადოებრივი მოკვლევა, მედიის წარმომადგენელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით, და შეფასდეს ჟურნალისტთა მიმართ ჩადენილ დანაშაულთა გამოძიების ხარისხი. ეს მოკვლევა უნდა ჩაატაროს საგამოძიებო უწყებისა და პროკურატურისგან დამოუკიდებელმა

103. თუ გავითვალისწინებთ ჟურნალისტური ფუნქციების შემსრულებელ აქტორთა ფართო სპექტრს, განსაკუთრებით, ინტერნეტის გამოჩენის შემდეგ, ასევე, შტატგარეშე ჟურნალისტთა რაოდენობას, საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნევა, რომ „ჟურნალისტის" განსაზღვრება არ მოიცავდეს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც მედიასაშუალებაში არიან დასაქმებულნი. „„ჟურნალისტის" განმარტებათა შედარებითი მიმოხილვისთვის ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში (მათ შორის, სადაც განმარტება არ არის მკაცრი ან ძალიან ფართოა), იხილეთ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ანგარიშის - ჟურნალისტების სტატუსი ევროპაში - განმარტებითი მემორანდუმი, doc. 14505, 2018 წლის 26 თებერვალი.

ორგანომ, რომელსაც ექნება მანდატი, რომ გასცეს მტკიცე და პრაქტიკული რეკომენდაციები ჟურნალისტთა მიმართ ძალადობის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის გასაუმჯობესებლად, ასევე, უფლებამოსილება, რომ მოითხოვოს მოწმეებისა და მანამდე წარმოებული დოკუმენტების წარდგენა მის წინაშე, ამ უწყების მიერ წარმოებული პროცესი კი ღია უნდა იყოს საზოგადოებისთვის;[104]

(8) ასეთი მოკვლევის მიგნებათა გათვალისწინებით, რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს ჟურნალისტთა მიმართ ძალადობისა თუ მუქარის ყველა შემთხვევის გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა, რათა ისინი შეესაბამებოდეს მოთხოვნილ სტანდარტს - „სწრაფი, ეფექტიანი და ზედმიწევნითი;“

(9) ჟურნალისტთა მიმართ ჩადენილი ძალადობის გამოსაძიებლად, ყველა სამართალდამცველი უწყებისთვის შემუშავდეს კონკრეტული და დეტალური სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც მოიცავს, სულ მცირე, შემდეგ საკითხებს:

- რა მნიშვნელობა აქვს ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი მტკიცებულებისა და დისკრიმინაციული ფაქტორის სათანადოდ გათვალისწინებას;
- როგორც ოფლაინ, ისე ონლაინ სივრცეში ჩადენილი ძალადობის გენდერულად სპეციფიკურ ასპექტთა ცოდნისა და გამოძიების აუცილებლობა;
- ყურადღების გამახვილება გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნაზე არა მხოლოდ ძალადობრივი აქტის ჩამდენ პირთა მიმართ, არამედ ძალადობის წამქეზებელთა და მაპროვოცირებელთა მიმართაც;
- მოთხოვნა სამართალდამცველ ორგანოთა მიმართ, რომ საკუთარი ინიციატივით იმოქმედონ, როგორც კი შეიტყობენ კონკრეტული საქმის შესახებ, და არ მოსთხოვონ საჩივრის შეტანა ჟურნალისტს ან მის უახლოეს ნათესავს;
- უზრუნველყოფა, რომ დაზარალებულს ან მის ახლო ნათესავს ჰქონდეს გამოძიებაზე/დევნაზე ინფორმაციის მიღებისა და მტკიცებულებათა წარდგენის შესაძლებლობა;
- უზრუნველყოფა, რომ საგამოძიებო პროცედურები იყოს გენდერულად მგრძნობიარე, რათა ქალმა ჟურნალისტებმა თავი არ შეიკავონ მათზე თავდასხმების შეტყობინებისგან და მიიღონ შესაბამისი მხარდაჭერა, მათ შორის, ფსიქოსოციალური;
- ჟურნალისტთა უფლება, არ გაამჟღავნონ ინფორმაციის კონფიდენციალური წყაროები;
- სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება ჟურნალისტთა მიმართ ონლაინსივრცეში განხორციელებული მუქარისა და სხვა დანაშაულების გამოსაძიებლად, სადაც ხაზგასმით აღინიშნება, რომ ონლაინსივრცეში მუქარა და შევიწროება, რაც სისხლის სამართლის დანაშაულებად მიიჩნევა, უნდა იდევნებოდეს და განიხილებოდეს ოფლაინ დანაშაულე-

104. მაგალითისთვის, შეიძლება მოვიყვანოთ მალტელი ჟურნალისტის, დაფნე კარუანა გალიზიას მკვლელობის საზოგადოებრივი მოკვლევის ტექნიკური პირობები. იხ. ARTICLE 19-ის 2022 წლის ანგარიში, დაფნე კარუანა გალიზია: ნასწავლი გაკვეთილები მისი მკვლელობის საზოგადოებრივი მოკვლევიდან, საზოგადოებრივი მოკვლევის ტექნიკური პირობებისა და პროცესიდან ნასწავლი გაკვეთილების ინგლისურენოვანი თარგმანისთვის.

ბის მსგავსად. სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის ხელყოფის, მათ შორის, გაუპატიურების მუქარის სისხლისსამართლებრივი დევნა პრიორიტეტულად უნდა წარიმართოს.

(10) ჟურნალისტთა მიმართ ძალადობრივი ქმედებების წაქეზების, ჩადენის თუ მუქარის ყველა შემთხვევის გამოძიება, მათ შორის - და განსაკუთრებით - როცა წაქეზებას ან მუქარას ახორციელებენ მაღალჩინოსნები, პოლიტიკოსთა და თანამდებობის პირთა ჩათვლით;

(11) ჟურნალისტებისა და, შესაბამის შემთხვევაში, მათი უახლოესი ნათესავებისთვის დაუყოვნებელი და დაუბრკოლებელი წვდომის უზრუნველყოფა საქმის მასალებზე. რეკომენდებულია, დაზარალებულის სტატუსის მინიჭების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლოებმა გაითვალისწინონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები;

(12) სასჯელის გამკაცრება ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულებისთვის, რომლებიც უკავშირდება ჟურნალისტურ საქმიანობას, რათა სასჯელმა ასახოს დემოკრატიის მიმართ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე;

(13) თუ ამ ანგარიშის გამოქვეყნებიდან ერთი წლის განმავლობაში შესამჩნევად არ გაუმჯობესდება ჟურნალისტთა მიმართ ძალადობის გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა, შეიქმნას საზოგადოებრივი კომისია, რომელიც გამოიძიებს ჟურნალისტთა მიმართ ძალადობისა და სამართალდამცველ ორგანოთა არასათანადო რეაგირების მიზეზებს.

სამართალდამცველ ორგანოთა შესაძლებლობების შესახებ

(14) გადაიხედოს რესურსები (მათ შორის, ფინანსური და ადამიანური რესურსები; თანამშრომელთა კვალიფიკაცია, ცოდნა და გამოცდილება; აღჭურვილობაზე წვდომა; გავლილი და ხელმისაწვდომი ტრენინგები), რომლებსაც სხვადასხვა სამართალდამცველი ორგანო საჭიროებს ჟურნალისტთა დასაცავად და მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და შეივსოს გამოვლენილი დანაკლისი. მათ შორის, გადაიხედოს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესაძლებლობები და რესურსები (ასევე მოიცავს: ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს; თანამშრომელთა კვალიფიკაციას, ცოდნასა და გამოცდილებას; აღჭურვილობაზე წვდომას; გავლილ და ხელმისაწვდომ ტრენინგებს) მის უფლებამოსილებასთან მიმართებით, 154-ე მუხლის შესაბამისად;

(15) პოლიციასა და პროკურატურაში შეიქმნას სპეციალური სტრუქტურული ერთეულები ჟურნალისტთა მიმართ ძალადობის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნისთვის და ისინი უზრუნველყონ საჭირო რესურსებით (ფინანსური და ადამიანური რესურსები, აღჭურვილობა, სწავლება);

(16) პოლიციასა და პროკურატურაში სპეციალური სტრუქტურული ერთეულების შექმნასთან ერთად, რეკომენდებულია, გაფართოვდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის უფლებამოსილება, რათა მოიცვას ჟურნალისტთა უსაფრთხოების საკითხებიც. გარდა ამისა, რეკომენდებულია, დეპარტამენტს მიეცეს შესაბამისი რესურსები გაფართოებული უფლებამოსილების განსახორციელებლად;

(17) თუ შესაძლებელი არ არის ასეთ დანაშაულთა დევნაზე პასუხისმგებელი სპეციალური ერთეულის ფორმირება გენერალურ პროკურატურაში, მიზანშეწონილია, გადაიხედოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის უფლებამოსილებები, რათა მოიცვას ჟურნალისტთა უსაფრთხოების საკითხებიც, ხოლო დეპარტამენტს მიეცეს შესაბამისი რესურსები გაფართოებული უფლებამოსილების განსახორციელებლად;

(18) გაანალიზდეს სამართალდამცველ ორგანოთა თანამშრომლებისთვის შემუშავებული სასწავლო პროგრამები ჟურნალისტთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და, შედეგად, ყველა სამართალდამცველი ორგანოსთვის შემუშავდეს სასწავლო გეგმა ისეთივე ტრენინგისთვის, რომელიც სამართალდამცველ ორგანოთა თანამშრომლებმა წარმატებულად გაიარეს სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე. ასეთი გეგმა უნდა მოიცავდეს სპეციალურ ტრენინგმოდულებს ჟურნალისტთა უსაფრთხოების შესახებ, როგორც პოლიციელების, ისე პროკურორებისთვის, და ფარავდეს, სულ მცირე, შემდეგ საკითხებს:

- ცნობიერების ამაღლება დემოკრატიულ საზოგადოებაში ჟურნალისტთა „საზოგადოებრივი მეთვალყურის“ (watchdog) როლის შესახებ;
- როლი, რომელსაც ჟურნალისტები ასრულებენ დემოკრატიულ საზოგადოებაში სახალხო მანიფესტაციების გაშუქებით, კონფლიქტის ზონებიდან ინფორმაციის მოწოდებით, კრიზისის, მათ შორის, საგანგებო მდგომარეობის დროს, და ამგვარი გაშუქების ნებისმიერი ხელშეშლის აცილების გზები;
- ჟურნალისტთა უფლება, არ გაამჟღავნონ მათი ინფორმაციის კონფიდენციალური წყაროები, და აუცილებელი პროცედურული გარანტიები ამ მიმართებით;
- ფაქტი, რომ ჟურნალისტები ხშირად აწყდებიან სპეციფიკურ რისკებსა და დისკრიმინაციას და გარკვეულ საკითხებზე მუშაობამ შეიძლება შეუქმნათ სახელმწიფო ან/და არასახელმწიფო აქტორთა მხრიდან მუქარის, თავდასხმის, შეურაცხყოფისა და შევიწროების საფრთხე;
- ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია და გამოვლენა, ქალისა და კაცის თანასწორობა, დაზარალებულთა საჭიროებები და უფლებები, ასევე, მეორეული ვიქტიმიზაციის პრევენციის გზები;
- სამართალდამცველ ორგანოთა დროული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, როდესაც სახეზეა სერიოზული საფრთხე ან ძალადობის მუქარა ჟურნალისტთა მიმართ;
- ინფორმაციის მიწოდება დახმარების, მხარდაჭერის, დაცვისა და კომპენსაციის შესახებ, რომელთა მიღებაც დაზარალებულებს შეუძლიათ სამართალდამცველ ორგანოებთან პირველივე კონტაქტის შემდგომ;
- საჭიროების შემთხვევაში, ჟურნალისტთა უზრუნველყოფა დაცვით;
- ეფექტიანი გამოძიების მახასიათებლები, ყველა შესაძლო კავშირის გათვალისწინება დანაშაულსა და ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობას შორის; გენდერულად სპეციფიკური საკითხები და შესაძლო კავშირი რასისტულ განწყობებსა და ძალადობრივ აქტს შორის;

- სამართალდამცველ ორგანოთა ცოდნის გაუმჯობესება, თუ როგორ უნდა გამოიძიონ ონლაინსივრცეში მუქარის შემთხვევები და სხვა სისხლის სამართლის დანაშაულები, მათ შორის, რომლებიც მოიცავს გენდერულ განზომილებას;
- მედიის როლი მანიფესტაციების დროს.

(19) შესაძლებელია, ასევე განხილული იქნას კოლეგათა შორის სწავლა და გამოცდილების გაცვლა სხვა ქვეყნების პოლიციის სამსახურებთან, რომლებმაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ჟურნალისტთა უსაფრთხოების დაცვასა და დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივ დევნაში.

მანიფესტაციების დროს ჟურნალისტთა უსაფრთხოების შესახებ

(20) „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში შევიდეს ცვლილება, რათა გაუქმდეს ჟურნალისტებისთვის დაწესებული მოთხოვნა მაიდენტიფიცირებელი ნიშნების ტარების შესახებ;

(21) შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, სამართალდამცველებისა და იმ ჟურნალისტების ჩართულობით, რომლებიც წარმოადგენენ მედიასაზოგადოების სხვადასხვა სეგმენტს, რათა შეთანხმდნენ სახელმძღვანელო მითითებებზე მანიფესტაციებისა და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების გაშუქების შესახებ, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით. ამ დოკუმენტმა უნდა განსაზღვროს მედიის წარმომადგენელთა უფლებები, გამოკვეთოს პრაქტიკული თანამშრომლობის ხელშემწყობი ნაბიჯები და მოიცვას მედიის იდენტიფიცირების პრაქტიკული წესები და მეთოდები;

(22) განსაკუთრებულად რეკომენდებულია, რომ მანიფესტაციებისა და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების წინ, როგორიცაა არჩევნები, საპროტესტო აქციები ან დიდი სპორტული ღონისძიებები, ჩატარდეს შეხვედრები ჟურნალისტებსა და სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებს შორის, რათა განიხილონ უსაფრთხოების საკითხები და ერთობლივად შეთანხმდნენ უსაფრთხოების პროტოკოლებზე;

(23) უსაფრთხოების პროტოკოლი უნდა მოიცავდეს, სულ მცირე, შემდეგ საკითხებს:

- იმ მნიშვნელოვანი როლის აღიარება, რომელსაც ჟურნალისტები ასრულებენ მანიფესტაციების გაშუქებით;
- სამართალდამცველ ორგანოთა მთავარი მოვალეობა მანიფესტაციების დროს არის როგორც საპროტესტო აქციების, ასევე მედიაგაშუქების ხელშეწყობა და არა შეზღუდვა;
- საკონტაქტო პირის განსაზღვრა სამართალდამცველ ორგანოში, ისევე, როგორც მედიისთვის.

(24) ჟურნალისტები ან მედიასაშუალებები, რომლებიც არ მონაწილეობენ ერთობლივ სამუშაო ჯგუფებში, არ უნდა დაისაჯონ, და მათი არმონაწილეობა არ უნდა გამოიყენებოდეს მათი უფლებების უარყოფის საბაბად.

მედიის შესაძლებლობებსა და ცოდნაზე, რომელიც შეეხება მის უფლებებსა და პასუხისმგებლობებს უსაფრთხოების საკითხებთან მიმართებით (ეს რეკომენდაციები ვრცელდება როგორც მედიასაშუალებებში დასაქმებულ ჟურნალისტებზე, ასევე შტატ-

გარეშე თანამშრომლებზეც, რომლებსაც ისინი დავალებებს აძლევენ, ან რომელთა ნაშრომებსაც აქვეყნებენ):

(25) მედიაკომპანიებმა უნდა შეამოწმონ საკუთარი უსაფრთხოების პრაქტიკა (მომდევნო პუნქტებში მითითებული რეკომენდაციები შეიძლება გზამკვლევის სახით გამოიყენებოდეს ასეთი შემოწმების ჩატარებისას);

(26) მედიაკომპანიებმა უნდა უზრუნველყონ, სულ მცირე, საბაზისო დონის აღჭურვილობა უსაფრთხოებისთვის და თავიანთი თანამშრომლებს ასწავლონ მისი გამოყენება. უსაფრთხოების საბაზისო ტრენინგი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა თანამშრომლისთვის (იმ პირთა ჩათვლით, რომლებიც არ მუშაობენ წინა ხაზზე) და მოიცავდეს ციფრული უსაფრთხოების, პირადი ცხოვრების დაცულობისა და საბაზისო ფიზიკური უსაფრთხოების საკითხებს;

(27) მედიაკომპანიებმა უნდა მიიღონ უსაფრთხოების პროტოკოლები, მათ შორის, სახელმძღვანელო მითითებები და პროცედურები ჟურნალისტთა რთულ ან სახიფათო დავალებებზე გასაგზავნად; პოტენციურად რთულ ან სახიფათო დავალებაზე გაგზავნამდე, ჟურნალისტებს უნდა ჩაუტარდეთ საინსტრუქციო შეხვედრა (ბრიფინგი), რათა მიეწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია რისკების შესახებ; პოტენციურად რთული ან სახიფათო დავალებების შესასრულებლად უნდა გაგზავნონ მხოლოდ ის ჟურნალისტები, რომლებმაც გაიარეს შესაბამისი სწავლება უსაფრთხოების საკითხებზე;

(28) მედიაკომპანიებმა თანამშრომელი უნდა უზრუნველყონ სიცოცხლის, სამედიცინო და სამოგზაურო დაზღვევით, სამუშაო პირობების სრულყოფილი და სამართლიანი პაკეტის ფარგლებში;

(29) მედიაკომპანიებმა უნდა უზრუნველყონ იურიდიული დახმარება და წარმომადგენლობა, საჭიროების შემთხვევაში კი - ტრავმასთან დაკავშირებული კონსულტაციები მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ;

(30) ჟურნალისტებმა უნდა გაიარონ სწავლება, თუ რას უნდა მოელოდნენ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისგან, რომელშიც თავად არიან დაზარალებულნი, და რა ინფორმაციის მიწოდებას ელიან მათგან. ასეთმა სწავლებამ უნდა მოიცვას შემდეგი თემები:

- რა მნიშვნელობა აქვს დანაშაულის შეტყობინებას, გამოძიებისას თანამშრომლობას და ჟურნალისტთა უფლებების დამცველი იურისპრუდენციის განვითარებას;
- ძირითადი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა ჟურნალისტთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების შესახებ, მათ შორის: დანაშაულის დასადასტურებლად საჭირო მტკიცებულებები; სისხლისსამართლებრივი გამოძიების ეტაპები და რას უნდა მოელოდნენ თითოეულ ეტაპზე; მტკიცებულებებთან დაკავშირებული წესები, სხვადასხვა მტკიცებულებასთან გამოსაყენებელი წესების ჩათვლით (მაგ: ნივთიერი მტკიცებულება, მობილური ტელეფონის ჩანაწერები და ა. შ.);
- ზომები, რომელთა მიღებაც შეუძლიათ ჟურნალისტებს, როდესაც აწყდებიან პოტენციურ დანაშაულებრივ ქმედებას, მაგალითად, მტკიცებულებათა შენახვა.

დანართი (1) – აქტივობების პროგრამა

შეხვედრები (ონლაინ, ვიდეოკონფერენციის ფორმატით და ევროპის საბჭოს მიერ უზრუნველყოფილი სინქრონული თარგმანით):

- 2022 წლის 4 მარტი: სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები
- 2022 წლის 10 მარტი: სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ჟურნალისტთა უსაფრთხოებით
- 2022 წლის 14 მარტი: მედიისა და ჟურნალისტთა ორგანიზაციების წარმომადგენლები
- 2022 წლის 28 აპრილი: შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები
- 2022 წლის 28 აპრილი: გენერალური პროკურატურის წარმომადგენლები
- 2022 წლის 28 აპრილი: საქართველოს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლები
- 2022 წლის 28 აპრილი: ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს წარმომადგენელი, მთავრობის ადმინისტრაცია

სხვა აქტივობები:

- 2022 წლის 2 მარტი – 2022 წლის 9 მაისი: სამაგიდო კვლევა და წინასწარი ანგარიშის მომზადება
- 2022 წლის 1 აგვისტო – 2022 წლის 31 აგვისტო: საბოლოო ანგარიშის მომზადება

დანართი (2) – ჟურნალისტთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის კანონმდებლობის დებულებათა შედარება

თუ სხვა რამ არ არის მითითებული, ქვემოთ წარმოდგენილი მასალა აღებულია წყაროდან *„ჰოგოჰ დავიცვათ ჟუჰნაღისტები და მედიის სხვა აქტოჰები?“* ჟურნალისტიკის დაცვისა და ჟურნალისტთა და მედიის სხვა აქტორთა უსაფრთხოების შესახებ CM/Rec(2016)4 რეკომენდაციის განხორციელების სახელმძღვანელო, ევროპის საბჭო DGI(2020)11, 2020 წლის ივნისი. განსაკუთრებულად რეკომენდებულია, სახელმძღვანელოს გაეცნოს ყველა პირი, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ჟურნალისტთა უსაფრთხოებისა და დაცვის გაუმჯობესებით.

უკრაინა

უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსით კრიმინალიზებულია: „ჟურნალისტთა კანონიერი პროფესიული საქმიანობისთვის ხელშეშლა“, „ჟურნალისტის მიმართ მუქარა ან ძალადობა“, „ჟურნალისტის ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება“, „ჟურნალისტის სიცოცხლის ხელყოფა“, „ჟურნალისტის მძევლად აყვანა“.

> დებულებები (წყარო https://zakon.rada.gov.ua/laws/show/2341-14?lang=en#Text):
>
> *მუხღი 163. კომუნიკაციის საშუაღებების ან კომპიუტეჩის მეშვეობით გადაცემუღი მიმოწეჩის, სატეღეფონო საუბჩების, სატეღეგჩაფო და სხვა კოჩესპონდენციის კონფიდენციაღუჩობის დაჩღვევა*

1. კომუნიკაციის საშუალებებით ან კომპიუტერით გადაცემული მიმოწერის, სატელეფონო საუბრების, სატელეგრაფო და სხვა კორესპონდენციის კონფიდენციალურობის დარღვევა ისჯება ჯარიმით ორმოცდაათიდან ასამდე მინიმალური დაუბეგრავი შემოსავლის ოდენობით, ან გამოსასწორებელი შრომით ორ წლამდე ვადით, ან თავისუფლების შეზღუდვით სამ წლამდე ვადით.

2. იგივე ქმედებები, ჩადენილი განმეორებით, ან სახელმწიფო მოღვაწის, საზოგადო მოღვაწისა თუ ჟურნალისტის მიმართ, ან თანამდებობის პირის მიერ, ან ინფორმაციის ფარულად წაკითხვის სპეციალური ხელსაწყოების გამოყენებით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან შვიდ წლამდე ვადით.

> *მუხღი 171. ჟუჰნაღისტთა კანონიეჩი პჩოფესიუღი საქმიანობის ხეღშეშღა*

1. ჟურნალისტის მიერ შეგროვებული, დამუშავებული, მომზადებული მასალებისა და იმ ტექნიკური საშუალებების უკანონო ამოღება, რომლებსაც ის იყენებს პროფესიული საქმიანობისას, ჟურნალისტისთვის უკანონო უარის თქმა ინფორმაციასთან წვდომაზე, გარკვეული თემებისა და გარკვეულ ფიზიკურ პირებზე ინფორმაციის გაშუქების, ან უფლებამოსილი ორგანოს კრიტიკის უკანონო აკრძალვა, ასევე,

ნებისმიერი სახის განზრახ ხელშეშლა ჟურნალისტის კანონიერი პროფესიული საქმიანობისთვის, ისჯება ჯარიმით 50-მდე მინიმალური დაუბეგრავი შემოსავლის ოდენობით, ან პატიმრობით ექვს თვემდე ვადით, ან თავისუფლების შეზღუდვით სამ წლამდე ვადით.

2. ნებისმიერი ფორმით ზემოქმედება ჟურნალისტზე პროფესიულ მოვალეობათა შესრულებაში ხელშეშლის მიზნით, ან ჟურნალისტის დევნა, რომელიც უკავშირდება მის კანონიერ პროფესიულ საქმიანობას, ისჯება ჯარიმით 200-მდე დაუბეგრავი მინიმალური შემოსავლის ოდენობით, ან პატიმრობით ექვს თვემდე ვადით, ან თავისუფლების შეზღუდვით ოთხ წლამდე ვადით.

3. თუ ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედებები ჩადენილია თანამდებობის პირის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ან პირთა ჯგუფის მიერ, წინასწარი შეთანხმებით, ისჯება ჯარიმით 200-დან 500-მდე დაუბეგრავი მინიმალური შემოსავლის ოდენობით, ან თავისუფლების შეზღუდვით ხუთ წლამდე ვადით, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამ წლამდე ვადით, ან ამის გარეშე.

მუხლი 345-1. მუქარა ან ძალადობა ჟურნალისტის მიმართ

1. მკვლელობის, ძალადობის, განადგურების ან ქონების დაზიანების მუქარა ჟურნალისტის, მისი ახლო ნათესავების ან ოჯახის წევრების მიმართ, რომელიც უკავშირდება ჟურნალისტის კანონიერ პროფესიულ საქმიანობას, ისჯება გამასწორებელი შრომით ორ წლამდე ვადით, ან პატიმრობით ექვს თვემდე ვადით, ან თავისუფლების შეზღუდვით სამ წლამდე ვადით, ან თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ვადით.

2. ჟურნალისტის, მისი ახლო ნათესავების ან ოჯახის წევრების განზრახ ცემა, სხეულის მსუბუქი ან საშუალო სიმძიმის დაზიანება, რომელიც უკავშირდება ამ ჟურნალისტის კანონიერ პროფესიული საქმიანობას, ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ხუთ წლამდე ვადით, ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

3. ჟურნალისტის, მისი ახლო ნათესავების ან ოჯახის წევრების სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, რომელიც უკავშირდება ამ ჟურნალისტის კანონიერ პროფესიულ საქმიანობას, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან თორმეტ წლამდე ვადით.

4. ამ მუხლის 1-ელი, მე-2 ან მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით შვიდიდან თოთხმეტ წლამდე ვადით.

შენიშვნა. ამ მუხლისა და 171, 347-1, 348-1 მუხლების მიზნებისთვის, ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობა არის პირის სისტემატური საქმიანობა, რომელიც უკავშირდება ინფორმაციის შეგროვებას, მიღებას, შექმნას, გავრცელებას, შენახვას ან სხვა სახით გამოყენებას პირთა განუსაზღვრელ წრეში გასავრცელებლად, ბეჭდური მედიით, ტელევიზიითა და რადიოორგანიზაციებით, საინფორმაციო სააგენტოებითა და ინტერნეტით. ჟურნალისტის სტატუსი ან კავშირი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან დასტურდება მასმედიის, მისი რედაქციის, ან ჟურნალისტთა პროფესიული თუ შემოქმედებითი გაერთიანების მიერ გაცემული სარედაქციო ან სამსახურებრივი მოწმობით, ან სხვა დოკუმენტით.

მუხლი 347-1. ჟურნალისტის ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება

1. ჟურნალისტის, მისი ახლო ნათესავების ან ოჯახის წევრების კუთვნილი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება, რომელიც უკავშირდება ამ ჟურნალისტის

კანონიერ პროფესიულ საქმიანობას, ისჯება ჯარიმით ათასიდან ოთხი ათასამდე დაუბეგრავი მინიმალური შემოსავლის ოდენობით, ან პატიმრობით ექვს თვემდე ვადით, ან თავისუფლების შეზღუდვით ხუთ წლამდე ვადით.

2. იგივე ქმედებები, რომლებიც ჩადენილია ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით, ან რომლებმაც გამოიწვია ადამიანთა სიკვდილი ან სხვა მძიმე შედეგები, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ექვსიდან თხუთმეტ წლამდე ვადით.

მუხლი 348-1. ჟურნალისტის სიცოცხლის ხელყოფა

ჟურნალისტის, მისი ახლო ნათესავების ან ოჯახის წევრების მკვლელობა ან მკვლელობის მცდელობა, რომელიც უკავშირდება ამ ჟურნალისტის კანონიერ პროფესიულ საქმიანობას, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ცხრიდან თხუთმეტ წლამდე ვადით, ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

მუხლი 349-1. ჟურნალისტის მძევლად აყვანა

ჟურნალისტის, მისი ახლო ნათესავების ან ოჯახის წევრების მძევლად აყვანა ან დაკავება იმ მიზნით, რომ აიძულონ ამა თუ იმ მოქმედების შესრულება ან შესრულებისგან თავშეკავება მძევლობიდან გათავისუფლების პირობის სახით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით რვიდან თხუთმეტ წლამდე ვადით.

სერბეთი

სერბეთის სისხლის სამართლის კოდექსით კრიმინალიზებულია: „საფრთხის შექმნა მედიამუშაკის ან მისი ახლო ნათესავების უსაფრთხოებისთვის“, „სიტყვისა და საჯარო გამოსვლის თავისუფლების დარღვევა“ და „ხელის შეშლა დაბეჭდვისა და ბეჭდური მასალების გავრცელებისა და გადაცემათა მაუწყებლობისათვის“. გარდა ამისა, სერბეთის სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავს დებულებებს, რომლებიც გარკვეული დანაშაულების ჩადენას ჟურნალისტთა მიმართ (მაგ: როგორიცაა მკვლელობა) განიხილავს დამამძიმებელი გარემოებებში ჩადენილ დანაშაულად.

დებულებები (წყარო: https://www.mpravde.gov.rs/files/Criminal%20%20%20Code_2019.pdf):

მუხლი 138 საფრთხის შექმნა უსაფრთხოებისთვის

(1) ნებისმიერი პირი, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვა პირის უსაფრთხოებას მისი ან ახლობლის სიცოცხლის მოსპობის ან სხეულის დაზიანების მუქარით, ისჯება ჯარიმით, ან თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ვადით.

(2) ნებისმიერი პირი, რომელიც ამ მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს ჩაიდენს რამდენიმე პირის მიმართ, ან ეს დანაშაული მოქალაქეებში გამოიწვევს შიშს ან სხვა მძიმე შედეგებს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამი თვიდან სამ წლამდე ვადით.

(3) ნებისმიერი პირი, რომელიც ჩაიდენს ამ მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს რესპუბლიკის პრეზიდენტის, პარლამენტის წევრის, პრემიერ-მინისტრის, მთავრობის წევრების, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის, მოსამართლის, პროკურორისა და პროკურორის მოადგილის, ადვოკატის, პოლიციელის ან საჯარო ინფორმაციისთვის მნიშვნელოვანი პირის მიმართ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ექვსი თვიდან ხუთ წლამდე ვადით.

მუხლი 148 სიტყვისა და საჯარო გამოსვლის თავისუფლების დარღვევა

(1) ნებისმიერი პირი, რომელიც უკანონოდ უარყოფს ან ზღუდავს სხვა პირის გამოხატვის ან საჯარო გამოსვლის თავისუფლებას, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ვადით.

(2) თუ ამ მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს ჩაიდენს თანამდებობის პირი, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, იგი ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ვადით.

მუხლი 149 ბეჭდვისა და ბეჭდური მასალის გავრცელებისა და მაუწყებლობის ხელშეშლა

(1) ნებისმიერი პირი, რომელიც უნებართვოდ უშლის ხელს ან აფერხებს წიგნების, ჟურნალების, გაზეთების, აუდიო და ვიდეოკასეტების ან სხვა მსგავსი ბეჭდური თუ ჩაწერილი მასალების ბეჭდვას, ჩაწერას, გაყიდვას ან გავრცელებას, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ვადით.

(2) ამ მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული სასჯელი დაეკისრება პირს, რომელიც უნებართვოდ უშლის ხელს ან აფერხებს რადიო ან სატელევიზიო გადაცემის მაუწყებლობას.

(3) თუ ამ მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულს ჩაიდენს თანამდებობის პირი, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, იგი ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ვადით.

შვედეთი

შვედეთის სისხლის სამართლის კოდექსით კრიმინალიზებულია: „უკანონო იძულება ან მუქარა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე ზემოქმედების განზრახვით, ან მოქმედების თავისუფლების ხელყოფა პოლიტიკურ ორგანიზაციაში, ან პროფესიულ თუ სამრეწველო გაერთიანებაში, და ამით საფრთხის შექმნა სიტყვის, შეკრების ან გაერთიანების თავისუფლებისთვის“.

დებულებები (წყარო: https://www.government.se/4adb14/contentassets/7a2dcae0787e465e9a2431554b5eab03/the-swedish-criminal-code.pdf):

მუხლი 5

პირი, რომელიც ახორციელებს უკანონო იძულებას ან უკანონო მუქარას საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე გავლენის მოსახდენად, ან ხელყოფს მოქმედების თავისუფლებას პოლიტიკურ ორგანიზაციაში, ან პროფესიულ თუ ბიზნესგაერთიანებაში, და ამით საფრთხეს უქმნის სიტყვის, შეკრების ან გაერთიანების თავისუფლებას, დამნაშავეა სამოქალაქო თავისუფლებების მიმართ ჩადენილ დანაშაულში და ისჯება თავისუფლების აღკვეთით, მაქსიმუმ, ექვსი წლის ვადით.

საფრანგეთი

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსით კრიმინალიზებულია: „გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაში ჩარევა შეთანხმებულად და მუქარით“ და „გამოხატვის თავისუფლების განხორციელების ხელშეშლა შეთანხმებულად და ცემის, ძალადობის, თავდასხმის, განადგურების ან დამცირების გზით“.

დებულებები (წყარო: https://www.legifrance.gouv.fr/codes/id/LEGITEXT000006070719):

მუხლი 431-1

დაბრკოლების შექმნა სიტყვის, შრომის, გაერთიანების, შეკრების ან მანიფესტაციის თავისუფლების განხორციელებისთვის, შეთანხმებულად და მუქარის გზით, ან საპარლამენტო ასამბლეისა თუ ადგილობრივი ხელისუფლების სათათბირო ორგანოს განხილვების ჩატარებისთვის, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთი წლის ვადით და 15 000 ევროს ოდენობის ჯარიმით.

დაბრკოლების შექმნა მხატვრული შემოქმედების თავისუფლების, ან მხატვრული შემოქმედების გავრცელების თავისუფლების განხორციელებისთვის, შეთანხმებულად და მუქარის გზით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთი წლის ვადით და 15 000 ევროს ოდენობის ჯარიმით.

შეთანხმებულად და ცემის, ძალადობის, თავდასხმის, განადგურების ან დამცირების გზით წინა აბზაცებით გათვალისწინებული ერთ-ერთი თავისუფლების განხორციელების ხელშეშლის ფაქტი ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამი წლის ვადით და 45 000 ევროს ოდენობის ჯარიმით.

მუხლი 431-2

431-1 მუხლით გათვალისწინებულ ერთ-ერთ დანაშაულში მსჯავრდებულ პირთა მიმართ გამოიყენება შემდეგი დამატებითი სასჯელებიც:

1° საზოგადოებრივი, სამოქალაქო და საოჯახო უფლებების აკრძალვა 131-26 მუხლით გათვალისწინებული წესით;

2° იმ საჯარო ფუნქციის, პროფესიული საქმიანობის, ან საზოგადოებრივი აქტივობის შესრულების აკრძალვა 131-27 მუხლით გათვალისწინებული წესით, რომლის განხორციელების დროსაც ან განხორციელებასთან კავშირშიც ჩადენილია დანაშაული;

3° იმ იარაღის მფლობელობის ან ტარების აკრძალვა მაქსიმუმ ხუთი წლის ვადით, რომლისთვისაც გაიცემა ნებართვა.

მუხლი 223-1-1

პირის პირად, ოჯახურ ან პროფესიულ ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ნებისმიერი საშუალებით გამჟღავნების, გავრცელების ან გადაცემის აქტი, რომელიც იძლევა ამ პირის ვინაობის ან ადგილსამყოფლის დადგენის საშუალებას მისი ან ოჯახის წევრების დასაყენებლად პირადი ან ქონებრივი ზიანის პირდაპირი რისკის წინაშე, რისი უგულებელყოფაც დამნაშავეს არ შეეძლო, ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამი წლის ვადით და 45 000 ევროს ოდენობის ჯარიმით.

თუ ქმედებები ჩადენილია იმ პირის საზიანოდ, რომელიც ფლობს სახელმწიფო უფლებამოსილებას, პასუხისმგებელია საჯარო სამსახურის ამოცანათა შესრულებაზე, ან იკავებს საჯარო არჩევით თანამდებობას, ან ჟურნალისტია „პრესის თავისუფლების შესახებ“ 1881 წლის 29 ივლისის კანონის მე-2 მუხლის მნიშვნელობით, სასჯელები იზრდება და ითვალისწინებს ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას და ჯარიმას 75 000 ევროს ოდენობით.

სომხეთი

სომხეთის სისხლის სამართლის კოდექსით კრიმინალიზებულია: „ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელშეშლა ან ჟურნალისტთა იძულება, გაავრცელონ ინფორმაცია, ან თავი შეიკავონ მისი გავრცელებისგან. სასჯელი იზრდება, თუ დანაშაულს ჩაიდენს თანამდებობის პირი, თანამდებობის ბოროტად გამოყენებით. თუ ქმედება

ჩადენილია ჟურნალისტების ან მათი ახლო ნათესავების მიმართ ძალადობით ან მუქარით, ის ისჯება თავისუფლების აღკვეთით.

დებულებები (წყარო: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-REF(2021)022-e)

მუხლი 164. ჟურნალისტის კანონიერი პროფესიული საქმიანობისთვის ხელშეშლა

1. ხელშეშლა ჟურნალისტის კანონიერი პროფესიული საქმიანობისთვის, ან მისი იძულება, გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისგან —

ისჯება ჯარიმით, მინიმალური ხელფასის ორასმაგი ოდენობიდან ოთხასმაგ ოდენობამდე.

2. იგივე ქმედებები, ჩადენილი თანამდებობის პირის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით —

ისჯება ჯარიმით მინიმალური ხელფასის ოთხასმაგი ოდენობიდან შვიდასმაგ ოდენობამდე, ან თავისუფლების აღკვეთით, მაქსიმუმ, სამ წლამდე ვადით, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, მაქსიმუმ, სამი წლის ვადით, ან მის გარეშე.

3. ამ მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებები, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის გამოყენების მუქარით, რომელიც საფრთხეს უქმნის ჟურნალისტის ან მისი ნათესავის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან შვიდ წლამდე ვადით.

მიმოხილვა მომზადდა ევროპის საბჭოს პროექტის „მედიის თავისუფლების, ინტერნეტმმართველობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველის თხოვნის საფუძველზე. იგი განიხილავს საქართველოში ჟურნალისტთა დაცვისა და უსაფრთხოების კუთხით არსებულ სამართლებრივ-პოლიტიკურ ჩარჩოსა და შესაბამის პრაქტიკას. დოკუმენტი ასევე გვთავაზობს მდგომარეობის გასაუმჯობესებელ რეკომენდაციებს, რომლებიც ეფუძნება CM/Rec(2016)4 რეკომენდაციას, ასევე, იმ ევროპული თუ სხვა ქვეყნების პრაქტიკას, რომლებსაც აქვთ გამოცდილება ამ სფეროში.

KAT

www.coe.int

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა დაცვის მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. ის აერთიანებს 46 წევრ სახელმწიფოს, მათ შორის, ევროკავშირის ყველა წევრ-ქვეყანას. ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ხელმომწერია. აღნიშნული ხელშეკრულება მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვას. ევროპის საბჭოს წევრ-სახელმწიფოებში კონვენციის შესრულებას ზედამხედველობას უწევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE